

240 / 2
1956

სსრ მშენებლობის აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
საქართველოს
საბჭოთავო

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ მ ა მ ბ ე

В Е С Т Н И К

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. Джанашиа

XVII-A

საქართველოს სსრ მშენებლობის აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1956—თბილისი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის


მ ო ა მ ბ ე

В Е С Т Н И К

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. Джанашиа

XVII-A



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1956—ТБИЛИСИ

7135.




ქართული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი გ. პ. კლანდაძე

შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

	83-
1. მ. კაჭარავა. თრილეთის ქედის <i>Globorotalia Grassaformis</i> ზონის ასაკის შესახებ	5
M. B. Качарავა. О возрасте зоны <i>Globorotalia Grassaformis</i> триалетского хребта (Резюме)	11
2. ეკ. გაბაშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცული მიოცენური ანტილოპები	15
Ек. Г. Габашвили. Миопеновые антилопы, хранящиеся в фондах Госмузея Грузии (Резюме)	23
3. ვ. პაპავა. კავკასიის ფლორის გვიმრანირთა, მარცვლოვანთა და ისლიებრთა ოჯახის აუტენტიკები	27
В. И. Папавა. Аутентики кавказской флоры из семейства папоротниковых, злаковых и осоковых (Резюме)	39
4. Т. Т. Анчабадзе. Материалы к изучению дискомицетов Кавхети	45
5. И. В. Дылевская. Материалы к познанию листостебельных мхов Грузии	57
6. მ. მელიქიშვილი. მასალები კახეთის ველური ხილის შესწავლისათვის	105
М. И. Меликишвили. Материалы к изучению диких плодовых Кавхетии (Резюме)	124
7. რ. ბახტაძე, ც. აბესაძე. მცხეთის აკლდამაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკების აღდგენა	127
Р. А. Бахтадзе, Ц. Н. Абесадзе. Восстановление бронзовой фигуры, найденной в михтской гробнице (Резюме)	133
8. ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, ნ. დვალის. თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი ლითონის ნივთების დამზადების ტექნოლოგია .	135
Ф. Н. Тавадзе, Т. Н. Сақварелидзе, Н. Двали. Технология изготовления древних металлических изделий, найденных в окрестностях Тбилиси (Резюме)	141
9. ჩინჩალაძე. წითელწყაროს სატყეოს სასარგებლო ბელურასნაირი (Passeres) ფრინველები და მათი მიზიდვისა და დაცვის ღონისძიებები	143
Л. М. Чинчаладзе. Полезные воробьиные (Passeres) Цитлицаройского лесничества, их охрана и привлечение (Резюме)	163



მ. კაპარავა

თრიალეთის ქედის *GLOBOROTALIA CRASSAFORMIS*

ზონის ასაკის შესახებ

თრიალეთის ქედზე ლიროლექსიან ჰორიზონტსა და ფლიშს შორის განვითარებულია სქელი ნალექები, რომლებიც გ. აბიხიდან ცნობილია ვულკანოგენური (ტუფოგენური) წყების სახელწოდების ქვეშ. გ. აბიხმა ეს წყება ქვედა მესამეულს მიაკუთვნა [2]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ავტორი ამ წყებაში აერთიანებდა თრიალეთზე წარმოდგენილ ცარცის ვულკანოგენურ ნალექებსაც. თბილისის მიდამოების ვულკანოგენურ წყებაში აბიხს გარჩეული აქვს ორი ნაწილი: ქვეშ „დაბახანის შრეები“ და ზევით „ხლართულშრეებიანი კონგლომერატები“ [1].

შემდეგი მკვლევარები: ს. სიმონოვიჩი და ა. სოროკინი თრიალეთის ქედის ვულკანოგენურ წყებას ეოცენს აკუთვნებდნენ [9], ხოლო ვ. ფურნიე [4] და ფ. ოსვალდი [8] ოლიგოცენს.

ბ. მეფერტი ვულკანოგენური წყების ქვედა ნაწილს ბორჯომის ფლიშთან (ობრუჩევი) აერთიანებდა და პალეოცენად თვლიდა [7].

მ. ვარენცოვმა თრიალეთის პალეოგენური ვულკანოგენური ნალექები გამოყო მცხეთის ვულკანოგენური წყების სახელწოდების ქვეშ და ორ ნაწილად დაყო. ქვედა ნაწილი, წარმოდგენილი ტუფოგენური ქვიშაქვებით, ფერადი არგილიტებით და აგრეთვე მერგელების, თიხების და ვულკანური ფერფლის შუაშრეებით, ქვედა ეოცენს მიაკუთვნა, ზედა ნაწილი კი, გამოხატული სქელშრეებრივი ტუფებით, ტუფბრექჩიებით, უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვებით, არგილიტების, თიხების, კონგლომერატების შუაშრეებით და ანდეზიტების განფენებით, შუა ეოცენად ჩათვალა [3].

პ. გამყრელიძე ვულკანოგენურ წყებას სამად ყოფს. ქვეშ არჩევს ქვედა შრეებრივ ვულკანოგენურ წყებას, შუაში ტუფბრექჩიების და ზედა ნაწილში შრეებრივ ტუფოგენურ ნალექებს. პირველი ორი ნაწილი, ავტორის მიხედვით, შუა ეოცენია, ხოლო მესამე ოვერზული [4]. ეს უკანასკნელი ნაწილი პ. გამყრელიძეს გამოყოფილი აქვს აქარა-თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში.

ი. კაპარავა მთელ ვულკანოგენურ (ტუფოგენურ) წყებას შუა ეოცენად თვლის [5].

მ. ვარენცოვისა და პ. გამყრელიძის მიხედვით, შუა ეოცენი ზოგ ადგილას ტრანსგრესიულად არის განლაგებული (იმერხევი, ხვედურეთი, ახალქალაქი).

თრიალეთის ქედის ვულკანოგენური წყება ჩვენ მიერ შესწავლილია ქედის როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ ფერდობზე.

თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობი. ქედის ამ ფერდობზე ქრილბი შესწავლილი გვაქვს მრავალ ადგილას. აქ ვიძლევიტ მხოლოდ ზოგიერთი ქრილის ძლიერ შემოკლებულ აღწერას.



ფაუნისტურად ნაღვეები უკეთ დახასიათებული აღმოჩნდა დარბაზულასა და ხეკორძულას ხევებში (ძეგვის მიდამოები) და ტანასა და თეძამის ხევებში (ახალქალაქის რაიონი).

ქრილი მდ. ხეკორძულას გასწვრივ. ეს ქრილი მრავალი გეოლოგის მიერ არის შესწავლილი. ცნობილია, რომ ვულკანოგენური წყება აქ მოთავსებულია ზედა ცარცსა და ნეოგენს შუა და ორივესაგან გამოყოფილია ტექტონიკური უთანხმოებით. ვულკანოგენური წყების ქრილი აქ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ე. ი. სტრატეგრაფიულად ქვევიდან ზევითკენ ასეთია:

1. თიხების, ფიქლების და ტუფოგენური ქვიშაქვების მორიგეობა. დასტა შეიცავს შემდეგ ფორამინიფერებს: *Gaudryina rugosa* d'Orb., *Eponides trümpyi* Nuttall, *Eponides umbonatus* Rss, *Globigerina triloculinoides* Plummer, *Globigerina* sp., *Globigerinella soluta* White, *Globorotalia velascoensis* Cushman, *Globorotalia aragonensis* Nuttall, *Globorotalia pentacamerata* Subb., *Globorotalia interposita* Subb., *Cibicides perlucidus* Nuttall, *Cibicides* sp., Radiolaria.

2. მსხვილმარცვლოვანი სქელშრეებრივი ტუფოგენური ქვიშაქვების, ტუფბრექჩიების, მოყვითლო ნაცრისფერი თიხების და კონგლომერატების მორიგეობა. თიხები შეიცავენ: *Heterostomella dalmatica* Liebus, *Bulimina* sp., *Eponides umbonatus* Rss, *Eponides trümpyi* Nuttall, *Pseudoparella culter* Parker et Jones, *Globigerina triloculinoides* Plummer, *Globigerinella* sp., *Globorotalia crassaformis* Galloway et Wissler, *Globorotalia* sp., *Cibicides midwayensis* Plummer, Radiolaria.

3. მომწვანო და მოყვითალო, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი, სქელშრეებრივი ქვიშაქვების, ტუფოგენური ქვიშაქვების, ტუფბრექჩიების, ღია ნაცრისფერი მერგელბრძვი თიხების და მოყვითალო-მომწვანო ფერის ტუფების მორიგეობა. მერგელბრძვი თიხები შეიცავენ: *Bulimina* sp., *Eponides trümpyi* Nuttall, *Eponides umbonatus* Rss, *Eponides* sp., *Globigerina* cf. *bulloides* d'Orb., *Globigerina triloculinoides* Plummer, *Globigerinella micra* Cole, *Globigerinoides conglobatus* H. B. Brady, *Hantkenina liebusi* Shokhina, *Globorotalia crassaformis* Galloway et Wissler, *Globorotalia* sp., *Cibicides* sp., Radiolaria.

4. მოყვითალო და მონაცრისფრო, საშუალომარცვლოვანი და მასიურია ქვიშაქვები საყარაულოს ფაუნით (ქვედა მიოცენი).

როგორც ვხედავთ, ქრილში დასტა 1 დახასიათებულია *Globorotalia aragonensis* ზონის მიკროფორამინიფერებით; მეორე და მესამე დასტის შრეები შეიცავენ *Globorotalia crassaformis* ზონის ფორამინიფერებს. მესამე დასტაში აღსანიშნავია *Globigerinoides conglobatus* H. B. Brady და *Hantkenina liebusi* Shokhina, რომლებიც ქრილის ქვედა ნაწილში არ შეგვხვდნია.

ამრიგად ხეკორძულას კრასაფორმისიან ზონაში შეიძლება გარჩეულ იქნას ორი ნაწილი: ქვედა ნაწილი, რომელშიც არ მოიპოვებია *Globigerinoides conglobatus* H. B. Brady და *Hantkenina liebusi* Shokhina და ზედა ნაწილი, რომელშიც ორი უკანასკნელი ფორმა არის.

დარბაზულას ქრილი. დარბაზულას ხევი ხეკორძულას აღმოსავლეთი შენაკადია. ქრილი ორივე ადგილას ლითოლოგიურად საესებით ერთნაირია. აქც ქვეშ გამოიყოფა *Globorotalia aragonensis* ზონა. ზევით, ხეკორძულას ქრილის ანალოგიურად, გაიჩნევა ორი ნაწილი, დახასიათებული შესაფერისი ფორმებით. ქვედა ნაწილი შეიცავს: *Gaudryina* sp., *Heterostomella* sp., *Eponides trümpyi* Nuttall, *Eponides umbonatus* Rss, *Pseudoparella culter* Parker et

Jones, *Globigirina triloculinoides* Plummer, *Globigerina eocaenica* Terq., *Globorotalia crassaformis* Galloway et Wissler, *Cibicides mydwayensis* Plummer, *Cibicides* sp., Radiolaria.

ზედა ნაწილში გვხვდება: *Gyroidina soldanii* d'Orb., *Eponides trümpyi* Nuttall, *Eponides umbonatus* Rss, *Eponides* sp., *Globigerina* cf. *eocaenica* Terq., *Globigerinella micra* Cole, *Globigerinoides conglobatus* H. B. Brady, *Hantkenina liebusi* Shokhina, *Globorotalia crassaformis* G. et W., *Cibicides* sp., Radiolaria.

ალსანიშნავია, რომ აქ ტუფოგენური წყების სულ ზედა ნაწილი შეიცავს *Nummulites laevigatus* Br., *Nummulites atacicus* Leym., *Nummulites irregularis* Desh. [4, 5].

აღმოსავლეთით, ნიციეთის მიდამოებში ეოცენის ვულკანოგენური წყება მხოლოდ სულ ქვედა ნაწილში შეიცავს ფორამინიფერებს, რომლებიც *Globorotalia aragonensis* ზონას მიეკუთვნებიან.

თეძამის ქრილი. ვულკანოგენური ნალექების კარგი გაშიშვლებები მოცემულია მდ. თეძამის გასწვრივ ახალქალაქის მიდამოებში. თეძამის მარცხენა ნაპირას ზედა ცარცის ვულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ განლაგებულია:

1. მოყვითალო, გამოფიტულ ზედაპირზე კი მომწვანო ფერის მერგელების, თხელშრებბრივი ფხვიერი ქვიშაქვების და საშუალო და მსხვილნარცვლოვანი ტუფბრეჭიების მორიგეობა. მერგელები დახასიათებული აღმოჩნდა შემდეგი ფორმებით: *Gaudryina* sp., *Bulimina* sp., *Gyroidina soldanii* d'Orb., *Eponides trümpyi* Nuttall, *Pseudoparella culter* Parker et Jones, *Globigerina* cf. *eocaenica* Terq., *Globorotalia crassaformis* G. et W., *Cibicides* sp., Radiolaria.

2. სქელშრებბრივი ტუფბრეჭიები და ტუფოგენური ქვიშაქვები; მათ შორის გვხვდება მომწვანო და მოწითალო ფერის თიხები და მოყვითალო ფერის ტუფებისა და ტუფბრეჭიების შუაშრები. ალაგ ქვიშაქვებში არის ნუმულიტები და დისკოციკლინები.

3. ტუფოგენური ქვიშაქვები, ტუფბრეჭიები, ტუფები და მომწვანო ფერის მერგელების შუაშრები. ტუფბრეჭიები შეიცავენ ნუმულიტებს, მერგელები დახასიათებულია შემდეგი ფორმებით: *Bulimina* sp., *Eponides umbonatus* Rss, *Eponides trümpyi* Nuttall, *Eponides* sp., *Globigerina eocaena* Gumbel, *Globigerina eocaenica* Terq., *Globigerinoides conglobatus* H. B. Brady, *Globigerinella micra* Cole, *Hantkenina liebusi* Shokhina, *Globorotalia crassaformis* G. et W., Radiolaria.

4. ნსხვილნარცვლოვანი ტუფოგენური ქვიშაქვები, ტუფბრეჭიები და ტუფები. ქვიშაქვებში — *Nummulites laevigatus* Br., *Discocyclina*.

5. მორიგეობა ტუფოგენური ქვიშაქვების, ტუფბრეჭიების, ტუფების და ღია მომწვანო ფერის მერგელებრივი თიხების. უკანასკნელნი შეიცავენ: *Gyroidina soldanii* d'Orb., *Eponides umbonatus* Rss, *Globigerina* cf. *eocaenica* Terq., *Globigerina* sp., *Hantkenina liebusi* Shokhina, *Globorotalia crassaformis* G. et W., *Globorotalia* sp., *Cibicides* sp.

6. ყავისფერი ფურცელა თიხები თევზის ქერცლებით, თაბაშირით და იაროზიტით.

თეძამის ზემოთ აღწერილი ვულკანოგენური წყების ზედა ნაწილი მ. ვარენცოვს მიეკუთვნებული აქვს ზედა ეოცენზე [3]. რაშიაც მას არ ეთანხმება პ. გამყრელიძე [4]. ნალექებში წარმოდგენილი ფაუნის ანალიზი გვიჩვენებს

ნებს, რომ უკანასკნელი ავტორის შეხედულება ამ საკითხზე უფრო სწორია. თეძამის ხეობაში არ ჩანს *Globorotalia aragonensis* ზონა. ის იქ უთუოდ გადაარეცხილა. ტუფოგენური წყება, როგორც წინა კრილებში ორ მიკროფაუნისტურ ნაწილად იყოფა.

ტანას ხეობის კრილი. ს. ატენთან ეოცენურ ვულკანოგენურ წყებაში ანტიკლინი გადის. ამ ანტიკლინის (ატენის ანტიკლინი) ჩრდილო ფრთაზე ვულკანოგენური წყება უხეშმარცვლოვანი ნალექებით არის წარმოდგენილი. მიკროსკოპული ფორამინიფერები მასში არ გვხვდება, მაკროფაუნისტურად კი ეს წყება შუა ეოცენია [5].

აღსანიშნავია, რომ იმავე ანტიკლინის სამხრეთ ფრთაზე, სოფ. ქვედა ბოშურას მიდამოებში, შუა ეოცენის ვულკანოგენური წყების ფუძეში კარგად გამოიყოფა *Globorotalia aragonensis* ზონა.

აღმოსავლეთით, ხვედურეთის ხეობაში, სოფ. ფლავის მიდამოებში ტუფოგენური წყება ტრანსგრესიულად არის განლაგებული ზედა ცარცზე. აქ მდინარის მარჯვენა ნაპირას ასეთი კრილი გვაქვს ჩაწერილი:

1. ნაცრისფერი და მომწვანო მერგელები მერგელებრივი კირქვების შუა-შრეებით. კირქვები შეიცავენ ზღვის ზღარბებს და, იშვიათად, ამონიტებს.

2. მომწვანო, მოწითალო და ნაცრისფერი თიხები და მერგელები დანიური მიკროფორამინიფერებით.

3. კონგლომერატი, რომელიც შეიცავს ცუდად დამრგვალებული კირქვების, ქვიშაქვების და სხვა ქანების რიყისქვებს.

4. მუქი ნაცრისფერი არგილიტების, ტუფოგენური ქვიშაქვების და ტუფბრექჩიების მორიგეობა მერგელებთან და თიხებთან. უკანასკნელი შეიცავენ: *Bulimina* sp., *Eponides umbonatus* Rss, *Eponides triumpyi* Nuttall, *Globigerina trilocolinoides* Plummer, *Globigerina eocaenica* Terq., *Globorotalia* sp., *Globorotalia crassaformis* G. et W., *Anomalina* sp., *Cibicides* sp.

ამრიგად ხვედურეთის კრილში არაგონენზისიანი ზონა და ფლიში სრულიად არ ჩანს, კრასაფორმისიანი ზონა უშუალოდ აღევს ცარცს. მეოთხე დასტის ნალექები მ. ვარენცოვის მიხედვით ქვედა ეოცენია [3], პ. გამყრელიძის მიხედვით კი შუა ეოცენი [4].

უფრო აღმოსავლეთით, ძამას ხეობაში, ახალდაბის მიდამოებში (მტკვრის ხეობა) და ჩარხისწყალის ხეობაში, ს. დაბასა და წალღერის მიდამოებში ვულკანოგენური წყება უფაუნო აღმოჩნდა, მაგრამ დასახელებული ადგილების ვულკანოგენური წყების ფუძეში თითქმის ყველგან გამოიყოფა *Globorotalia aragonensis* ზონა.

მდ. ტყემლანას კრილი. მდ. ტყემლანას (ძამას დასავლეთი შენაკადი) ორივე ნაპირას სოფ. ტყემლანას ცოტა ჩრდილოეთით განვითარებულია:

1. ფქვლებრივი არგილიტების, ქვიშაქვების და ტუფქვიშაქვების მორიგეობა.

2. მოყვითალო-ნაცრისფერი თიხების და ქვიშაქვების მორიგეობა. ალაგ ქვიშაქვები ტუფოგენურია.

თიხები შეიცავენ: *Clavulina angularis* d'Orb., *Gyroidina soldanii* d'Orb., *Eponides umbonatus* Rss, *Globigerina trilocolinoides* Plummer, *Globigerinella micra* Cole, *Globorotalia crassaformis* G. et W., *Globorotalia* sp., *Cibicides* sp.

აღწერილი ქრილის გასწვრივ ალაგ შრეები გაშიშვლებული არ არის. პირველი დასტა უფაუნოა, მეორე დასტის ნალექები *Globrotalia crassaformis* ზონის ფორამინიფერებით აღმოჩნდა დახასიათებული. ჰანტკენინიანი ქვეზონა აქ არ გამოიყოფა, შესაძლებელია იმის გამო, რომ ქრილში შესატყვისი შრეები დაფარულია მეოთხეული ნალექებით.

როგორც ქრილების აღწერიდან ჩანს, თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობის ვულკანოგენურ წყებაში, რომელიც ფლიშს მოსდევს ზევით, ორი მიკროფაუნისტური ზონა გამოიყოფა: არაგონენზისიანი და კრასაფორმისიანი; უკანასკნელი რიგ ქრილებში ორ ქვეზონად იყოფა. ქვედა ქვეზონისათვის დამახასიათებელია *Heterostomella dalmatica* Liebus, *Globrotalia crassaformis* G. et W., *Cibicides midwayensis* Plummer, ზედა ქვეზონისათვის კი *Globigerinoides conglobatus* H. B. Brady და *Hantkenina liebusi* Shokhina.

თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი ფერდობი. თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე პალეოგენური ვულკანოგენური წყება კარგად არის გაშიშვლებული. მას ჩვენ ვხედავთ ქ. თბილისის მიდამოებში სეიდაბადის ქედზე და ქალაქის სამხრეთით თელეთის ქედის ფარგლებში. წყება ქვედა წაწილში, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნულია, „დაბახანის შრეებით“ არის წარმოდგენილი, ზედა კი „ხლართულშრებიანი კონგლომერატებით“. ბოტანიკურ ბაღთან, ლღვთახევში (დაბახანა), ჩვენ მიერ შესწავლილი ვულკანოგენური წყება უფაუნო აღმოჩნდა.

თელეთის ქედის სამხრეთი ფერდობი. თელეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე ქრილები რამოდენიმე ადგილას გვაქვს შესწავლილი.

ბულამის ხევის ქრილი. ს. კუმისის აღმოსავლეთით, ხევის გასწვრივ, ანტიკლინის სამხრეთ ფრთაზე, ქვევიდან ზევითკენ განლაგებულია:


1. მომწვანო მერგელები, არგილიტები და მუქი ნაცრისფერი ქვიშაქვები.
2. მორიგეობა მომწვანო თიხებისა და ტუფოგენური ქვიშაქვების. თიხები შეიცავენ: *Bulimina* sp., *Eponides trumpyi* Nuttall, *Eponides umbonatus* Rss, *Globigerina triloculinoides* Plum., *Globigerinella micra* Cole, *Globrotalia crassaformis* G. et W.

3. „ხლართულშრებიანი კონგლომერატები“. ამ ქანის ცემენტი წარმოადგენს მსხვილმარცვლოვან ტუფოგენურ ქვიშაქვას, რომელიც აქა-იქ შეიცავს მერგელების, ქვიშაქვების და ანდეზიტ-ბაზალტების ლოდებსა და მცირე ნატეხებს.

4. მორიგეობა ფურცელა, მოყვითალო ფერის არაკარბონატული იაროზიტის თიხების მოყვითალო-მომწვანო ფერის მერგელებრივ თიხებთან. უკანასკნელი შეიცავენ თევზის ქერცლებს და პლანქტონური ფორამინიფერების ზონის მიკროფორამინიფერებს (ნავთლულის შრეები).

კუმისის ქრილში 1—3 დასტები ლითოლოგიურად ანალოგიურია ლღვთახევის დაბახანის შრეების და თბილისის მიდამოების „ხლართულშრებიანი კონგლომერატების“. ქრილში თიხები შეიცავენ *Globrotalia crassaformis* ზონის ფორამინიფერებს; ზემოთ მათ აგრძელებენ თიხები (დასტა 4), დახასიათებული პლანქტონური ზონის ფორამინიფერებით [6].

ასურეთის წყლის ქრილი. სოფ. ასურეთთან ტუფოგენური წყება ცოტა განსხვავებულად არის განვითარებული. აქ სოფლის ჩრდილოეთით,



ანტიკლინის სამხრეთ ფრთაზე, მერგელებრივ თიხებს, რომლებიც დახასიათებულია *Globorotalia aragonensis* ზონის ფორამინიფერებით, მოსდევენ:

1. ღია ნაცრისფერი და მომწვანო მკვრივი სქელშრეებრივი მერგელები, არგილიტები და აგრეთვე ზომწვანო ფერის წვრილმარცვლოვანი (ზოგან ტუფოგენური) ქვიშაქვები.

2. ბრექჩია, შემდგარი სხვადასხვა ზომის ქვიშაქვებისა და მერგელების ნატეხებისაგან. ნატეხები შეიცავენ: *Nummulites gallensis* Heim, *Nummulites murchisoni* Br., *Nummulites laevigatus* Br., *Discocyelina*. ცემენტში ნაპოვია: *Rotalia* sp., *Gyroidina soldanii* d'Orb., *Eponides trumphyi* Nuttall, *Globigerina triloculinoides* Plummer, *Globigerina* sp., *Globorotalia* cf. *crassaformis* G. et W., *Anomalina* sp.

3. ბრექჩია, შემდგარი მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვების, გრაუვაკული ქვიშაქვების და პორფირიტის ნატეხებისაგან.

4. მასიური ტუფოგენური ქვიშაქვები მუქი ნაცრისფერი ქვიშიანი თიხის შუა შრეებით.

5. ბრექჩია, შემდგარი ქვიშაქვების, ტუფოგენური ქვიშაქვების და მერგელებისაგან.

6. მორიგეობა ნაცრისფერი თიხებისა და წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების; თიხები შეიცავენ: *Gaudryina* sp., *Bulimina pupoides* d'Orb., *Gyroidina soldanii* d'Orb., *Eponides* cf. *umbonatus* Rss, *Globigerina eocaenica* Terq., *Globorotalia crassaformis* G. et W., *Cibicides* sp.

7. ბრექჩია, შემდგარი ტუფოგენური ქვიშაქვების და ბიოტიტიანი ტუფებისაგან. დასტა შეიცავს ცუდად დაცულ ნუმულიტებს.

8. მომწვანო ფერის რბილი თიხები და ქვიშაქვები. თიხებში ნახულია: *Gyroidina soldanii* d'Orb., *Globigerina bulloides* d'Orb., *Globigerina triloculinoides* Plummer, *Globorotalia* sp.

9. მსხვილმარცვლოვანი მასიური სქელშრიანი ტუფოგენური ქვიშაქვები და ციტის, ავგიტოფირების, ანდეზიტური ტუფების ნატეხებით.

10. მომწვანო-ნაცრისფერი, საშუალომარცვლოვანი და საკმაოდ მკვრივი ქვიშაქვები მცენარეული ნაშთებით. გვხვდება ქვიშიანი თიხების შუა შრეებიც. თიხები მეტწილად არაკარბონატულია და მდიდარია მცენარეული ნაშთებით.

11. კონგლომერატები (0,40 მ), რომელნიც შეიცავენ დანალექი ქანების კარგად დამრგვალებულ რიყისქვებს. ხშირია მერგელის წვრილი ნატეხებიც. ნალექები შეიცავენ ცუდად დაცულ ნუმულიტებს.

12. მომწვანო-მონაცრისფრო ტუფოგენური ქვიშაქვა მცენარეული ნაშთებით. ნალექებს ახასიათებთ სფერული გამოფიტვა.

13. ნაცრისფერი კარბონატული თიხები პლანქტონური ფორამინიფერებით.

ამ კრილის 1—13 დასტები, რომლებიც *Globorotalia aragonensis* ზონაზე არის უშუალოდ განლაგებული, დახასიათებულია კრასაფორმისიანი ზონის ფორამინიფერებით. აქაც ტუფოგენური წყება, კუმისის კრილის მსგავსად, თევზიანი თიხებით იხურება, რომლებიც პლანქტონური ფორამინიფერების ზონის მიკროფორამინიფერებს შეიცავს [6].

უფრო დასავლეთით, სოფ. ენაგეთ-არდისუბნის მიდამოებში, ნავთლულის შრეების ქვეშ ერთფეროვანი ნალექებია განვითარებული, რომლებიც

მერგელბრივი თიხების, რუხი არგილიტებისა და მკვრივი, თხელშრებეპირი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების მორიგეობისაგან შედგება (დაბახანის შრეები). გარკვეულად ჩანს, რომ აქ „ხლართულშრებეპირი კონგლომერატები“ დაბახანის შრეების ზედა ნაწილითაა წარმოდგენილი. ქრილი მთელ სისქეზე დაბახანითებულია კრასაფორმისიანი ზონის შემდეგი ფაუნით: *Vulvulina* sp., *Heterostomella dalmatica* Liebus, *Eponides trumpyi* Nuttall, *Eponides umbonatus* Rss, *Pseudoparella culter* Parker et Jones, *Pullenia guinqueloba* Rss, *Globigerina eocaenica* Terq., *Globigerina triloculinoides* Plummer, *Globorotalia pentacamerata* Subb., *Globorotalia crassaformis* G. et W., *Globorotalia* sp., *Cibicides midwayensis* Plummer.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობის *Globorotalia crassaformis* ზონაში ქვეზონები არ გაირჩევა.

კრასაფორმისიანი ზონა ჩრდილო კავკასიაში არის გამოყოფილი ე. წ. ქვედა ფორამინიფერებიანი მერგელების სულ ზედა ნაწილში, რომელიც უშუალოდ ლიროლექსისიანი შრეების ქვეშ მდებარეობს. ადრე ამ ზონას ლუტეციურს აკუთვნებდნენ [10]. უკანასკნელად ნ. სუბოტინამ [11] ამ ზონას აკარიინისიანი ზონა უწოდა (სუბოტინამ *Globorotalia crassaformis* ახალ გვარ *Acarinina*-ში მოათავსა). ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მან ეს ზონა ორად დაყო; ქვეშ გამოყო *Acarinina crassaformis* ქვეზონა, ხოლო ზევით *Acarinina rotundimarginata* ქვეზონა. პირველი ქვეზონა მან შუა ეოცენს მიაკუთვნა, ხოლო მეორე ქვეზონა ზედა ეოცენის სულ ქვედა ნაწილად ჩათვალა. სულ სხვა სურათია თრიალეთის ქედზე. იქ კრასაფორმისიანი ზონა მთლიანად ლუტეციურში ხვდება, რისი საბუთია ამ ზონის სულ ზედა შრეებში წარმოდგენილი *Nummulites laevigatus* Br., რომელიც ამ სართულის დამახასიათებელ ფორმად ითვლება.

М. В. КАЧАРОВА

О ВОЗРАСТЕ ЗОНЫ *GLOBOROTALIA CRASSAFORMIS* ТРИАЛЕТСКОГО ХРЕБТА

Р е з ю м е

В пределах Триалетского хребта между флишем и лиролеписовыми слоями залегает вулканогенная толща.

Возраст этой толщи разными исследователями определяется различно. Из старых авторов Г. В. Абих эту толщу считал нижнетретичной [1]. С. Г. Симонович и А. И. Сорокин [9] относили ее к верхнему эоцену, а Э. Фурнье и Ф. Освальд [7] — к олигоцену.

Из новых авторов Б. Ф. Месферт [9] и М. И. Варенцов [3] возраст нижней части вулканогенной толщи приняли за нижний эоцен. И. В. Качарова и П. Д. Гамкрелидзе всю вулканогенную толщу Триалетского хребта относят к среднему эоцену [4, 5].

По данным П. Д. Гамкрелидзе и М. И. Варенцова вулканогенная толща местами (Хведурети, Ахалкалаки, Имерхеви) залегает трансгрессивно [3, 4].

Разрезы этих отложений нами изучены во многих местах: в бассейнах рек Мартазисхеви, Армазисхеви, Хекордзула, Дарбазула, по Чархис-



щали, Дзама, Тана, Тедзами, Карснисхеви, Легвтахеви, Бугамисхеви, Асуретисцкали, Алгети и др. Широким распространением пользуется вулканогенная толща и в районе Тбилиси.

В вулканогенной толще Триалетского хребта устанавливается наличие зоны *Globorotalia crassaformis* G. et W. Эта зона на северном крыле хребта местами делится на две подзоны. Нижняя подзона содержит: *Gaudryina* sp., *Heterostomella dalmatica* Liebus, *Bulimina* sp., *Gyroidina soldanii* d'Orb., *Eponides umbonatus* Rss, *Eponides* sp., *Pseudoparella culter* Parker and Jones, *Globigerina eocaena* Terq., *Globigerina eocaena* Gumb., *Globigerina trilobulinoidea* Plummer, *Globorotalia crassaformis* G. et W., *Globorotalia velascoensis* Cush., *Globorotalia pentacamerata* Subb., *Globorotalia rotundimarginata* Subb., *Cibicides midwayensis* Plummer, *Cibicides ungerianus* d'Orb., *Cibicides* sp.

В верхней подзоне встречены: *Eponides trümpyi* Nutt., *Eponides umbonatus* Rss, *Eponides* sp., *Hantkenina liebusi* Shokhina, *Globigerina eocaena* Gumbel, *Globigerina eocaena* Terquem, *Globigerinella micra* Cole, *Globigerinoides conglobatus* H. V. Brady, *Globorotalia crassaformis* G. et W., *Globorotalia rotundimarginata* Subb., *Cibicides ungerianus* d'Orb., *Cibicides* sp.

Из этих форм для нижней подзоны характерными являются: *Heterostomella dalmatica* Liebus, *Globorotalia pentacamerata* Subb., *Globorotalia crassaformis* G. et W., *Globorotalia velascoensis* Cushman, *Cibicides midwayensis* Plummer.


Вулканогенная толща подстилается слоями зоны *Globorotalia aragonensis* и покрывается зоной планктонных фораминифер.

Зона *Globorotalia crassaformis*, как известно, представлена и на Северном Кавказе, где она занимает место между зоной *Globorotalia aragonensis* и зоной планктонных фораминифер. Раньше Н. Н. Субботина зону *Globorotalia crassaformis* относила к среднему эоцену [10]. В последнее время Н. Н. Субботина в зоне *Acarinina* (=зоне *Globorotalia crassaformis*), восточной части Северного Кавказа и на Кубани выделяет две подзоны. Нижнюю подзону она относит к верхнему лютету, а верхнюю — к самой нижней части верхнего эоцена [11]. Однако на Триалетском хребте вулканогенная толща, охарактеризованная фораминиферами зоны *Globorotalia crassaformis* целиком является лютетской, так как самые верхние слои этой толщи содержат руководящую для лютетского яруса форму *Nummulites laevigatus* Brug.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. Г. А б и х, Отчет комиссии, назначенной для исследования Тифлиских минеральных источников, 1870.
2. Г. А б и х, Геология Армянского нагорья. Западная часть. Орографическое и геологическое описание Зап. Кавк. Отд. Русс. геогр. Общ., кн. XXI, 1889.
3. М. В а р е н ц о в, Геологическое строение западной части Куринской депрессии, Ак. Наук СССР, 1950.
4. П. Г а м к р е л и д з е, Геологическое строение Аджаро-Триалетской складчатой системы, Инст. геол. и минер. Ак. Наук СССР, моногр., № 2, Тбилиси, 1948.

5. И. Качарава, Новые данные по палеогену Грузии, Труды конф. по вопросам геологии Закавказья, Баку, 1952.
 6. М. Качарава, Стратиграфия верхнеэоценовых отложений северного склона Триалетского хребта по фауне фораминифер, Вестник Госмузея Грузии, № 16, 1954.
 7. Р. Освальд, К истории тектонического развития Армянского нагорья Зап. Кавк., Отд. Росс. геогр. общ., кн. XXXIX, вып. 2, 1905.
 8. Б. Мефферт, Геологический очерк Боржома и Бакуриани между Карельской долиной Куры и Ахалкалакским лавовым нагорьем, Тр. Всес. геол. разв. объединения, вып. 303, 1933.
 9. С. Симонович и А. Сорокин, Краткий очерк геологических явлений в Ахалцхском третичном бассейне, Мат. для геологии Кавказа, сер. 1, кн. 13, 1886.
 10. Н. Субботина, Краткий очерк стратиграфии палеогеновых отложений Грозненской области по фауне фораминифер, Тр. Всесоюз. нефт. научно-исслед. геол. разв. Института, Сб. II, 1949.
 11. Н. Субботина, Глобигериниды, ханткенииды и глобороталиды, Гостоптехиздат, 1953.
-



ე. ბაბაშვილი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების ფონდებში და-
ბანძოვნილების ფონდებში აღებული მიოცენური ანტილოპები

საქართველოს სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების ფონდებში და-
ცულია განამარხებულ ძუძუმწოვართა ფაუნა, ურმიის (ირანი) პლიოცენური
(ზედა მიოცენი?) და ელდარისა და უდაბნოს (სამხრეთ კახეთი) სარმატული
ნალექებიდან.

მუზეუმში დაცული ურმიის (მარაგა) ფაუნა მოპოვებული იყო 1916 წელს
პროფ. ვ. ბოგაჩოვის მიერ, კავკასიის მუზეუმის ექსპედიციის მუშაობის
დროს ჩატარებული გათხრების შედეგად.

ხერხემლიანთა ეს ფაუნა ურმიიდან ერთადერთია საბჭოთა კავშირში.

ვ. ბოგაჩოვი [4] ურმიის მიდამოების ხერხემლიანთა ფაუნის კომპლექსში
ანტილოპებიდან ასახელებს:

Palaeoryx sp.

Gazella sp.

Tragocerus sp.

მარაგას ჰიპარიონული ფაუნა შესწავლილი აქვთ აგრეთვე მექენემს,
როლერს და სხვებს.

მექენემს [15] ურმიის ანტილოპებიდან განსაზღვრული აქვს:

Gazella gaudryi Schlosser

Gazella brevicornis Gaudry

Gazella capricornis Rodler et Weithofer

Palaeoryx pallasi Gaudry et Ses

Protoryx coralina Major

Tragocerus rugosifrons Schlosser

Protragelaphus skouzesi Dames

Helicophora rotundicornis Weithofer

Oioceros rothi Wagner

Oioceros boulei Mecquenem და სხვა.

მექენემი აღნიშნავს, რომ ურმიის ფაუნის კომპლექსი, კერძოდ, ანტილო-
პების წარმომადგენლები მსგავსებას იჩენს პიკერმისა და სამოსის განამარხე-
ბულ მაწოვარ ხერხემლიანთა ფაუნასთან [15].

მექენემის აზრით, მარაგას ფაუნა ზედა მიოცენს ან პლიოცენს უნდა
ეკუთვნოდეს; ვ. ბოგაჩოვის [4] მიხედვით კი ეს ფაუნა მიოცენის სულ ზედა
ნაწილს ან პლიოცენის სულ ქვედა ნაწილს მიეკუთვნება.

მუზეუმში დაცულ ურმიის ხერხემლიანთა კოლექციაში ჰარბოზს ანტი-
ლოპთა ფაუნა.



მასალა წარმოდგენს ცუდად დაცულ თავის ქალებს (იშვიათად), ცალკეულ ყბებს კბილებით, ცალკეულ კბილებს, კიდური ძვლების ფრაგმენტებს და ჩონჩხის სხვა ნაწილებს.

ჩვენს მიერ განსაზღვრულია:

Gazella gaudryi Schlosser var. *maragensis* Gabasch.

Gazella deperdita Gaudry

Oioceros rothi Wagner

Protragelaphus sp.

Tragocerus amaltheus Gaudry

Palaeoryx major Schlosser

Tragocerus sp.

აზრიგად, ბოგაჩევისა და მექენემის მიერ მოცემულ მარავას ანტილოპების სის ემატება ერთი ახალი სახესხვაობაც *Gazella gaudryi* Schlosser var. *maragensis* Gab.

საქართველოში ჰიპარიონული ფაუნის სამარხები ცნობილია ელდარსა და უდაბნოში (სამხრეთ კახეთი). ი. ორლოვი ჰიპარიონულ ფაუნას აღნიშნავს აგრეთვე სოფ. ჯაფარიძესთან (წითელწყაროს რაიონი) და უკანასკნელ ხანებში ლ. გაბუნია [17] სოფ. არკნეთის მიდამოებში (სამხრეთ-ოსეთი).

ელდარის ზედა სარმატული ნალექებიდან ხერხემლიანთა ფაუნა პირველად მოპოვებულ იქნა 1913 წელს დომბროვსკის მიერ. ეს ფაუნა განსაზღვრა ალექსეევა [2]; უკანასკნელი ასახელებს:

Tragocerus n. sp.

Tragocerus valensiensis Gaudry

Gazella sp.

ამავე ადგილებში სხვადასხვა დროს გათხრები უწარმოებიათ ბ. პროხოროვს, მ. ბაირუნასს, ს. მიხაილოვს და ვ. ბოგაჩოვს [5].

უკანასკნელად 1938 წელს ელდარში გათხრები აწარმოვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებამ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტთან ერთად.

ამ გათხრების შედეგად დაგროვილია დიდძალი მასალა. ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიერ [18] წინასწარი განსაზღვრის შედეგად მოცემულ სიაში სხვა ნამარხებთან ერთად აღნიშნულია:

Tragocerus sp.

Gazella sp.

ელდარის განამარხებულ ხერხემლიანთა ფაუნიდან ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ანტილოპები. მასალაში ანტილოპების ორი სახეობაა: *Tragocerus frolovi* (?) Pavl. var. *eldaricus* n. var., *Tragocerus* sp. (*frolovi*)? Pavl.

გარეჯის უდაბნოში 1939 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების მიერ ე. წ. ფერად წყებაში (ზედა სარმატი) გათხრების შედეგად მოპოვებულია მეტად საინტერესო მასალა, რომელიც ადრე უცნობი იყო ამ მიდამოებისათვის.

მოპოვებულ ნამარხ ძუძუმწოვართა სია, ნ. ო. ბურჩაკ-აბრამოვიჩის განსაზღვრების მიხედვით, მოცემული აქვს დ. წერეთელს შრომაში — „ნეოგენის მაწოვართა სამარხების გათხრები გარეჯის უდაბნოში“. ანტილოპებიდან აქ დასახელებულია *Tragocerus* sp., *Gazella* sp.

1947 წელს ამავე რაიონში ვათხრები აწარმოვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებამ. დაგროვილი ფაუნა განსაზღვრულ იქნა ნ. ო. ბურჩაქ-აბრამოვიჩის მიერ [19].

გეოლოგიის განყოფილებაში დაცული უდაბნოს ძუძუმწოვართა ფაუნა წარმოდგენილია ძირითადად ჩონჩხისა და თავის ქალის ცალკეული ფრაგმენტებით.

უდაბნოს ნამარხ ხერხემლიანთა ფაუნის კომპლექსში ჩვენს მიერ განსაზღვრულ იქნა ანტილოპების ჯგუფის შემდეგი ფორმები:

Tragocerus leskeviczi Borissiak

Gazella deperdita Gaudry

ამრიგად, მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების კოლექციებში (ურშია, ელდარი და უდაბნო) ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა ანტილოპების ჯგუფიდან: *Gazella gaudryi* Schlosser var. *maragensis* Gab., *Gazella deperdita* Gaudry, *Oiocerus rothi* Wagner, *Protragelaphus* sp., *Tragocerus amaltheus* Gaudry, *Palaeoryx major* Schlosser, *Tragocerus* sp., *Tragocerus leskeviczi* Borissiak, *Tragocerus frolovi* (?) Pavl. var. *eldaricus* n. var., *Tragocerus* sp. (*frolovi*)? Pavl.

ქვემოთ ვიძლევი აღნიშნულ ფორმათა პალეონტოლოგიურ აღწერას.

Gazella deperdita Gaudry

1925 — *Gazella deperdita* Gaudry — А. Алексеев. Фауна позвоночных д. Ново-Елизаветовки. Сур. 32, გვ. 262.

მასალა: მარცხენა რქა (კოლ. 269 — 52).

ა ლ წ ი რ ა

რქის მთელი ზედაპირი დაღარულია. რქას შიდა ზედაპირზე მთელ სიგრძეზე მიუყვება ერთი ღრმა ღარი. ღარის ორივე მხარეზე განვითარებულია მოკლე და არა ღრმა ნაქდევები. რქა გვერდებიდან გაბრტყელებულია. მისი განივი კვეთი ელიფსურია. რქა უკან გადახრილია და მისი შიდა ზედაპირი კუთხედია, გარე ზედაპირი კი მომრგვალებული.

მეჭენემის [15] მიერ დასურათებულ და აღწერილ ფორმებთან შედარებისას გამოირკვა, რომ ჩვენი ფორმა აგებულია ნაქდევების ხასიათით, რქის გადალუნვით და სხვა ნიშნებით, დიდ მსგავსებას იჩენს მეჭენემის *Gazella deperdita* Gaudry-სთან, რომლისაგანაც განსხვავდება მცირე სიდიდით, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ის ახალგაზრდა ინდივიდს წარმოადგენს.

ზომები:

სიგრძე ფუძიდან წვერამდე — Ca 53,20 მმ

წინა კიდის უდიდესი სიგრძე 25,5 მმ


” ” ” სიგანე 8,38 მმ

შედარება. ჩვენი ფორმა იდენტურია *Gazella deperdita*-სი, მხოლოდ მისგან მცირე ზომით განსხვავდება.

სადაურობა — უდაბნო.

გავრცელება — ზედა სარმატი (ფერადი წყება).

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთაბე, ტ. XVII—A





Tragocerus leskeviczi Borissiak

ტაბ. I, სურ. 1, 2

მასალა: ქვედა ყბის ძვლის მარჯვენა შტოს ფრაგმენტი M_1 , M_2 , M_3 კბილებით (კოლ. 139 — 98).

ა ლ ფ ი რ ა ბ

ყბის ძვალი წარმოადგენს ფრაგმენტს, რომელიც შეიცავს $M_1M_2M_3$ კბილებს და P_4 კბილის ფესვებს. ყბის ძვალი მასივურია; შესქელებულია M_1 კბილის ძირთან. კბილები გადაცვეთილია საშუალოზე მეტად. M_1 კბილის გვირგვინი მაღალია, მესამე სეგმენტის ზედაპირი მოცვეთილია, დანარჩენი ნაწილი კი მახვილი ქიმის მსგავსადაა აზიდული. შიდა ზედაპირზე კარგად ჩანს მახვილი წიბოები, მეტად თუ ნაკლებად გამოსახული. გარე ზედაპირი მკვეთრად მახვილია. სეგმენტთა შორისი უბნები ვიწროა და მათ შორის ვერტიკალურად აღმართულია კოლუმელა, რომელიც გვირგვინის მთელი სიმაღლის $1/4$ -ს აღწევს. კოლუმელას სიმაღლე—4,85 სმ, სიგანე — 1,80 მმ.

საღეჭ ზედაპირზე „მარკები“ მოხრილია რკალისებურად, დახშული და არა ღრმად ჩაჭრილი. წინა და უკანა ნახევარმოვარისებური მოედნები მახვილია, გარე მოედნები კი უფრო მოსწორებული.

M_2 კბილის გვირგვინი მაღალია და შესქელებული, შიდა ზედაპირი ჩამოშრებულია. კბილის გარე ზედაპირზე მახვილი წიბოებია გამოსახული. შიდა ზედაპირზე ქიმები და ნაკვდევები შედარებით უფრო მკვეთრადაა გამოსახული, ვიდრე გარე ზედაპირზე. კბილის საღეჭი ზედაპირი მოცვეთილია და „მარკები“ მას ძალაან სუსტად ემჩნევა (ძაფის მაგვარად მიუყვება მთელ ზედაპირზე).

წინა და უკანა ნახევარმოვარისებრი მოედნები ამალღებულ ქედებს წარმოადგენენ, კბილის გვირგვინი შესქელებულია, განსაკუთრებით წინა სეგმენტთან.

შიდა ზედაპირზე ხუთი მახვილი წიბოა, რომელთაგან ორი გაუყვება მთელ სიმაღლეზე, დანარჩენები კი კბილის სიმაღლის შუა ნაწილამდე.

არა ღრმა „მარკები“ საღეჭ ზედაპირზე აღწევენ გარე კიდეებს. ზომები:

სადაურობა	ქვედა ყბის კბილები	საღეჭი ზედაპირი		გვირგვინის გარე ზედაპირი		გვირგვინის სიმაღლე შიდა ზედაპირიდან	კბილის გვირგვინის სისქე ფუფქში
		სიგრძე	სიგანე	უღი-ღესი	უშცი-რესი		
1. ელდარი (ბოჯაოვის მიხედვით ბაქოს საბუნებისმეტყველო ისტორიული მუზეუმი)	M_1	15,5 მმ	10 მმ	14 მმ	9 მმ	—	—
	M_2	18 „	9,5 „	15 „	12 „	12,5 მმ	12 მმ
	M_3	24 „	9 „	15,5 „	13 „	13 „	13 „
2. ელდარი (საქ. სახ. მუზეუმის ფონდი. 139—98)	M_1	15,55 „	10,25 „	—	—	14,25 „	13 „
	M_2	16,20 „	10,45 „	—	—	13,70 „	10,60 „
	M_3	22,25 „	10,25 „	—	—	17,40 „	12,25 „

შედარება. საერთოდ ელდარის ტრაგოცერასები ხასიათდებიან ძირის კბილების მინანქრის ძლიერი დანაოქებით, განსაკუთრებით კბილის გვირგვი-

წინ შიდა ზედაპირზე, კარგად განვითარებული ბაზალური სვეტით და ნახევარ-მთვარისებრი მოედნების ძლიერი წამახვილებით. ყველა ამ დამახასიათებელი ნიშნებით ჩვენი ეგზემპლარი ძლიერ ემსგავსება ბოგაჩოვის [5] მიერ აღწერილ და განსაზღვრულ *Tragocerus leskeviczi Borissiak*-ს, რომელიც დატულია აზერბაიჯანის საბუნებისმეტყველო ისტორიულ მუზეუმში.

სადაურობა — ელდარი.

გავრცელება — ზედა სარმატი.

Tragocerus sp.

ტაბ. I, სურ. 3, 4

მასალა: ქვედა ყბის მარცხენა ტოტის ფრაგმენტი $M_2M_4DP_4$, P_3 კბილებით. M_3 კბილს ალვეოლამდე არ ამოუღწევია (კოლ. 139—110).

ა ლ ფ ე რ ა

ქვედა, მარცხენა ყბის ძვლის ტოტის ფრაგმენტი ცუდი შენახულია. მას წინა ნაწილი — საჭრელი კბილები და უკანა აღმავალი ტოტი აკლია. ძვალი მოკლეა და კიდები მორგავლებული აქვს. აღმავალი ტოტი, როგორც ჩანს, ვერტიკალურად მდგომი იყო, რის გამოც ჰორიზონტულ ტოტსა და აღმავალ ტოტს შორის იქმნებოდა, მახვილი კუთხე. ყბის უკანა კიდე განზიდულია და სწრაფად მრგვალდება.

M_3 — კბილის გვირგვინი ამოჭრის სტადიაშია.

M_2 — კბილის გვირგვინი აზიდულია. მისი წიბოები სამკუთხედისებურია. შიდა ზედაპირზე ექვსი მკვეთრი ნაოჭი აქვს, რომლებიც მიყვებიან გვირგვინს მისი ფუძიდან საღებო ზედაპირამდე (კიდებზე შესუსტებულია, შიგნით კი წამახვილებული). საღებო ზედაპირი არაა მოცვეთილი. ზედაპირზე „მარკები“ სიგრძივია. მათი ბოლოები აღწევენ წინა და უკანა კიდებს. წინა და უკანა ნახევარმთვარისებრი მოედნები მოუცვეთელია.


M_1 კბილის გვირგვინი მაღალია, სეგმენტების გარე ზედაპირი კი მახვილია. სუსტად შეჭრილ უბეში ბაზალური სვეტი ვიწროა და მაღალი; იგი კბილის მთელი სიმაღლის შუა ნაწილამდე აღწევს.

შიდა ზედაპირზე ნათლად ჩანს წიბოები, რომლებიც ირიბადაა განლაგებული. საღებო ზედაპირი დაზიანებულია (ჩამოტეხილი აქვს ქიმები, როგორც წინა, ისე უკანა ნაწილში). მაგრამ „მარკები“-ს ნაოჭები, რომელნიც მთელ ზედაპირს იკავებენ, გაღუწულია უკანა კიდისაკენ, ვიწროა და არ არის ღრმად ჩაჭრილი.

P_4 კბილის გვირგვინი დაბალია, მოცვეთა, როგორც სჩანს, სუსტად შეხებულია. გარე ზედაპირი დალარულია, შიდა ზედაპირზე ორი სვეტია, რომელიც საღებო ზედაპირს აღწევს.

საღებო ზედაპირზე „მარკები“ მკვეთრადაა გამოსახული, ზოგი ნახევარმთვარისებრი მოხაზულობისაა, ზოგი წაგრძელებულ ოვალისებური. გარს უვლით მინანქრის ამაღლებული საღებო წინა და უკანა ნახევარმთვარისებრი მოედნები მოცვეთილია.

P_3 კბილს გვირგვინის წინა ნაწილი აზიდული აქვს. შიდა მხარის ზედაპირზე ორი ღრმა ნაქდევია, რომლებიც შემოფარგლულია ამაღლებული მინანქრის საღებოებით.



წინა და უკანა ნახევარმთავრისებრი მოედნები მოცვეთილია და ზედაპირი სადა აქვს.

ჩვენ ხელთ, როგორც ჩანს, არის ზრდადაუმთავრებელი ეგზემპლარი, რაზედაც ლაპარაკობს ის, რომ M_3 კბილს ალვეოლამდე არ მიულწევია და კოლუმელა არც ერთ კბილს არ ახლავს.

შედარება. ჩვენი ეგზემპლარი მსგავსებას იჩენს *Tragocerus leskeviczi*-თან. მას კბილები წაგრძელებული აქვს, შიდა ზედაპირზე განვითარებულია მახვილი წიბოები და გარე ზედაპირი კი კუთხაღია; განსხვავდება ყბის ძვლის სიმოკლით და საკმაოდ განიერი ქვედა კიდით. ჩვენ ფორმას უკანა კუთხე არა აქვს განზიდული და აღმავალი შტო ეშვება ვერტიკალურად. რაც *Tragocerus leskeviczi*-სათვის არ არის აღნიშნული.

სადაურობა — ელდარი.

გავრცელება — ზედა სარმატი.

Tragocerus frolovi (?) *Pavl var. eldaricus var. nova*

ტაბ. I, სურ. 5

მასალა: მარჯვენა რქა (კოლ. 139 — 70).

ა ლ შ ვ ი ლ ი

მასალა წარმოადგენს მარჯვენა რქას, შუბლის და თვალბუდის ძვლის ნაწილებით. რქა საკმაოდ მოზრდილია და მასივური. გვერდებიდან შექყლებული, გარე ზედაპირი მკირედ ამობურცულია, შიდა კი ვაბრტყელებული და შეზნექილი. რქა თხელდება წვერისკენ და მოკვეთილ ხანჯლის პირს გვაგონებს. წინა კიდის ზედაპირი მომრგვალებულია და დამუხლული. ყოველი მუხლი მთავრდება მრგვალი კორძით. შუა და მთავარი მუხლი ყველაზე დიდია და მასზე კარგად შეიმჩნევა ღრმა და ფართო ნაქდვევი, რომელიც გასდევს რქის ამ ნაწილს ბოლომდე.

გარე და შიდა ზედაპირები დასერილია ვიწრო, მოკლე არა ღრმა და სხვადასხვა ზომის ღარებით, რის გამოც ზედაპირი ბადისებური ჩანს.

რქას ზურგის მხარეზე არა ბოლომდე მიუყვება ორი ღრმა და განიერი ღარი, მათ შუა კი მოთავსებულია ერთი ვიწრო და მოკლე ღარი. რქის კვეთი სამკუთხედისებურია.

ჩვენი ფორმა შედარებულია პავლოვას [10] *Tragocerus frolovi*-სთან, ხომენკოს *Tragocerus amaltheus*-თან, ბორისიაკის [6] *Tragocerus leskeviczi*-თან რომლებთანაც იჩენს დიდ განსხვავებას, ხოლო ალექსეევის [1] *Tragocerus frolovi* *Pavl.*-თან ის ძლიერ დიდ მსგავსებას იჩენს: რქის მასივურობით, ხანჯლისებრი მოყვანილობით, რქის სამკუთხედისებრი კვეთით და წინა კიდის ვამობურცულობით, განსხვავდება მისგან წინა კიდის მკვეთრი დამუხვლით.

როგორც აღწერიდან ჩანს, ჩვენ ფორმას წინა კიდის ზედაპირი მომრგვალებული და დამუხლული აქვს, ალექსეევისის კი სრულიად სადა, რის გამოც ჩვენ ამ ფორმას გამოვყოფთ, როგორც *Tragocerus frolovi var. eldaricus var. nova*.

Tragocerus sp. (*frolovi*)? *Pavl.*

ტაბ. II, სურ. 1, 2, 3, 4

მასალა: დაზიანებული თავის ქალა, კეფის ძვლის ზედა ნაწილი და თხემი, სასის ძვლის ფრაგმენტები, ზედა ყბის მარცხენა შტო $M^3M^2M^1P^4P^3$ კბი-

ლებით, თვალბუდის ღრმული, შუბლის ძვლის ნაწილი, მარცხენა რქა (კოლ. 139 — 174).

ა ლ წ ი რ ა

თავის ქალა დაზიანებულია. მას შერჩენილი აქვს შუბლის ძვლის ნაწილი, რომელიც საკმაოდ დაქანებული და გაფართოებულია. მის გარე კიდეზე კარგადაა გამოსახული მარცხენა თვალბუდის ღრმული, რომელიც წაგრძელებულ-ოვალურია. შუბლის ძვლის დაბოლოვებაზე რქის გამონაზარდებია. დაცულია მხოლოდ მარცხენა რქა.

კეფის ძვალი ამაღლებულია; გვერდითი კიდეები ევრტიკალურადაა დაქანებული, ფუძეში შედარებით გაფართოებულია და მასივური. ძვალს კონდილუსები ძლიერ აქვს განვითარებული, მათი ზედაპირი მორგავალებულია. კეფის ძვლის ნახვრეტი გაფართოებულია, და ოთხკუთხისებური მოყვანილობისაა. კონდილუსებს შორის მანძილი 25 — 26 მმ აღწევს.

კეფის ბაზალური ძვალი გამობურცულია და შუაზე მიუყვება მკვეთრი წიბო, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე ჩაღრმავებებია. არ შერჩენია დაფის ბუშტები.

რქა ძირში მცირედაა შესქელებული, მცირე კუთხით გადაღუნულია ზურგის მხარეს, გვერდები შექყლეტილი აქვს; შექყლეტა უფრო მეტად შეიმჩნევა წვერისკენ. რქის წინა კიდის ზედაპირი გაბრტყელებულია, ხოლო ზურგის მხარის — წამახვილებული. რქა მკვეთრად დაღარული მრავალი წიბოთი. გარე მხრის ზედაპირი სრულიად ბრტყელია, შიგა კი ოდნავ ამობურცული. რქის მოტეხილი აქვს წვერი.

ამ ფორმას რქები ძლიერ განზიდულად მდგომი ჰქონია, ფუძეებით ირიბად მდგომი და დაახლოებული ერთიმეორესთან. რქის კვეთი მოგრძო ოვალურია.

ზედა ყბის მარცხენა შტო შეიცავს $M^3M^2M^1P^3$ კბილებს, რომელთა საღეჭი ზედაპირი ძლიერაა მოცვეთილი. ყბის ძვლის შიდა ნაწილი დაშლილია, მაგრამ კბილების ძირში მაინც შერჩენილა.

M^2 კბილი ძლიერაა მოცვეთილი, დასულია თითქმის ალვეოლამდე. შიდა ზედაპირზე სეგმენტები გლუვია. გარე ზედაპირი დასერილია ღრმა ღარებით, რომელნიც მარაოსებურად იშლებიან ფუძიდან წვერისაკენ. საღეჭ ზედაპირზე „მარკები“ მთლიანადაა დაცული; ისინი კიდეებისაკენ თანდათან ვიწროვდებიან და თითქმის უკანა კიდეს ებჯინებიან. სეგმენტებს შორის უბეები სუსტადაა შეჭრილი, კოლუმელა არ შეიმჩნევა.

M^2 კბილი მოცვეთილია, შიდა მხარის ზედაპირი გლუვია. გარე ზედაპირზე სამი ფართო და ღრმა ნაჭდევია, რომლებიც თითქმის კბილის გვირგვინის ფუძემდე არ აღწევენ და იშლებიან, რის გამოც უკანა კიდე დაკბილულია. საღეჭ ზედაპირზე „მარკების“ მინაქარი ამაღლებულია, მიიმართება ირიბად და აღწევს თითქმის საღეჭი ზედაპირის უკანა კიდეს. მარკები დახშულია. უკანა კიდე აზიდულია და დაკბილული. სეგმენტებს შორის უბეები არაა ღრმა. კოლუმელა არაა აქვს.

M^1 კბილის გვირგვინი მოგრძო ოთხკუთხედიანია, საღეჭი ზედაპირი ძლიერ გადაცვეთილი აქვს, შიდა მხარის ზედაპირი გლუვია, გარე ზედაპირი დაღარული. სეგმენტებს შორის უბე არაა ღრმად შეჭრილი, წინა მოედნები მის-



წორებულია, უკანაზე ეტყობა წიბო. „მარკების“ ნაშთები გამოსახულია ნახევარმთვარისებურად. კოლუმელა არა აქვს.

P⁴ კბილის გვირგვინი სამკუთხი მოყვანილობისაა, ფუძე გარე მხრისაკენ არის მიმართული, კბილი საკმაოდ მოცვეთილია. შიდა მხარის ზედაპირი გლუვია, გარე ზედაპირზე ნათლად ჩანს ორი თანაბრად გაფართოებული ნაკადევი, რომელიც ფუძეს ვერ აღწევს. საღებუ ზედაპირზე „მარკების“ ნაშთილად დარჩენილი.

P³ კბილის საღებუ ზედაპირი საკმაოდ მოცვეთილია, უკანა ნაწილი დაღებულული და ჩაღრმავებულია. კბილის მოხაზულობა ნახევარმთვარისებურია, შიდა მხარის ზედაპირი გლუვია, გარე კი დაღარულია მოკლე და ღრმა ნაკადევებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ხელთ არსებული ტრაგოცერუსის თავის ქალა დაზიანებულია, მისი შედარება სხვა ფორმათა თავის ქალასთან მაინც ხერხდება.

შედარება. ვ. ბოგაჩოვი [5] ელდარის ტრაგოცერუსის ზედა ყბებისათვის დამახასიათებელ ნიშნად სთვლის ძირის კბილების გვირგვინის ძირის შესქელებას, გვირგვინის გარე ზედაპირის ძლიერ დანაოქებას და ბაზალური სვეტის განვითარებას. უკანასკნელი ჩვენ ფორმას არა აქვს. ეს ფორმა ვ. ბოგაჩოვს აღწერილი აქვს როგორც *Tragocerus aff. leskeviczi* Boriss. აღექსევიის [1] *Tragocerus frolovi*-ს ზედა ყბის ძირის კბილებს გარე ზედაპირზე ძლიერ სუსტად აქვთ განვითარებული მინანქრის ნაოქები, რომელნიც მარაოსებურად იზღებთან წვერისაკენ. ბაზალური წარმონაზარდიც არა აქვთ კოველთვის განვითარებული.

რაც შეეხება ბორისიაკის [6] მიერ აღწერილ *Tragocerus leskeviczi* Boriss—მას ზედა ყბის კბილები განლაგებული აქვს ირიბად. გარე ზედაპირზე ძლიერადაა განვითარებული ნაოქები. ამ ნიმუშის თვალზედგე ოვალური მოყვანილობისაა.

პავლოვას [10] მიერ აღწერილ *Tragocerus frolovi*-ს ისე როგორც ჩვენ ფორმას რქები განვითარებული აქვს შუბლის წინა ნაწილში. რქას ახასიათებს მკვეთრი წიბოები წინა ზედაპირზე და ფუძეებით ძლიერ დაახლოებული არიან.

როგორც აღწერიდან ჩანს, ჩვენი ეგზემპლარის რქა მასივურია და თითქმის სწორმდგომი, ზედაპირი დაღარული აქვს მსხვილი წიბოებით, წინა კიდეს ახასიათებს ერთი მახვილი და მძლავრი წიბო, რომელიც მთელ სიგრძეზე გასდევს რქას. რქა ხანჯლისებრი მოყვანილობისაა.

ჩვენი ფორმა თავის ქალის, ზედა ყბის კბილების და რქების აგებულებით უახლოვდება *Tragocerus leskeviczi* Boriss.-ს ორიგინალს, რომელიც დაცულია ლენინგრადის გეოლოგიის ინსტიტუტის მუზეუმში, მისგან განსხვავდება კბილებზე კოლუმელას არ არსებობით და რქების თავისებური მდებარეობით, ამ უკანასკნელი ნიშნებით კი იგი ანალოგიურია *Tragocerus frolovi*-ს

უდაბნოსა და ელდარის ზედა სარმატული ანტილოპების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ მათ სხვა ადგილსამყოფელთა ანალოგიური ნაღებების ანტილოპებთან შედარებით ახასიათებთ გარკვეული თავისებურება, რაც მნიშვნელოვანია მათი პალეოგეოლოგიური პირობების დადგენისა და ბიოლოგიურ თავისებურებათა გარკვევისათვის.

გარდა ამისა, ამ ანტილოპების შესწავლას მნიშვნელობა აქვს ერთი მხრივ, მათი ამიერკავკასიის ჰიპარიონულ ფაუნასთან პარალელიზაციის თვალსაზრისით, და მეორეს მხრივ, უდაბნოს და ელდარის ზედა სარმატული ნალექების ასაკის დაზუსტებისა და ამ ადგილებისათვის ფაუნათა ცნობილი სიების ახალი მონაცემებით შეესების თვალსაზრისით.

Е. Г. ГАБАШВИЛИ

МИОЦЕНОВЫЕ АНТИЛОПЫ, ХРАНЯЩИЕСЯ В ФОНДАХ ГОСМУЗЕЯ ГРУЗИИ

Р е з ю м е

Автором в данной работе даётся описание Урмийских (плиоценовых), Эльдарских и Удабнойских (верхнесарматских) антилоп, хранящихся в коллекционных фондах отдела геологии Госмузея Грузии имени акад. С. Н. Джанашиа.

Вступительной части статьи автор даёт краткое описание геологических условий Удабно и Эльдара, а также краткий обзор изученности этих месторождений.

В коллекциях Музея Грузии материал представлен: черепами (редко), отдельными костями челюстей, рогами, отдельными зубами и фрагментами костей конечностей антилоп.

Урмийская фауна собрана в 1916 г. проф. Богачевым; фауна же антилоп из Удабно и Эльдара собрана отделом геологии Госмузея Грузии в 1938, 1939, 1947 гг.

В данной работе автор даёт описания:

Gazella deperdita Gaudry, *Tragocerus* sp., *Tragocerus leskevici* Borissiak, *Tragocerus frolovi* Pavl. (?) var. *eldaricus* var. *nova*, *Tragocerus* sp. (*frolovi*)? Pavl.

Автором отмечаются некоторые особенности антилоп из гиппарионовой фауны Грузии. В заключении автор указывает на большое значение изучения этих антилоп, во-первых, с точки зрения параллелизации их с антилопами гиппарионовой фауны Закавказья, и, во вторых, с точки зрения пополнения новыми данными списков гиппарионовой фауны вышеуказанных местонахождений.

Приводится краткое описание этих форм:

Gazella deperdita Gaudry

(колл. 269 — 5, Эльдар)

Левый рог, маленького размера, приплюснутый с боков, редкими рёбрами на поверхности, с эллиптическим сечением.

Тождественна с рогами *Gazella deperdita* Gaudry описанным А. Алексеевым [1].

Tragocerus leskeviczi Borissiak

Таб. I, рис. 1, 2

(колл. 139 — 98, Эльдар)

В коллекции имеется правая ветвь нижней челюсти с зубами $M_1M_2M_3$. Характерной чертой описанной формы является сильная морщинистость эмали и развитие базальных столбиков на зубах. Выявляет большое сходство с формой данного вида, хранящегося в Естественно-историческом Музее Азербайджана, описанного В. Богачевым [5].

Tragocerus sp.

таб. I, рис. 3, 4

(колл. 139 — 110, Эльдар)

В коллекции левая ветвь нижней челюсти с зубами $M_2M_1DP_1DP_2$ и M_3 ещё не достигшей альвеолы. Челюсть эта неполная, отсутствует передняя часть с резцами и задняя часть восходящей ветви.

У описанной формы задний нижний угол челюсти округлого очертания. Экземпляр этот более всего подходит к *Tragocerus leskeviczi*, но от последнего отличается тем, что у нашей формы челюстная кость короткая и восходящая ветвь поднимается вертикально, а не наклонно, как у *Tragocerus leskeviczi*.

Tragocerus frolovi (?) var. *eldaricus* var. nova

таб. I, рис. 5

(колл. 139 — 70, Эльдар)

В коллекции представлен правый рог с лобной и глазничной частью костей. Рог массивный и с боков приплюснутый, передний край округлый и ступенчатый, сечение трёхугольное. Сравнение показывает, что форма близка к *Tragocerus frolovi* Pavl., но резко отличается от него ступенчатостью переднего края.

Tragocerus sp. (*frolovi*)? Pavl.

таб. II, рис. 1, 2, 3, 4

В коллекции имеется череп плохой сохранности, он представлен верхней частью черепа, небных костей и верхних челюстных костей с зубами $M^2M^2M^1P^4P^3$, левым рогом, глазничным отверстием и частью теменных костей. Рог в основании утолщён и перегнут под большим углом назад. Рога своими основаниями сближены, концы же их постепенно расходятся и выходят за пределы черепной коробки. Сечение рога продолговато-овальное.

Зубы сильно стёрты, коллумелы нет.

Сравнивая с формами *Tragocerus*, описанными В. Богачевым [5], Алексеевым [1], Борисяком и другими, заключаем, что эта форма резко отличается от них, отсутствием на зубах коллумелы и расположением рогов.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. А. Алексеев, Фауна позвоночных д. Ново-Елизаветовки, 1915.
2. А. Алексеев, Верхнесарматская фауна млекопитающих Эльдари, Труды Геологического Музея АН СССР, т. VII, 1930.
3. К. Андрианов и Н. Лариш, Условия залегания костей Верхнесарматских позвоночных степи Эльдара, Бюллетень Московского О-ва испытателей природы, отд. геологии, т. XIII [4], 1935.
4. В. Богачев, Урмийское и Ванское озёра, Известия Азербайджанского Государственного Университета, т. 7, 1928.
5. В. Богачев, Палеонтологические заметки о фауне Эльдари, Известия общ. обследования и изучения Азербайджана, т. 5, 1927.
6. А. Борисьяк, Севастопольская фауна млекопитающих, Труды Геологического комитета, новая серия, вып. 87, 1914.
7. А. Борисьяк, Обзор местонахождения третичных позвоночных млекопитающих Союза ССР, АН СССР, 1943.
8. П. Домбровский, Заметки о геологических условиях нахождения костей ископаемых млекопитающих в местности Эльдара (Тбилисская губ.), Тр. геол. Музея АН СССР, т. VIII, вып. 14, 1914.
9. Н. Кудрявцев, Геологические исследования в междуречьи Алазани и Куры, Тр. Нефтяного геол. развед. Ин-т, сер. Б, вып. 32, 1932.
10. М. Павлова, Краткое описание новой третичной фауны млекопитающих Юга-России, Ежегодник по геологии и минералогии России, том, XVI, вып. 7 — 8, 1914.
11. М. Павлова, Палеозоология, II часть, 1929.
12. Л. Рябинин, Геологическое исследование в Ширакской степи и её окрестностях, Труды геологического комитета, новая сер. вып. 93, 1913.
13. С. Симонович, Геологическое наблюдение в области междуречного водораздельного плоскогорья рр. Иори и Куры, в пределах Тбилисси-Самххе, матер. для геологии Кавказа, сер. 3, вып. I, 1898.
14. Bohlin, cavicornier der Hipparion Fauna Nord-Chinas, Palaeontologia Sinica 1935.
15. De Meuse, Fossiles de Maragha. Annales de paleontologie т. XIV, 1925.
16. ე. გ. გაბაშვილი, მარაგის ნეოგენური ფაუნის ანტილოპები, საქ. სახ. მუხ. მოამბე. ტ. XV — A, 1953.
17. ლ. გაბუნია, ჰიპარიონული ფაუნის ახალი ადგილსამყოფელი საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 5, 1952.
18. დ. წერეთელი, ნეოგენის მაწოვართა „სამარხები“-ს გათხრები გარეჯის უდაბნოში, საქართველოს სახ. მუხეუმის მოამბე, ტ. XI — A, 1943.
19. დ. წერეთელი, შენიშენები გარეჯის უდაბნოს ნეოგენურ ხერხემლიანთა განამარხების პირობების შესახებ, საქ. სახ. მუხეუმის მოამბე, ტ. XV — A, 1953.

ტაბულეზის ახსნა — ОБЪЯСНЕНИЕ ТАБЛИЦ

ტაბულა I таблица

- სურ. რის. 1, 2. *Tragocerus leskeviczi* Borissiak.
 სურ. რის. 1. ქვედა ყბა $M_2M_2M_1$ კბილებით — Нижняя челюсть с $M_2M_2M_1$ зубами.
 სურ. რის. 2. ქვედა ყბა კბილებით, საღეჭი ზედაპირიდან — Нижняя челюсть с жевательной поверхности.
 სურ. რის. 3, 4. *Tragocerus* sp.
 სურ. რის. 3. ქვედა ყბა $M_2M_1P_1P_2$ კბილებით — Нижняя челюсть с $M_2M_1P_1P_2$ зубами.
 სურ. რის. 4. ქვედა ყბა კბილებით, საღეჭი ზედაპირიდან — Нижняя челюсть с жевательной поверхности.
 სურ. რის. 5. *Tragocerus frolovi* Pavl. (?) var. *eldaricus* var. *nova*.
 სურ. რის. 5. მარჯვენა რქა — Правый рог.

ტაბულა II Таблица

- სურ. რის. 1, 2, 3, 4. *Tragocerus* sp. (*frolovi*)?
 სურ. რის. 1. თავის ქალა გვერდიდან — Череп сбоку.
 სურ. რის. 2. თავის ქალა ზურგის მხრიდან — Череп сзади.
 სურ. რის. 3. ზედა მარცხენა ყბა $M^2M^2M^1P^1P^2$ კბილებით შიდა მხრიდან — Челюсть с $M^2M^2M^1P^1P^2$ зубами изнутри.
 სურ. რის. 4. ზედა ყბა კბილებით საღეჭი ზედაპირიდან — Верхняя челюсть с зубами жевательной стороны.



1



2





3



4







იგი კახეთის ყველა რაიონში არის გავრცელებული, სახელდობრ: საგარეჯოს რაიონში—გომბორის მიდამოებში, კოდას საძოვრებზე, სოფ. ვაშლოვანის მიდამოებში, სათავის ტყეში, თელავში—მანანწრის ხევზე, სოფ. შალაურის ტყის მიდამოებში, სოფ. თეთრწყლების მიდამოებში, წითელწყაროში—ქალის ხევზე, შირაქში, შავიმთის მინდვრებზე.

შენიშვნა: ჩვენ მიერ შეგროვილ ტყემლის მასალებში, ტყემლის ნაყოფის ერთერთი ნიმუში, საყურადღებოა იმით, რომ მსხვილნაყოფიანია (3—4,5 სმ დიამეტრის), გემოთი ტკბილი; კურკა ნაყოფის ხორციან ნაწილს ადვილად სცილდება. ლიტერატურული წყაროების მონაცემებით [8], პირიქით, უნდა იყოს (ე. ი. კურკა ხორცილვან ნაწილს არ სცილდება). ეს საკითხი მომავალში მოითხოვს უფრო დეტალურ დაკვირვებასა და ზუსტ შესწავლას.

მოსხენიებული ტყემლის ეს ფორმა დიდ ინტერესს წარმოადგენს, ქლიავის წარმოშობის დასადგენად, თავისი კარგი სამეურნეო თვისებებით და აგრეთვე ინტერესს არაა მოკლებული ამ ტყემლის ფორმის კულტურაში შეტანა.

სამეურნეო გამოყენება: ტყემლის ნაყოფი იხმარება მურაბის, კომპოტის და ტულაპის დასამზადებლად, ხდიან არაყს და გამოყენებულია ჩირის სახით. შეიცავს შაქარს 5%, ვაშლის მჟეავას, საკმაოდ მდიდარია ვიტამინებით, განსაკუთრებით C ვიტამინით. კარგი საძირე მასალაა სხვადასხვა ჯიშის ქლიავის, ატმის, ჭერმისა და სხვა კურკოვანებისათვის.

9. ზაყვალი — *Rubus*.

საკმაოდ მდიდარია შემადგენელი სახეობებით, კახეთისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი ტყის ფორმებია *R. georgicus* Focke, *R. candicans* W. თელავში კი უფრო მეტად გავრცელებულია *R. dolichocarpus* Juz. — ძუძუ-მაყვალა. ზაყვალი იზრდება ბუჩქების სახით, რომლებსაც უვითარდება ეკლით ან ჯაგრით მოფენილი ღეროები, ეს უკანასკნელი ორნაირია, ორწლიან გახევებული, მსხმოიარე და ერთწლიანი. პირველ წელს მხოლოდ ფოთლებია განვითარებული, ფოთლები რთულია 3—7 ფოთოლაკიანი.

ა. ძუძუმაცყვალა — *Rubus dolichocarpus* Juz.

ბუჩქია, ფოთლები 5 ფოთოლაკიანი აქვს. მსხმოიარე ტოტები 3 ფოთოლაკიანი, ზოგჯერ 5 ფოთოლაკიანი, ყვავილენი დიდი ზომისაა. პირამიდულური საგველაა. ნაყოფი ფორმით გრძელია ან თითქმის ცილინდრული, იგი არ აოის ძალიან წინანი. ყვ. V; ნაყ. VIII.

იზრდება ფოთლოვან ტყეებსა და ტყის პირებში. მასალა შეგროვილია თელავის მიდამოების ტყეში, ადგილმდებარეობა „მაყვლიანი“.

ბ. *Rubus georgicus* Focke

ერთწლოვანი ყლორტები ბლავე წიბოებიანია, ფოთლები 5 ფოთოლაკიანია, ფოთოლაკები ზედა მხარეზე შიშველია, ქვედა მხარეზე თხლადაა თეთრქეჩისებრ შებუსხილი, ფოთლისა და ფოთოლაკების ყუნწები მოფენილია ეკლებით.

გვხვდება ფოთლოვან ტყეებში.

შეგროვილია ლაგოდეხის ტყის მიდამოებში.

გ. *Rubus candicans* Weihe

ერთწლოვანი ყლორტები რკალისებრია, ფოთლები 5 ფოთოლაკიანი, ფოთოლაკები ძალიან მოკლე ყუნწით ან თითქმის მჯდომარე. ყვავილები მოგრძოა. გვირგვინის ფურცლები მოგრძო-უკუკვერცხისებრია, თეთრი ფერისა.

იზრდება ტყის პირებში, ბუჩქნარებს შორის, მდინარეთა ნაპირებზე.

შეგროვილია თელავის ტყეში.

დ. *Rubus longipetiolatus* K. Sanadze

მცენარე დიდი ზომის ბუჩქია, საკმაოდ მძლავრი; ერთწლოვანი ყლორტები თითქმის ცილინდრულია, ფოთოლი ნაზი და დიდი ზომისა, 5 ფოთოლაკიანი, ფოთლების კიდე არათანაბარი ზომის დაკბილევით ხასიათდება, ყვავილენი დიდი ზომის საგველაა, ნაყოფი გრძელია, თითქმის ცილინდრული ფორმისა. ყვ. VI — VII; ნაყ. VII — VIII. შეგროვილია ლაგოდეხში.

სამეურნეო გამოყენება: მაყვლის ნაყოფი გამოყენებულია საჭმელად, როგორც ხილი, მურაბის, ტკბილი წვენის, სხვადასხვანაირი კონსერვების, ნაყენისა და სხვათა დასამზადებლად, ნისგანვე ხდიან არაყს. მაყვლის ღერო და ფოთოლი შეიცავს მთრინლაგ ნივთიერებას.

მაყვლის მრავალფეროვან სახეთა შორის საუკეთესო გემოსი და არომატის მქონე არის სახეობა *R. dolichocarpus* Juz. — ძუძუმაცყვალა.

10. ცირცელი — *Sorbus caucasigena* Komarov

ცირცელი იზრდება პატარა ზომის ხედ და ბუჩქად, რომელიც სიმალთ ზოგჯერ აღწევს 3-დან 10 მეტრამდე. ფოთლები კენტფრთისებრია და 11 — 19 ფოთოლაკისაგან შედგება. ნაყოფი მოწითალო ფერისა, მკვეთრი

წითლიდან მოყვითალომდე, ფორმით მოგრძო, კვერცხისებრი ან მსხლის-მოყვითალოვანილობისა. ყვ. V; ნაყ. IX.

იზრდება სუბალპურ სარტყლებში, 1600—2400 მ სიმაღლეზე ზ. დ.; უფრო ხშირად გვხვდება არყნარებში; (*Betula Litwinowii* A. D. *Betula Raddeana* Tr.); ზოგჯერ — თამელის (*Sorbus torminalis* (L.) Cr.), თხილის (*Corylus avellana* L.), იელის (*Rhododendron flavum* (G.) Don) და კავკასიური მოცვის (*Vaccinium arctostaphylos*) დაჯგუფებაში. იზრდება თელავის ტყეში, საგარეჯოში — ბებერკლდეზე, ლაგოდეხში — ნინიგორზე.

ლიტერატურული მონაცემებით [2] ცირცელი იშვიათად ჩამოდის 1400 მ ზ. დ. ჩენი საჭერბარიუმო მასალები ცირცელისა შეგროვილია 900 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. თელავში.

11. თამელი — *Sorbus torminalis* (L.) Cr.

იზრდება საშუალო ზომის ხედ, სიმაღლით 20—25 მ-მდე, ფოთლები კვერცხისებრი, ღრმად დანაკეთული; ნაყოფი კვერცხისებრი ან სფეროსებრი. მომურო-ყვითელი ფერისა, თეთრი წერტილებით. ყვ. V; ნაყ. VIII—IX.

იზრდება ტყის სარტყელში, 1700 მ-მდე ზღვის დონიდან.

გავრცელებულია საგარეჯოში, ლაგოდეხში — ქოჩალას ხეობაში, შრომის ხეში და თელავის თავში.

შენიშვნა: ჩვენ მიერ შეგროვილ თამელის საჭერბარიუმო ნიმუშებს ახასიათება სხვადასხვა ფორმის ფოთლები; ნაკლებ დანაკეთული და ღრმად დანაკეთული, შესაძლებელია იყოს ჰიბრიდული წარმოშობისა.

სამეურნეო გამოყენება: ცირცელი მთიანი რაიონებისათვის მიჩნეული ხილია, ლამაზი დეკორატიული და თაფლოვანი მცენარეა. მისი ახალგაზრდა ტოტები იძლევა შავი ფერის საღებავს. თამელის ნაყოფი გემრიელი საქმელია, მისგან ხდიან არაყს და ამზადებენ ძმარს. კარგია კირნარ ნიადაგებში გასაშენებლად. მოხდენილი დეკორატიული მცენარეა, თავისი მოზრდილი ლამაზი ყვავილების გამო.

ოჯახი თელახებრი — *Ulmaceae*

აკაკი — *Celtis caucasica* Willd.

აკაკი იზრდება საშუალო სიმაღლის ხედ ან ბუჩქის სახით; ფოთოლი 3—8 სმ სიგრძისა და 2—5 სმ სიგანისაა, მაგარი სიფრიფანსებრი, მოყვანილობით კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-რომბული, ზედა მხარეზე ლევა მწვანე ფერის, ხაოიანი, ქვედაზე მოყვითალო-მწვანე. ნაყოფი ხორციანი და კურკიანია, სფეროსებრი, მოყვითალო-წითელი, კურკა სუსტადაა დანაოქებული. ყვ. III—IV; ნაყ. IX—X.

იზრდება კლდოვან ადგილებში მშრალ მთისწინების მეჩხერ ტყეებში, იგი კარგად ხარობს ვაშლილ ვაკეზედაც, მწირ ნიადაგზეც, ნიადაგს არ უყენებს დიდ მოთხოვნილებას.

აკაკი საკმაოდ გავრცელებულია წითელწყაროს რაიონში შირაქში—შავ-მთაზე, თამარის ციხის ნანგრევებზე, ალაზნის მიდამოებში (თელავსა და ყვარლის გზის ახლოს) ერთეულ ეგზემპლარებად ყვარლის, ახმეტის, თელავის და ი. ღნაღის რაიონში.

სამეურნეო გამოყენება: აკაკის ნაყოფი ტკბილია, აქვს ნუშის გემო. მისგან ხდიან ზეთს, თვით მცენარე საინტერესოა, როგორც დეკორატიული მიზნებისათვის, ისე მწირი ადგილების გასამწვანებლად.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით აკაკის ნაყოფი გამოყენებულია სახალხო მედიცინაში კუჭის დაავადების საწინააღმდეგოდ. ხოლო ფოთოლი საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის.

ოჯახი ვაზისებრი — Vitaceae

უსურვაზი — *Vitis silvestris* Gmel.

უსურვაზი იზრდება მხვიარა ბუჩქის სახით, სიმალით 5-დან 6 მეტრამდე აღწევს, ფოთლები მრგვალი, ოვალური, თირკმლისებრი აქვს. ნაყოფი კენკრა პატარა ზომისა, მუქი ლურჯი ფერის (თითქმის შავი), იშვიათად თეთრი; მომთაო-ტკბილი, მწკლარტე გემოსი. ყვ. V; ნაყ. IX.

იზრდება მდინარეთა დაბლობებზე და მთის ტყეებში, მთაში აღის 1200 მ-მდე ზღვის დონიდან.

უმთავრესად გვხვდება ტენიან და ნოყიერ ნიადაგზე, იგი ტროპიკული და ზომიერი სარტყლის მცენარეა.

შენიშვნა: ი. მედეგეევის აზრით [23] ველური ვაზი კავკასიაში არ გვხვდება, არამედ გვხვდება გაველურებული.

ვორონოვის აზრით [20] კი ვაზი კავკასიაში გვხვდება ზოგან ველურადაც. ჩვენი დაკვირვების და მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება აღიწინოს, რომ ველური ვაზი იზრდება ალაზნის ხეობაში (თელავის რაიონში), წითელწყაროს რაიონში, ხირსის მიდამოებში. რაც შეეხება გაველურებულს (*Vitis vinifera* L.), იგი იზრდება თელავის ტყის პირას; ადგილმდებარეობა „პატარა მინდორი“, საგარეჯოს რაიონის — თვალხევის მიდამოებში. ახმეტის რაიონში — სოფ. მატანთან ახლოს.

სამეურნეო გამოყენება: ტყის ვაზი ითვლება საუკეთესო თაფლოვან მცენარედ. მკვახე ნაყოფს მოსახლეობა აგროვებს და მწნილად ხმარობს. ნ. კეცხოველი აღნიშნავს [5], რომ „გარეული ვაზი გამოსაყენებელია არა მარტო როგორც სასელექციო მასალა, არამედ მისმა შესაფერისმა შერჩევამ შესაძლებელია მოგვეცეს აგრეთვე ფილოქსერის გამძლე ვარიანტები და ჯიშები“. პროფესორი დ. სოსნოვსკი ამავე აზრს იცავს და აღნიშნული აქვს „Фл. СССР“ XIV ტ-ში, რომ გარეული ვაზი წარმოადგენს ფრიალ საინტერესო მცენარეს სელექციონერისათვის, გვალვისა და ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანის საქმეში.

დ ა ს კ კ ნ ა

1. ჩვენი მიერ დამუშავებული ველური ხილის საპერბარიუმო მასალები შეიცავს 12 ოჯახს, 25 გვარს და 32 სახეობას.

2. ველურ ხილს დიდი მნიშვნელობა აქვს მეხილეობის განვითარების საქმეში. მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც სასელექციო-საძირე მასალა.

3. ველურ ხილს არანაკლები მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ სამეურნეო დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის, როგორც ხელის შემწყობს გემოკვების მრეწველობის განვითარებისათვის.



4. წინამდებარე შრომაში აღნუსხულია კახეთში ფართოდ გავრცელებული ველური ხილის მასივები; კერძოდ, გომბორში—მაქალო და ტყემლის; სიღნაღში (ორხევი)—მაქალო; თელავის მიდამოებში—პანტა; თურდოს ტევზე—ქაცვი; ახმეტის და ლაგოდეხის რაიონში—წიფელი, ხოლო ალაზნის ტობაში—თითქმის, ყველა სახის ველური ხილი.

5. ამავე დროს, გამოვლინებულია ზოგიერთი ველური ხილის ახალი ფორმები: ოჯახი ვარდისებრიდან—ტყემლის და მაქალოს, ფშატისებრიდან—ქაცვის და სხვა.

М. И. МЕЛИКИШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ ДИКИХ ПЛОДОВЫХ КАХЕТИ

Резюме

Изучение ботанического фонда Государственного Музея Грузии показало, что образцы гербария диких плодовых из Грузии не представлены полностью. Поэтому мы сочли необходимым провести наблюдения над ними в природных условиях и пополнить фонды музея материалом.

В первую очередь были обследованы Телавский, Кварельский, Ахметский, Лагодехский, Цителцкаройский, Сигнагский и Сагареджойский районы Кахети.

Работа проведена в течение 1952/53 годов. Собран гербарный материал диких плодовых, как в стадии цветения, так и в стадии плодоношения.

В результате изучения собранного материала до некоторой степени удалось установить районы распространения диких плодовых в Кахети. Кроме того, над ними проведены наблюдения в природе, а также составлено краткое описание каждого вида.

В результате обработки нашего материала следует отметить, что в Телавском лесу наше внимание привлекла дикая яблоня, которая по некоторым характерным признакам похожа на известную грузинскую яблоню „нагала“.

В будущем мы намерены провести наблюдения над этой формой, найти подобные экземпляры для подтверждения нашего предположения.

На Гомборском перевале, в лесу собраны образцы алычи, для плодов которых характерна косточка, несросшегося с мякотью плода и крупноплодность (3 1/2 и 4 1/2 см. в диаметре). В существующем описании плода алычи (см. „Флора Грузии“ т. V) отмечено, что косточка срастается с мякотью.


Этот новый признак обязывает нас к проведению дополнительных наблюдений для исчерпывающего изучения алычи Грузии.

Кроме отмеченных растений, наше внимание привлекли два образца облепихи: один—с эллипсоидной формой плода желтого цвета и с удлиненной косточкой; второй—с плодом сферической формы, оранжевого цвета и с обратнойлицевидной косточкой. Эти два признака для плода облепихи не указаны в „Флоре Грузии“ (т. VI).

Ниже приводим список гербарного материала, собранного во время экспедиции; в тексте для каждого вида дается краткое морфологическое описание, распространение данного вида по Кахети и наши замечания о некоторых видах или формах.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ბ. ბრეგაძე, სახეობა *Prunus cerasifera* E.-ის შეზღვევლობა (ალუჩა და ტყემალი), თბილისის ბოტანიკის ინსტ. შრ. XII, 1948.
2. ქ. გაჩეჩილაძე, საქართველოს ცირცელი, თბილისის სახ. უნივერსიტ. შრომები, თბილისი, 1951.
3. ელ. შ. ერისთავი, ვაშლი ხომანდული, თბილისი, 1953.
4. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941.
5. ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935.
6. ა. კახაძე, საქართველოს გარეული კომუნის სისტემატიკის შესწავლისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტ. შრომები, თბილისი, 1943.
7. ვ. ი. პაპავა, კავკასიის კონჭურები, საქ. სახ. მუხ. შობამე ტ. XIV—A, თბილისი, 1949.
8. საქართველოს ფლორა, ტ. III, IV, V, VI, VII, VIII, თბილისი.
9. ქ. სანაძე, საქართველოს შინდი და შინდანწლა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1946.
10. ქ. სანაძე, საქართველოს ფლორის შინდისებრნი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1951.
11. ქ. სანაძე, მასალები გვარ *Rubus*-ის შესწავლისათვის საქართველოში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1951.
12. შ. ქუთათელაძე, საქართველოს პანტები და ბერყენები, თბილისის ბოტანიკის ინსტ. შრომები, ტ. XI, თბილისი, 1947.
13. გ. ა. ჭიპაშვილი, კაკლის კულტურა ქართლში, სას. სამ ინსტ. შრომები, თბილისი, 1949.
14. ნ. მ. მონეშორაშვილი, მებუღობა, ტ. I, თბილისი, 1952.
15. ი. ა. ჯაფარიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბილისი, 1930.
16. А. В. Васильев, Дикорастущие плодовые деревья и куст. лесной зоны АССР, Абхазии, Сухуми, 1938.
17. И. Т. Васильченко и С. Н. Соколов, Алыча Южной Киргизии, Плодовые леса Южной Киргизии и их использование, Москва-Ленинград, 1949.
18. П. Э. Виноградов-Никитин, Плодовые и пищевые деревья лесов Закавказья, Труды по прикл. бот., т. XXII, Ленинград, 1924.
19. Е. М. Везиришвили, Мушмула Грузии, Тезисы, Тбилиси, 1953.
20. Воронов, Дикорастущие родичи плодовых деревьев и кустарников Кавказского края и передней Азии, Труды по прикладной бот. ген. и сел., т. XIV, Ленинград, 1924-25.
21. А. А. Гроссгейм, Дикие съедобные растения Кавказа, Баку, 1942.
22. Н. В. Ковалев, Дикие плодовые растения Кавказа и их роль в народном хозяйстве, „Природа“, № 5, Москва, 1941.
23. Я. С. Медведев, Деревья и кустарники Кавказа, Изд. III, Тифлис, 1919.
24. М. Г. Попов, Дикие плодовые деревья и кустарники Средней Азии, Труды по прикладной ботанике ген. и сел. т. XII, Ленинград, 1928-29.
25. А. А. Роллов, Дикорастущие растения Кавказа их распространение, свойства и применение, Тифлис, 1908.
26. Ал. А. Федоров и Ан. А. Федоров, Яблоня Южной Киргизии, Плодовые леса Южной Киргизии и их использование, Москва-Ленинград, 1949.
27. Ал. А. и Ан. А. Федоровы, Мушмула Кавказа. Арм. ФАН, 1938.



რ. ბახტაძე, ც. აბესაძე

მცხმთის აკლდამაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკების აღბენა

განათხარი სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთები თითქმის ყოველთვის დაფარულია კოროზიის ამა თუ იმ პროდუქტებით. როგორც ცნობილია, ჰაერზე სპილენძი საკმაოდ ნელა იეანება და იძლევა ჯერ წითელი ფერის ქვეყანგს (Cu_2O), ხოლო შემდეგ შავი ფერის ქანგს (CuO). მაგრამ, გარდა ქანგბადისა, დამყანავი აგენტებია: ნახშირორქანგა გაზი, ამონიაკი, ქლორი და სხვ., რომლებიც ტენიან გარემოში მოქმედებენ სპილენძზე და იწვევენ მის დაქანგვას — კოროზიას. ნივთის შესწავლისა და შემდგომი შენახვისათვის აუცილებელია ამ მავნე პროდუქტების მოცილება. თუ ჩვენთვის ცნობილი იქნება კოროზიის სახეობა, ე. ი. ნივთის „დაავადების“ სახე, რაც ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს, შესაძლებელია „სამკურნალო“ მეთოდის შერჩევა-გამომუშავება.

ცნობილია ბრინჯაოს „დაავადების“ ორი სახე: კარბონატული და ქლორიანი. პირველ შემთხვევაში სპილენძის ან ბრინჯაოს ნივთზე ნორმალურ ტემპერატურაზე, ტენიან გარემოში ნახშირორქანგა გაზის მოქმედების შედეგად წარმოიშობა სპილენძის ნაერთი $CuCO_3 \cdot xCu(OH)_2$, რომელიც თავისი ქიმიური შედგენილობით ბუნებრივი მინერალი მალაქიტის ანალოგიურია. სხვადასხვა ფაქტორებისაგან დამოკიდებულებით (დრო, ტემპერატურა, ქიმიური შედგენილობა, არე) ეს ნივთიერება ნივთის ზედაპირზე ხან თანაბარი სისქის პრიალა, ემალისებურ და ხან კიდე ფხვიერ და უსწორმასწორო ზედაპირს წარმოქმნის, რომელიც ხშირად ნივთის პირველყოფილ ფორმას ამახინჯებს. მაგრამ დაზიანების ეს სახე ბრინჯაოსათვის საფრთხეს არ ქმნის, მისი მოცილება და ნივთის აღდგენა ადვილია.

სულ სხვა გავლენას ახდენს სპილენძზე ქლორი, რომლის მოქმედება იმდენად მავნეა, რომ შესაძლებელია ნივთი საბოლოოდ დააზიანოს და მისი აღდგენა შეუძლებელიც კი გახადოს. სპილენძზე ქლორის მოქმედების შედეგად ძირითადად ორი სახის მარილი მიიღება: ქლოროვანი ($CuCl$) და ქლორიანი ($CuCl_2 \cdot 2H_2O$) სპილენძის მარილები. უკანასკნელი შემდგომი დაქანგვით გადადის სხვა ნაერთში $CuCl_2 \cdot 3Cu(OH)_2$, რომელიც ბუნებაში მინერალი ატაკამიტის სახელწოდებით არის ცნობილი.

ატაკამიტი ნივთს უკარგავს პირველყოფილ სახეს, რადგან მის ზედაპირზე წარმოქმნის მექეპისებურ უსწორმასწორო ფენას და, რაც მთავარია, მძიმე მდგომარეობაში აყენებს ნივთს, აზიანებს რა მას. ამიტომ, აუცილებელია ნივთის „განკურნა“.

სწორედ ამგვარად დაზიანებული ნივთი მიიღო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიამ. ეს იყო ბრინჯაოს ქანდაკება № 28 — 51 : 27, რომელიც 1951 წ.



აღმოჩენილი იყო ნაცხეთის აკლდამაში (ექსპედიციის ხელმძღვანელი ესტრასრიის მეცნ. კანდ. გ. ლომთათიძე). ქანდაკება წარმოადგენს „დამკრულ-მოძღვრალ“ კაბუკს, რომელსაც პირი ოდნავ გაღებულ აქვს. ხელები და თითების მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ხელში რაღაც საკრავი ეჭირა, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია [10].

ქანდაკების ზედაპირი დაფარული იყო ღია მწვანე ფერის მარილების სქელი ფენით. განსაკუთრებით დაზიანებული იყო მარჯვენა მკლავი, ორივე



სურ. 1

ხელის თითები (სურ. 1), ხოლო პირისახის მარცხენა ნაწილი, ქვედა ტუჩი და ცხვირის წვერო თითქმის ფორმადაკარგული იყო (სურ. 2, 3).

ასევე მარილების მექეპისებრი სქელი ფენით იყო დაფარული მკერდი და მუცელი (სურ. 2, 3); შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო ქანდაკების ზურგი (სურ. 4).

კოროზიის პროდუქტების ქიმიური შედგენილობის დასადგენად ჩავატარეთ ქანდაკების სხვადასხვა ადგილის ანალიზი (იხ. ცხრილი).

ქანდაკების ადგილის დასახელება	Cu ⁺⁺	Cl ⁻	CO ₃ ^{''}	NH ₄ ⁺	SO ₄ ^{''}
პირისახის მარცხენა ნაწილი . .	არის	არის	არის	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
მარჯვენა მკლავი	არის	არის	არის	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
მუცელი	არის	არის	არის	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა

ანალიზის შედეგად გამოიკვია, რომ კოროზიის პროდუქტი შედგება Cl⁻, CO₃^{''} და Cu⁺⁺ რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ატაკამიტთან.

ბრინჯაოს ქანდაკების დამუშავება დაეწყო ქიანჭველას მეფეთა ნივთიერი მოთავსებულ იქნა 20% ქიანჭველას მეფას სსნარში 24 საათის განმავლობაში, დროდადრო მას ვილებდით და ვახდენდით ჯაგრისით დამუშავებას — გაწმენდას. მარილებმა სწრაფად იწყო გახსნა, გაიხსნა აგრეთვე ნახშირმჟავა სპილენძიც.



სურ. 3



სურ. 2

რომელიც პატარა ბუმბულების სახით იყოფოდა ნივთის დაზიანებული ზედაპირიდან.

9. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII—A



ამის შემდეგ ნივთი მოვითავსეთ 10% ამონიუმის ტუტეში (NH₄OH) 6 საათის განმავლობაში, შემდეგ ისევ კიანქველას მჟავაში და ასე მორიგეობით 4-ჯერ გავიმეორეთ ეს ოპერაცია — მჟავიდან ტუტეში და ტუტიდან ისევ მჟავაში. ამგვარად, მივალწიეთ ქლორიანი სპილენძის მარილის სრულ გახსნას, მაგრამ ამ ფენის ქვევით დაგვხვდა სპილენძის ქვეყანგის წითელი ფენა, რომელიც არ იხსნება, არც კიანქველმჟავაში და არც ამონიუმის ტუტეში. ამ



სურ. 4


შემთხვევაში გამოვიყენეთ 10% გოგირდის მჟავა, რომელშიაც ბრინჯაოს ქანდაკება 5 დღის განმავლობაში დავაყოვნეთ. დროდადრო ქანდაკება ამოგვექონდა ხსნარიდან და ვრეცხავდით გამდინარე წყალში რბილი ჯაგარისით, ხოლო ხსნარს ხშირად ვცვლიდით.

მაგრამ 10% H₂SO₄-ის ხსნარში ვერ მოხერხდა სპილენძის ქვეყანგის მთლიანი მოცილება. ლითონის ნაპრალებსა და ფორებში შესაძლებელია დარჩეს კიდევ სპილენძის ქვეყანგი; ამიტომ ნივთის მეტნაკლებად სრული გაწმენდისათვის საუკეთესო შედეგს იძლევა მისი დამუშავება ატომური წყალბადით; ამ დროს სპილენძის ქვეყანგი აღდგება ლითონურ სპილენძამდე.

ცნობილია, რომ წყალბადი გამოყოფის მომენტში, როდესაც ის ატომური სახითაა, გაცილებით აქტიურია, ვიდრე მოლეკულური წყალბადი და ახასიათებს აღნდგენელი თვისებები. თუ ატომის

სახით გამოყოფილ წყალბადს იქვე დაუხვედრებთ სარეაქციო ნივთიერებას, იგი მოქმედებს მასზე, ვიდრე მოლეკულად გადაიქცეოდეს. ასე, მაგ., ატომური წყალბადი ჩვეულებრივ ტემპერატურაზე უერთდება გოგირდს, ფოსფორს, დარიშხანს და ა. შ.; აღადგენს ჟანგეულებიდან ბევრ ლითონს და გამოჰყოფს მათ ელემენტური სახით; მაგ., სპილენძის ჟანგეულიდან იგი გამოჰყოფს ლითონურ სპილენძს, ტყვიის ჟანგეულიდან ლითონურ ტყვიას, ვერცხლის ჟანგეულიდან ლითონურ ვერცხლს და სხვ.


სწორედ ამანზე დამყარებული ბრინჯაოსა და სპილენძის ნივთების აღდგენა წყალბადით. ჩვეულებრივად წყალბადი მიიღება ლითონურ თუთიაზე მჟავას მოქმედებით შემდეგი რეაქციით:



ამ მიზნით დასამუშავებელი ნივთი მოვითავსეთ თუთიის გარემოში — დავფარეთ გრანულირებული თუთიით და ვიმოქმედეთ გოგირდის მჟავით.

ამ შემთხვევაში გამოყოფილი წყალბადი მოქმედებს სპილენძის ქვეყანგზე და აღადგენს მას ლითონურ სპილენძამდე.

წყალბადით აღდგენას სამი დღის განმავლობაში ვახდენდით, ხსნარს



სურ. 6



სურ. 5

ხშირად ვცვლიდით, რადგან რეაქციის დროს წარმოშობილი თუთიის სულფატი კონცენტრაციის გაზრდის გამო ხშირად გამჟვირვალე, რომელი კრისტალების სახით გამოკრისტალდება ხოლმე. ეს კი ხელს უშლის რეაქციის



მსვლელობას. გოგირდმეყვას დამატებას მაშინ ვახდენდით ხოლმე, როცა წყალბადის ბუშტულების გამოყოფა შეწყდებოდა.

ამის შემდეგ, ბრინჯაოს ქანდაკებამ სასიამოვნო მუქი ყავისფერი მთილო. მეყვას ნაშთისა და თუთიის მარილების მოშორების მიზნით ბრინჯაოს ქანდაკება სამი დღის განმავლობაში ვაღუღეთ გამობდილ წყალში; იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექონდა ქლორიან კოროზიასთან, აუცილებლად უნდა გავგვესინჯა ნივთი ქლორის ნაშთის თანამყოფობაზე. ხშირად, სპილენძის ქვეყანგის ფენის ქვემოთ არის ხოლმე ქლოროვანი სპილენძის ფენა. თუ კი იგი ნივთიდან სავსებით მოცილებული არ არის ტენიან გარემოში, განიცდის რა ჰიდროლიზს, მაშინვე მწვანე ფერს ღებულობს. ამ მიზნით ნივთი მოვათავსეთ საკონტროლო-ტენიან კამერაში. კამერა წარმოადგენს ჰერმეტიკულად დახურულ ქურჭელს, რომელშიაც ასხია გამობდილი წყალი (ჩვენს შემთხვევაში ექსიკატორი). 7 დღის განმავლობაში ქანდაკების ზედაპირზე არაერთგვაროვანი საექვო ნიშნები არ შეინიშნა.

ამრიგად, ტენიანმა კამერამ სასურველი შედეგი მოგვცა: ნივთი სავსებით განთავისუფლებული აღმოჩნდა ქლორისაგან.

გაშრობის მიზნით ნივთი ტენიანი კამერიდან გადავიტანეთ საშრობ კარადაში და 12 საათის განმავლობაში დაეყოვნეთ 110° ტემპერატურაზე.

ქიმიური მეთოდებით დამუშავებული ნივთი შემდგომი შენახვის მიზნით საჭიროებს კონსერვაციას; ამისათვის საჭირო იყო ქანდაკების ზედაპირზე დამცველი შრის შექმნა. ამ მიზნით ლაბორატორიაში გამოყენებულია სუფთა პარაფინი. არქეოლოგიურ ნივთთა კონსერვაციისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ნეიტრალური პარაფინი, რომელიც არ შეიცავს თავისუფალ მეყვას.

დასასრულ, განეიტრალებულ პარაფინში მოვათავსეთ 110° ტემპერატურაზე გაცხელებული ნივთი, რომელიც შევაჩერეთ ბუშტულების გამოყოფის შეწყვეტამდე. პარაფინი შევიდა ნივთის ფორებში; ამის შემდეგ ქანდაკება ამოვიღეთ და გავამშრალეთ ფილტრის ქაღალდით. ზედმეტი პარაფინის მოცილების მიზნით ფილტრის ქაღალდში გავხვეული ნივთი ხელმეორედ $10-15^{\circ}$ განმავლობაში მოვათავსეთ საშრობ კარადაში.

დამუშავების შემდეგ ბრინჯაოს ქანდაკება კარგად გამოიყურება. თითქმის სავსებით აღდგა თითები, მარჯვენა მკლავი, პირისახის მარცხენა ნაწილი, მუცელი და ზურგი (სურ. 5, 6).

აღსანიშნავია, რომ აღდგენის შემდეგ ქანდაკებაზე ბევრ ადგილას გამოჩნდა ჩაკერებული ადგილები, რომელიც როგორც ჩანს, ძველ ხელოსნებს ჩამოსხმის დეფექტის დასაფარავად გაუქეთებიათ.

Р. А. БАХТАДЗЕ, Ц. Н. АБЕСАДЗЕ

ВОССТАНОВЛЕНИЕ БРОНЗОВОЙ ФИГУРЫ, НАЙДЕННОЙ
В МЦХЕТСКОЙ ГРОБНИЦЕ

Р е з ю м е

Археологические предметы из меди и бронзы в большинстве случаев бьются покрыты коррозионными слоями: закисью, окисью, гидроокисью, углекислотой, хлором, и др.

Наиболее разрушительное действие оказывает хлор, обволакивающий предмет бородавчатой коркой, уродуя и разрушая его.

Такого вида изуродованный предмет доставлен был в лабораторию Государственного Музея Грузии им. академика С. Н. Джанашиа. Указанный предмет представляет собой бронзовую фигуру юноши с открытым ртом, оставляющую впечатление поющего человека. Положение рук и пальцев наводят на предположение о том, что в руках держался какой-то предмет (возможно музыкальный инструмент), который до нас не дошел.

Значительно повреждены были в фигуре пальцы рук, правая рука, левая сторона лица, кончик носа, нижняя губа, грудь и большая часть живота (рис. 1, 2, 3, 4).

После соответствующего химического исследования продуктов коррозии оказалось, что главными агрессивными элементами оказались хлор и углекислота.

С целью удаления хлористых солей предмет обработан был в начале 20%-ным раствором муравьиной кислоты, затем 10%-ным раствором аммиака. Указанная операция повторена была четыре раза, после чего проступил слой красной закиси меди, которая удалена была обработкой 10%-ным раствором серной кислоты. Для полного удаления закиси меди восстановление производилось атомарным водородом „в момент выделения“ (действием серной кислоты на цинк).

После тщательного выщелачивания дистиллированной водой фигура была помещена в контрольную (влажную) камеру. Поскольку контрольная камера дала положительный результат, т. е. остатков хлора не оказалось, то предмет высушен был посредством сушильного шкафа при температуре 110°, затем с целью консервации покрыт тонким слоем нейтрального парафина.


Вышеуказанной обработкой, восстановлены были поврежденные места.

В настоящее время бронзовая фигура выглядит хорошо (рис. 5, 6).

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

- 1 М. В. Фармаковский, Консервация и реставрация музейных коллекций, Москва, 1947.
2. Очистка и сохранение металлических предметов древности, Изделия из бронзы, меди и медных сплавов, Изд. материалы по методологии археологической технологии, вып. III, Ленинград, 1925.


3. А. Скотт, Очистка и реставрация музейных экспонатов, Москва-Ленинград, 1935.
 4. Б. В. Некрасов, Курс общей химии, т. I, Госхимиздат, 1945.
 5. Ф. Тредвелл, В. Голл, Курс аналитической химии, Качественный анализ, Госхимиздат, 1933.
 6. М. Д. Джафаров, А. А. Кашеев, М. К. Щербаков, Защита подземных трубопроводов от коррозии, Гостоптехиздат, 1940.
 7. В. Н. Алексеев, Качественный анализ, Госхимиздат, 1953.
 8. Новые работы Института Археологической технологии в области реставрации различных материалов, под общей редакцией М. В. Фармаковского, Изд. ГАИМК, Ленинград, вып. XII, 1929.
 9. А. Аносова и Д. Смирнова, Сообщения Государственного Эрмитажа, IV, Ленинград, 1947.
 10. გ. ლომთათიძე და ი. ციციშვილი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, „საქსსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე“, № 10, თბილისი, 1951.
-



ფ. თაგაძე, თ. საყვარელიძე, ნ. ღვალაძე

თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების დამზადების ტექნოლოგია

თბილისის მიდამოებში აღმოჩენილ ბრინჯაოს ხანის სამარხებსა და ნივთებს მნიშვნელოვანი აქვს თბილისის ტერიტორიაზე იმ ხანაში მსხდარი მოსახლეობის ისტორიის შესასწავლად. ისინი უმთავრესად წარმოდგენილია ორმოსამარხებით, რომლებსაც გვიანბრინჯაოს პერიოდს მიაკუთვნებენ¹.



სურ. 1, 2, 3, 4 და 5—შუბისპირები

სამარხებში, სხვა ნივთებთან ერთად, ნაპოვნია ბრინჯაოს შუბისპირები, ცულები, სატევრები, ისრის პირები, სპილენძის ქვაბი, თავზეთა საკინძები, კაუჭი, საყურე და სხვ.

¹ დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XVII-ბ, 1954, გვ. 5.

ამ ლითონის ნივთების კვლევა, თანამედროვე ლითონმცოდნეობაში მიღებული მეთოდებით, გვიჩვენებს იმდროინდელ მელითონეთა მაღალ ტექნიკურ კულტურას.

ჩვენს მიერ შესწავლილია სხვადასხვა დანიშნულების, ფორმის, მოყვანილობისა და ტექნოლოგიური სირთულის ნივთები. კერძოდ, გამორკვეულია მათი ქიმიური შედგენილობა, მიკროსტრუქტურა, ზედაპირული დეფექტები, მაკროსტრუქტურა და, შეძლებისდაგვარად, აღდგენილია მათი დამზადების იმ დროისათვის შესაძლებელი ტექნოლოგია.

1 შუბისპირების კვლევა

შუბისპირების ქიმიურ შედგენილობაში, სპილენძს გარდა, შესამჩნევი რაოდენობით შედის დარიშხანი და ანთიმონი. აღსანიშნავია რომ, თუ შენადნობი დარიშხანს დიდი რაოდენობით შეიცავს, მაშინ ანთიმონის რაოდენობა მცირეა, და პირიქით. კალის რაოდენობა კვალიდან — 1,28%-დეა საშუალოდ მინარევების რაოდენობა 5,5% არ აღემატება. ასეთი შედგენილობის ბრინჯაო კი, როგორც ცნობილია, კარგი სამსხმელო თვისებებით ხასიათდება და მისი ცხელი და ცივი დეფორმაციით (ქედვით) დამუშავება ადვილია.

შუბისპირების ქიმიური შედგენილობა %%-ობით

ცხრილი 1

საინვენტარო №	Cu	Sn	Pb	Sb	As	Zn	Fe	სურ. №
3—50/4 (მასრაგახსნილი)	96,00	0,70	კვ	1,2	2,00	კვ	კვ	1
3—36 "	94,25	0,32	კვ	0,97	3,82	არა	კვ	2
2—50/2 "	ანალიზი არ გაკეთებულა							
13—32/27 "	94,41	1,28	კვ	3,11	1,10	კვ	კვ	4
3—50/19 (მრგვალმასრიანი)	91,20	კვ	არა	1,34	3,66	კვ	კვ	5

ამ შუბისპირების ქიმიური შედგენილობა საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ შენადნობთა ქიმიური შედგენილობის მსგავსია და ხასიათდება სპილენძში დარიშხანისა და ანთიმონის არსებობით¹.

მასრაგახსნილი შუბისპირების ლითონის მიკროსტრუქტურაში (ტაბ. I, 1, 2, 3, 4) წარმოდგენილია ერთგვაროვანი კრისტალები და კრისტალური ტყუპები. ასეთი სტრუქტურა იმის მაჩვენებელია, რომ ლითონს გარკვეული ხარისხის დეფორმაცია და რეკრისტალიზაცია განუცდია, ე. ი. საგნის დამზადებისას ლითონის ნაშადი გაუხურებიათ და ცხელ-ცხელივე გამოუქედათ.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასრაგახსნილი შუბისპირების მასრას კვეთი მრგვალი აქვს. ასეთი კვეთი წვერომდე გრძელდება და თანდათანობით მცირდება. ფრთებს შორის მოქცეული ნაწილი „სიმაგრის წიბოს“ წარმოადგენს. შუბისპირებს ერთი მხრივ ემჩნევათ ლითონის ფურცლების შეერთების ნაწიბური, რომელიც განსაკუთრებით მჭიდროდ არის გადაქედილი სიმაგრის წიბოზე. ფრთების სისქე მკრელი პირისაკენ თანდათან კლებულობს. მასრას ზემო ნაწილში აქვს სალი იარაღის დარტყმით გახვრეტილი ორი სამანქვლე, რაც იმას მოწმობს, რომ სალი პასალის სახვრეტელა იმ დროს დიდ გამოყენებაში ყოფილა.


შუბისპირების გარეგნული, მაკროსკოპული სურათისა და მიკროსტრუქტურის ხასიათის მიხედვით მათი დამზადების ტექნოლოგია შემდეგნაირად

¹ Т. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии (литье и обработка), автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата технических наук, Тбилиси, №954, ст. 17.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ფურცლოვანი ნამზადის შექმნისა და სვეციალური სამარჯვის გამოყენებით გამოქედავდნენ შუბისპირს, ხოლო ნამზადის გადაკეცილი პირები ჭედვითი შედუღებით გამოჰყავდათ¹.

მასრაგახსნილ შუბისპირებს გარდა შესწავლილია ერთი მრგვალმასრიანი შუბისპირიც (ინგ. $\frac{3-50}{19}$ სურ. 5), რომლის მიკროსტრუქტურა (ტაბ. I, სურ. 5) გადაღებული გვაქვს შუბისპირის წვეროზე. შენადნობს ახასიათებს სხმული ლითონის დენდრიტული აგებულება. დიდი რაოდენობით ემჩნევა ევტექტიონის განმონაყოფი, რაც ამ სხმულში განვითარებულ ლიკვაციას გვიჩვენებს.


მრგვალმასრიანი შუბისპირის ფორმა ისეთივეა, როგორც მასრაგახსნილისა, მხოლოდ მისი მასრა მთლიანია. ამ უკანასკნელს ბოლოში, გარდა სა-



სურ. 6, 7, 8, 9—სატყვრები

მანქვლე ნახვრეტისა, აქვს ლითონის ორი სალტესავით აზოწყული ნაწილი, რაც მასრას სიმაგრეს მატებს. მრგვალმასრიან შუბისპირს ზედაპირზე ემჩნევა

¹ ფ. თავაძე და თ. საყვარელიძე, ძველი ქართული ბრინჯაოს შუბისპირების დამზადების ტექნოლოგია, საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტ. შრ., VII, 1956, გვ. 346.



სხმანაკლი ადგილები, ნიჟარები და სხმული ლითონის დამახასიათებელი სხვა ნიშნები. ამ შუბისპირის მიკროსტრუქტურაც სხმული ლითონის დამახასიათებელია. ყოველივე ეს და აგრეთვე მასრის ღრუში ჩარჩენილი საკოპე ქვიშა ამტკიცებს, რომ შუბისპირი დამზადებულია ჩამოსხმით, ორსაგდულიან ყალიბში, ცეცხლგამძლე ქვიშის, კოპის გამოყენებით. ამასთანავე საგულისხმოა, რომ შუბისპირის თხელი კედლების გავსება ყალიბში შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, თუ მელითონეს არ ექნებოდა ძალზე თხევადი, გადახურებული ლითონი და გავარარებული ყალიბი. მაშასადამე შუბისპირის ჩამოსხმა ხელოსანს გახურებული ყალიბის გამოყენებით უწყარმოებია და შემდეგ სხმული ცივად დაუმუშავებია, მკრელი პირის ფხამახვილობის გასაზრდელად.

2 სატევების კვლევა

სატევებში დიდი რაოდენობით (11%-დე) შედის კალა, ხოლო ზოგში, კალასთან ერთად გვხვდება აგრეთვე ანთიმონი და დარიშხანი.

სატევების მიკროსტრუქტურა (ტაბ. I, სურ. 6, ტაბ. II, სურ. 1, ინვ. 3—50/2, 12—32/4) წარმოადგენს მყარი ხსნარის პოლიედრებს, რომელთაც ჰედვის ნიშნები არ ემჩნევათ. ეტყობა სატევები ჩამოსხმის შემდეგ გაუხურებიათ, რის გამოც სპილენძის მყარი ხსნარი ერთგვაროვანი განხლარა. ამიტომ არის, რომ ჩანოსხმის დროს წარმოქმნილი ლიკვაცია მათ სტრუქტურაში არ შეიმჩნევა.

სატევების ქიმიური შედგენილობა %%-ობით

ცხრილი 2


საინვენტარო №	Cu	Sn	Pb	Sb	As	Zn	Fe	სურ. №
3—50/2	82,83	6,38	არა	კვ	1,86	არა	კვ	6
12—32/40	88,00	11,94	"	არა	არა	"	"	7
1—48	90,01	9,06	"	0,9	"	"	"	8
2—50/I	98,2	არა	"	0,36	"	"	"	9

ერთ-ერთი სატევრის (ინვ. 1 — 48) მიკროსტრუქტურაში, დიდი ლიკვაციის გამო, დენდრიტებთან ერთად ჩანს ევტექტოიდიც (ტაბ. II, სურ. 2). მეორე სატევრის პირი (ინვ. 2 — 50/1) კი გამოქვილია. მკრელ პირზე სტრუქტურა ნაქედი ლითონის დამახასიათებელი, წვრილი კრისტალებისა და კრისტალური ტყუპებისაგან შედგება (ტაბ. II, სურ. 3).


ეს სატევრები დამზადების ტექნოლოგიით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორი მათგანი (სურ. 6, ინვ. 3 — 50/2 და სურ. 7, ინვ. 12 — 32/40) ჩამოსხმულია ყალიბში. სატარეს ორივე მხრივ ემჩნევა ღრიკო, რომელიც ჩამოსხმის დროს გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა და კოპების დასამაგრებლად გამოდგებოდა. შემდეგ კი ტარის გახსნილი პირები, ეტყობა, ჰედვით ერთმანეთისათვის მიუახლოვებიათ სიმრგვალისა და სილამაზის მისაცემად. სატევრის მკრელ პირზე გამოყვანილი სისხლის საწრეტი ღარები ჯერ ჩამოსხმითაა მიღებული, შემდეგ კი მკრელი იარაღით არის გასუფთავებული, და გამოსწორებული.

მახვილის (სურ. 8, ინვ. 1 — 48) დამზადების ტექნოლოგია უფრო რთულია; იგი რთული ორნამენტითაა შემკული. მისი ტარის მისაღებად

ჯერ ცვილის მოდელს დაამზადებდნენ ქვიშის კოპების გამოყენებით, ხოლო დაყალიბების შემდეგ კი ცვილს გამოადნობდნენ და სატარე ყალიბს მკრელო პირის ყალიბთან მოარგებდნენ. ასეთ ყალიბს ახურებდნენ და ჩამოსხმასაც გადახურებული ლითონით აწარმოებდნენ¹.



სურ. 10



სურ. 11

ცულები


სატევრის (სურ. 9, ინვ. 2 — 50/1) ფოთლისებური მკრელი პირი წინასწარ ცალკე ჩამოსხმული და შემდეგ გამოქედილია. ხოლო ორნამენტით შემკული ტარი მასზევეა დაყალიბებული ცვილის მოდელით და შემდეგ ჩამოსხმული.

სატევრების სიმეტრიულობა, მხატვრული ორნამენტის სირთულე და მაღალი გემოვნებით შესრულება, ჩამოსხმის რთული ხერხებისა და ლითონის დამუშავების ტექნიკის გამოყენება იმის ნაჩვენებელია, რომ საქართველოში ტექნიკური კულტურა იმ დროის კვალობაზე დიდ სიმაღლეზე მდგარა.

3 ცულების კვლევა

ცულების ქიმიურ შედგენილობაში დიდი რაოდენობით (~ 8⁰/₁₀₀-დე) შედის კალა, დარიშხანი და ანთიმონი კი იმდენივეა, რამდენიც შუბისპირებში (4⁰/₁₀₀-დე). ასეთი შედგენილობის შენადნობი კარგი საჩამოსხმო თვისებით ხასიათდება.


¹ ფ. თაყაძე და თ. საყვარელიძე, საქართველოში არქეოლოგიური ვაზნებში ნაპოვნი სპილენძისა და ბრინჯაოს ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიის დადგენისათვის, „მეცნიერება და ტექნიკა“, № 5, 1950, გვ. 18.



ცულების ქიმიური შედგენილობა %%-ობით

საინვენტარო №	Cu	Sn	Pb	Sb	As	Zn	Fe	სურ. №
3-50/3	85,9	7,59	არა	0,49	3,7	არა	კვ.	10
2-36/1	89,74	7,68	1,27	—	0,96	არა	კვ.	11

ცულების მიკროსტრუქტურა სხმული ლითონის დამახასიათებელი დენდრიტებითაა წარმოდგენილი (ტაბ. II, სურ. 4, 5).



სურ. 12

უცნობი დანიშნულების ნივთი

ცულები თავისი ფორმით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აღმოსავლური ქართული ტიპის ცულს (სურ. 10) კარგად ემჩნევა სასხმის მონატეხი ადგილი, ლითონის ზედაპირული ჩაჯდონა, რომელიც უყის შიგნით არის მოთავსებული და ყალიბის საგდულების მორგების სიბრტყე. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ცული ორსაგდულიან ყალიბში ჩამოუსხამთ და შემდეგ მისი ზედაპირი გამოუკვერავთ.

რაც შეეხება მეორე ცულს (სურ. 11) იგი სრულიად განსხვავებული ფორმის არის. მისი ზედაპირი გალამაზებულია სხმული ორნამენტით და სხმული ლითონის დამახასიათებელი სტრუქტურა აქვს. ცულის გამოკვდვით დამზადება შეუძლებელია, რადგანაც მის ქიმიურ შედგენილობაში დიდი რაოდენობით შედის მინარევები.

ცულს არ ემჩნევა არც ყალიბის გახსნის სიბრტყე და არც სასხმის ადგილი. ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ცული მკრელი პირიდან იყოს ჩამოსხმული და შემდეგ ეს ადგილი მკრელი პირის გამოკვერვა-ალესვის დროს არის გამქრალი.

ამ მოსაზრებას ასაბუთებს ისიც, რომ მკრელ პირზე ცულს კარგად ემჩნევა გამოკვერვის ნიშნები.

4 კაუჭი და უცნობი დანიშნულების ნივთი

ამ ნივთებთან ერთად შესწავლილი იყო კაუჭი და უცნობი დანიშნულების ნივთი, რომლებიც მცირეკალიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული.

ცხრილი 4

კაუჭის და უცნობი დანიშნულების ნივთის ქიმიური შედგენილობა %%-ობით

საინვენტარო №	Cu	Sn	Pb	Sb	As	Zn	Fe	სურ. №
3-50/5 კაუჭი	95,5	3,4	არა	0,61	1,12	0,26	კვ.	12
1-50/19 (უცნობი დანიშნულების ნივთი)	87,5	3,75	არა	არა	—	0,98	კვ.	

მიკროსტრუქტურა (ტაბ. II, სურ. 6) ნაქედი ლითონის დამახასიათებელი, ერთგვაროვანი კრისტალებისა და კრისტალური ტყუბებისაგან შედგება. ორივე ეს ნივთი დამზადებულია გამოქედვით. როგორც კაუქის, ისე უცნობი დანიშნულების ნივთის დასამზადებლად საჭირო იქნებოდა ლითონისათვის დიდი დეფორმაციის მინიჭება. ლითონის ქიმიური შედგენილობა უზრუნველყოფდა ასეთი ქედვის შესაძლებლობას, რადგან იგი მცირე რაოდენობით შეიცავს კალას, თუთიას და დარიშხანს.

ზემოთ განხილული ნივთების (შუბისპირები, სატევრები, ცულები და სხვა) შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ:

ა. თბილისის მიდამოებში მოპოვებული ბრინჯაოს ნივთები თავისი ქიმიური შედგენილობით წარმოადგენს კალის, დარიშხანისა და ანთიმონის შენაღობებს სპილენძთან.

ბ. ნივთები დამზადებულია როგორც ჩამოსხმით, ისე ჩამოსხმის შემდეგ ნამზადის გამოქედვით.

გ. ჩამოსხმისათვის გამოყენებულია რთული კოპები, ორსაგდულიანი ქვის ყალიბები და ცვილის მოდელები.

დ. გამოქედვა უწარმოებიათ, როგორც მარტივი ქედვით (ფურცლის გაბრტყელება), ისე რთული ქედვით (სამარჯვების გამოყენება, გახვრეტა).

ე. ლითონს ქედავდნენ, როგორც ცივ, ისე ცხელ ზღვომარეობაში, ქედვითი შედეგების გამოყენებით.

ვ. იმ დროის ხელოსნები კარგად ყოფილან დაუფლებული მაღალი ტემპერატურის მიღებას ($900 - 1200^{\circ}$), სპილენძისა და სხვადასხვაგვარი ბრინჯაოს გამოღობის პროცესებს, საყალიბო და სამოდლო ნასალების შერჩევას და ლითონის შედგენილობის შეუმუშავებას დანიშნულების მიხედვით.

Ф. Н. ТАВАДЗЕ, Т. Н. САКВАРЕЛИДЗЕ, Н. А. ДВАЛИ

ТЕХНОЛОГИЯ ИЗГОТОВЛЕНИЯ ДРЕВНИХ БРОНЗОВЫХ ИЗДЕЛИЙ, НАЙДЕННЫХ В ОКРЕСТНОСТЯХ ТБИЛИСИ

Резюме

Для изучения истории населения древнего Тбилиси огромное значение имеют могильники бронзового периода, найденные на этой территории. Они, в основном, представлены в виде грунтовых погребений, которые относятся к древне-бронзовому периоду.

Среди другого инвентаря в погребениях найдены бронзовые копья, топоры, клинки, стрелы, котел и другие. Исследование и изучение этих предметов методами современного металловедения показывают высокую техническую культуру металлургов того периода.

Нами изучены: макроструктура, микроструктура, химический анализ, поверхностные дефекты и, по возможности, восстановлена технология изготовления предметов различного назначения.

В результате металлографического исследования и технологического изучения копьев, клинков, топоров, крюка и др. установлено:



а. металлические предметы, найденные на Тбилисской территории, в основном, изготовлены из оловянной, мышьяковистой и сурьмяной бронзы;


б. предметы изготовлены как литьем, так и ковкой заранее отлитой заготовкой;

в. для литья использованы сложные песчаные стержни, двухстворчатые каменные формы и восковые модели;

г. ковка произведена как простая, так и сложная с использованием специальных приспособлений, пробойников и резцов;

д. применена как холодная, так и горячая ковка с кузнечной сваркой;

е. мастера того периода хорошо владели: получением высокой температуры (900 — 1200°), процессом плавки меди и бронз, подбором и изготовлением моделей формовочных и стержневых материалов и нужного состава металлов, сообразно назначению изделия.



1



2



3




4




5



6



1




2



3



4



5



6

ლ. ჩინჩალაძე

წითელწყაროს სატყეოს სასარგებლო ბელუსანაირი (*PASSERES*) ფრინველები და მათი მიწოდვისა და დაცვის ღონისძიებები

როგორც ცნობილია, ტყეს სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რის გამოც საქირთა მისი დაცვა და მოვლა. ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ზოოლოგებმაც, რათა გამოავლინონ ბუნებრივი ფაქტორები—ცხოველთა დადებითი და უარყოფითი თვისებები.

ტყე ზიანდება, ნადგურდება ნაირგვარი მწერებისაგან, მათ წინააღმდეგ ღონისძიებების (მექანიკური, ქიმიური) შემუშავების დროს ივიწყებენ ცხოველთა, კერძოდ ფრინველთა, გამოყენებას; სასარგებლო ფრინველთა გამოყენება კი საგულისხმო ფაქტორთაგანია, ვინაიდან მათმა მიზიდვამ და დაცვამ, რაც ჩატარებულია სსრ კავშირის ტყის დაცვის მთავარი სამმართველოს და სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ, დაგეგნა, რომ მეცნიერული თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე შესაძლებელია სასარგებლო ფრინველთა მიზიდვა და დაცვა სამეურნეო მიზნებისათვის, როგორც იათი და ეფექტიანი ღონისძიება ტყეში მავნე მწერების საწინააღმდეგოდ.

მუშაობის მეთოდია და მასალა

ჩვენს ამოცანას შეადგენდა შეგვესწავლა გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში (1953 წ. მაისი, ივნისი) წითელწყაროს სატყეოში გავრცელებული ბელუსანაირი ფრინველები, რისთვისაც ბუნებრივ პირობებში წარმოებდა მათზე დაკვირვებები და აღრიცხვა. ამიტომ, ერთი მხრივ, გამოვლინებულ იქნა ის გარემო, რომელშიაც მიმდინარეობდა ამა თუ იმ ფრინველის არსებობა და, მეორე მხრივ, შესწავლილ იქნა ამ გარემოზე ამა თუ იმ ფრინველის მოქმედება. ასეთი მიდგომა კი გვაძლევს გარემოს ყოველმხრივი შეცნობის საშუალებას, რაც უპასუხებს პრაქტიკულ ამოცანებსაც, კერძოდ, ფრინველების გამოყენებას სამეურნეო ღონისძიებათა დასახვის საქმეში.

ამრიგად, დასასული საკითხების დასადგენად, პირველ რიგში შევისწავლეთ წითელწყაროს სატყეოს ბუნებრივი პირობები, რის გამო გავეცანით სატყეოს მოწყობის ანგარიშსა და მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებს. შემდეგ კი ცალკეული უბნების: ვაზიანის, ქალისხევის, კოლოთოსა და ლეტნიკის კვარტალებში, სავლელ პირობებში მარშრუტული წესით, ხდებოდა იმ ფრინველთა აღრიცხვა, რომელთა განსაზღვრა-გამოცნობა ექვს არ იწვევდა. ასეთ მიდგომას საფუძვლად დაუდევით რელიეფი, მეცნარეული საფარი, ფრინველის პაბიტუსი და ეკოლოგიის ცოდნა. აღრიცხული იყო მობუდარი და ცალკეული ფრინველები. მთავარი ყურადღება ექცეოდა კვების აღრიცხვის საკითხს.

ასეთი ფიქსირება ხდებოდა თითქმის ყოველდღე (დღე 6-დან 1 საათამდე და საღამოს 5-დან 9 საათამდე). ფრინველების სახეობრივი შემადგენლობის დადგენისათვის ვეყრდნობოდით აგრეთვე თოფის საშუალებით მოპოვებულ ფრინველებს (109 ეგზ.), რომელთა სახეობრივი განსაზღვრა-აღწერილობა ხდებოდა ლაბორატორიაში.

ბელუსანსაირი ფრინველების სამეურნეო მნიშვნელობის დადგენისათვის, დაკვირვებების გარდა, ვარკვევდით მათი კვების რაობას, რისთვისაც მოპოვებული ფრინველებიდან ვიღებდით კუჭისა და ჩინახვის (103 ეგზ.) შიგთავსს და ლაბორატორიაში ვარკვევდით შედგენილობას. სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩვენს მიერ ვერ ჩატარდა ფრინველთა ჩიზიდვა და დაცვის ცდები¹, რადგან ხანგრძლივ დროს მოთხოვდა, ამისათვის ზემოაღნიშნული საკითხები, დავამუშავეთ ლიტერატურული წყაროების განხილვის შედეგად.

წითელწყაროს სატყეოს ბუნებრივი პირობები

წითელწყაროს სატყეო მოთავსებულია წითელწყაროს რაიონში, სადაც განვითარებულია სოფლის მეურნეობის შემდეგი დარგები: მებაღეობა-მევენახეობა, მებოსტნეობა, ძირითადად კი მარცვლოვანი კულტურები (ხორბალი, ქერი, სიმინდი). კარგ დონეზეა აგრეთვე მეცხოველეობაც. ამრავლებენ როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა პირუტყვსაც. მეცხოველეობის აღმავლობის საწინდარი სათანადო საძოვრების სიახლეოვა.

სატყეო მდებარეობს ცივგომბორის მთის კალთებზე და მკვეთრადაა დასერილი წვრილი და ღრმა ხეეებით. გეოგრაფიული მდებარეობა განისაზღვრება 45—50—30° და 46—41—30° აღმოსავლეთის გრძედის შორის და 41—45—30° და 41—18—30° ჩრდილოეთის განედების შორის. სიმაღლე ზღვის დონიდან აღწევს 800—802 მეტრს. ჰავა თბილი, ტენიანი—მიეკუთვნება თბილ ზონას. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიოდის ივნისის, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში; გვალვა კი აგვისტოშია. ზამთარში თოვლის ფენა მცირეა. თოვლი დევს დეკემბრიდან—თებერვლის დასაწყისამდე. ზაფხულში—საშუალო ტემპერატურა 16,7-დან 23,3-მდე აღწევს, ზამთარში კი 1,0-დან—2,4-მდე. ტყის ნიადაგი ყომრალი ტიპისაა, რომელიც განვითარების სხვადასხვა ფაზაშია. ნიადაგის დედა ჯიშები ვულკანური წარმოშობისაა. კარგი ღირსების ნიადაგები მოქცეულია მთის კალთების ქვედა ნაწილში და ხეეების ნაპირზე. წყალსატევები ნაკლებად არის (მდ. ალაზანი დაშორებულია ათეული კილომეტრით), გარდა ორი უსახელო მცირე მოცულობის ტბისა და რამდენიმე წყაროსი.

წითელწყაროს სატყეოში შედის სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების ფართობები. საზღვრები შემოფარგლულია აღმოსავლეთით—დასახლებული ადგილები, დასავლეთით—გედიქის სატყეო, სამხრეთით—დასახლებული ადგილები, ჩრდილოეთით—გედიქისა და ხირსის სატყეო. სატყეო შედგება 8 კორომისაგან, რომლებიც განაწილებულია შემდეგ უბნებზე: ვაზიანი, ქალის ხევი, კოლოთო და ლეტნიკი.

¹ პრფ. ვ. გულისაშვილის დახმარებით ჩვენ მიერ 1955 წ. მარტში, საქ. მეც. აკადემიის სატყეო ინსტიტუტის თბილისის საცდელი სატყეოს ლისის აგარაკის მუხნარ ტყეში, ფრინველების მიზიდვისა და დაცვის მიზნით გაკეთებულია 180 ზელოვანი საბუდარი. წარმოებს დაკვირვებები და აღრიცხვა.



ხეთა ჯიშებში ქარბობს რცხილა (*Carpinus caucasica*), მუხა (*Quercus iberica*); აქა იქ გვხვდება ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), წიფელი (*Fagus orientalis*), თელა (*Ulmus foliacea*). აღნიშნული ჯიშები ჰქმნიან კორომებს ამა თუ იმ ჯიშის სიმრავლის სხვადასხვა კოეფიციენტებით. მეტწილად გვხვდება და-ჯაგული, მეჩხერი კორომები და ბუჩქნარები. ქვეტყესა და საფარს ქმნის ნაირგვარი სახეობის მცენარეულობა. ქარბობს ეკალ-ლიქი (*Smilax excelsa*), ასკილი (*Rosa canina*), პაყვალი (*Rubus* sp.), კუნელი (*Crataegus* sp.), შინდი (*Cornus mas*), შინდანწლა (*Cornus austrialis*) და სხვა.

აღწერილ გარემოს კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაირგვარ ცხოველთა წარმომადგენლებს, მათ შორის მწერებს (*Insecta*), ამფიბიებს (*Amphibia*), ქვეწარმავლებს (*Reptilia*), მღრღნელებს (*Rodentia*), ხელფრთიანებს (*Chiroptera*), ლოკოკინებს (*Mollusca*), ჩლიქოსნებს (*Ungulata*) და ფრინველებს (*Aves*).

ფრინველებს შორის ქარბობს ნაირგვარი ბელურასნაირი ფორმები.

ფრინველები მთლიანად დამოკიდებულნი არიან გარემოს დანარჩენ კომპონენტებზე და სწრაფად განიცდიან კომპონენტების ყოველგვარ, რიცხობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს. თავის მხრივ ფრინველები როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ლანდშაფტისა (ამ შემთხვევაში ტყე), ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოზე და საერთოდ მის ცალკეულ კომპონენტზე. ამიტონაა, რომ ყოველივე ცვლილება ბუნებრივი თუ ხელოვნური, რომელიც შესაძლებელია განიცადოს გარემომ, უშუალოდ მოქმედებს მის შემადგენელ ცალკეულ ელემენტებზე. ამაში მქლავნდება ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს გარემოსა და ცხოველთა შორის.

წითელწყაროს სატყეოში გავრცელებული ბელურასნაირი (*Passeres*) ფრინველების შემადგენლობა და მათი ბიოლოგიის ზოგიერთი მომენტი

წარმოებული რკვევის შედეგად შესაძლებელი გახდა გაზაფხულისა და ზაფხულის (V—VI 1953) პერიოდში დაგვედგინა წითელწყაროს სატყეოში გავრცელებული ქვემოთ ჩამოთვლილი ბელურასნაირი ფრინველთა სახეობები:

რიგი ბელურასნაირნი—PASSERES

1. ოჯახი—ყორნისებრნი—Corvidae

აღმოსავლეთ-ევროპული კაქკაქი
Pica pica fennorum Lönnb.
 კავკასიური ჩხიკვი
Corvus glandarius kryniski Kalen.

2. ოჯახი—შოშაისებრნი—STURNIDAE

კავკასიური შროშანი (შოშაი)
Sturnus vulgaris caucasicus Lorenz.

3. ოჯახი—მოლალურისებრნი—ORIOLIDAE

კავკასიური მოლალური
Oriolus oriolus caucasicus Zarudny.

10. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მონაბე, ტ. XVII-A.

4. ოჯახი—სკვინჩასებრნი—FRINGILLIDAE

კავკასიური მწვანულა

Chloris chloris menzbieri Moltsch.

კავკასიური ჩიტბატონა

Carduelis carduelis breviostris Sar.

კავკასიური სკვინჩა

Fringilla coelebs solomkoi Menzb. et Suschk.

5. ოჯახი—ფეიქარისებრნი—PLOCEIDAE

კავკასიური შინაური ბელურა

Passer domesticus caucasicus Bogd.

6. ოჯახი—ქეროზასებრნი—EMBERIZIDAE

შეთაფა ქეროზა

Emberiza melanocephala Scop.

ბალის ქეროზა

Emberiza hortulana L.

7. ოჯახი—ტოროლასებრნი—ALAUDIDAE

ველის ევროპული ტოროლა

Melanocorypha calandra calandra L.

სამხრეთის ტყის ტოროლა

Lullula arborea pallida Sar.

კავკასიური რქიანი ტოროლა

Eromophila alpestris penicillata Goëld.

8. ოჯახი—ბოლოქანქალასებრნი—MOTACILLIDAE

დასავლეთ ციმბირის თეთრი ბოლოქანქალა

Motacilla alba dukhunensis Sykes.

ჩვეულებრივი თეთრი ბოლოქანქალა

Motacilla alba alba L.

მინდვრის ჩვეულებრივი მწყერჩიტა

Anthus campestris campestris L.

9. ოჯახი—წივწივასებრნი—PARIDAE

ჩვეულებრივი დიდი წივწივა

Parus major major L.


კავკასიური ბოლოგრძელი წივწივა (თოხიტარა)

Aegithalos caudatus major Radde.

10. ოჯახი—ლაქოსებრნი—LANIIDAE

ირანული წითელთაფა ლაქო

Lanius senator niloticus Bonap.



შავშებლა ლაქო
Lanius minor L.
 კავკასიური ლაქო
Lanius collurio kobylini But.

11. ოჯახი—ბუზიჭერიასებრნი—MUSCICAPIDAE

ევროპული პატარა ბუზიჭერია
Muscicapa parva parva Bechst.

12. ოჯახი—ბულბულასებრნი—SYLVIIDAE

კავკასიური ყარანა
Phylloscopus collybitus lorenzii Lor.
 ყვითელმუცელა მწვანე ყარანა
Phylloscopus trochiloides nitidus Blyth.
 კავკასიური რუხი ბულბულა
Sylvia communis icterops Men.
 კავკასიური შავთავა ბულბულა
Sylvia atricapilla dammholzi Stres.
 კავკასიური ქვინტა ბულბულა
Sylvia curuca caucasica Ogn. et Banjk.

13. ოჯახი—შაშვისებრნი—TURDIDAE

ევროპული ჩხართვი
Turdus viscivorus viscivorus L.
 კავკასიური შავი შაშვი
Turdus merula aterrimus Mad.
 ამიერკავკასიური შავთავა ოვსადი
Saxicola torquata variegata Gmel.
 დასავლეთის ბულბულა
Luscinia luscinia L.
 ველის ევროპული ოვსადი.
Saxicola rubetra rubetra L.

14. ოჯახი—მერცხლისებრნი—HIRUNDINIDAE

სოფლის მერცხალი
Hirundo rustica rustica L.
 სამხრეთის ქალაქის მერცხალი
Delichon urbica meredionalis Hart.

ამრიგად წითელწყაროს სატყეოსათვის დამახასიათებელია 34 ნაირგვარი ბელურასნაირნი, რომელნიც შემდგარნი არიან 14 ოჯახის წარმომადგენლები-დან. მეტი რაოდენობის სახეობებითაა წარმოდგენილი ოჯახი ბულბულასებრნი (*Sylviidae*) და შაშვისებრნი (*Turdidae*).



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ზემოთ ჩამოთვლილ ბელურასნიარ ფრინველთა ფორმები მიეკუთვნება პალეარქტიკის ოლქის ხმელთაშუაზღვის ქვეოლქს. კავკასიის მხარის მიმართ მათი ზოოგეოგრაფიული რაობა შემდეგია (13):

**აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტყის ოლქში
რიცხობრივად ჭარბობს:**

ევროპული კაქკაკი
კავკასიური ჩხიკვი
კავკასიური შროშანი
კავკასიური ყარანა
კავკასიური თავშავა ბულბულა
კავკასიური შავი შაში

ევროპული ჩხართვი
ჩვეულებრივი დიდი წიფწივა
კავკასიური ბოლოგრძელი წიფწივა
შავშებლა ლაქო
ევროპული პატარა ბუზიქერია
ტყის სამხრეთის ტოროლა.

**კავკასიონის დასავლეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ოლქის
ძირითადი წარმომადგენლებია:**

კავკასიური მოლალური
კავკასიური რუხი ბულბულა
ყვითელმუცელა მწვანე ყარანა
დასავლეთის ბულბულა
ამიერკავკასიური თავშავა ოვსადი

კავკასიური ლაქო
კავკასიური შინაური ბელურა-
სოფლის მერცხალი
ქალაქის მერცხალი.

ამიერკავკასიის ტრამალის ოლქში ძირითადად ბუღობს:

კავკასიური ჰეინტა-ბულბულა
ველის ევროპული ოვსადი
წითელთავა ლაქო
თავშავა ლაქო

კავკასიური თავშავა ბულბულა
კავკასიური ლაქო
ველის ტოროლა
კავკასიური რქიანი ტოროლა.

მდინარე მტკვრის სათავის ოლქისათვის მეტად დამახასიათებელია:

კავკასიური ჩხართვი
დასავლეთ ციმბირის ბოლოქანქალა

ჩვეულებრივი თეთრი ბოლოქანქალა
მინდვრის ჩვეულებრივი მწყერჩიტა.

**დასავლეთ ამიერკავკასიის ოლქში ფართოდ არის
გავრცელებული:**

კავკასიური ჩხიკვი
კავკასიური მოლალური
კავკასიური მწვანულა
კავკასიური სკვინჩა
ბალის ქეროზა
თეთრი ბოლოქანქალა

კავკასიური წიფწივა
კავკასიური ბოლოგრძელი წიფწივა
კავკასიური ყარანა
კავკასიური შავი შაში
კავკასიური ჩხართვი
კავკასიური ჩიტბატონა.

ირკვევა, რომ ცალკეული ზოგოგოგრაფიული ოლქისათვის დამახასიათებელია ორნითოკომპლექსები; მასთან ერთად საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ ამა თუ იმ ოლქში ფრინველების ფორმების გავრცელების რაოდენობა მერყეობს ერთი ან რამდენიმე ფორმის მიმართ.

წითელწყაროს სატყეოსთან დაკავშირებული ბელურასნაირი ცალკეული სახეობის ეკოლოგიის ზოგიერთი მომენტის რკვევა ადასტურებს, შემდეგს:

აღმოსავლეთ-ევროპული კაკკაკი დაკავშირებულია მერქნიან ნარგავებთან. იშვიათად არის ხშირ ტყეში. ბუდეს ხეზე (3—4 მ) იკეთებს. ბუდობას მაისის ბოლოს ამთავრებს, ვინაიდან ამ დროს მოპოვებულ (I—VI, ქალის ხევი) დედალს კრუხობის ნიშანი ჰქონდა, ნაჩევი კი განირჩეოდა მუქი და მბრწყინივი შეფერილობით. კუჭის შიგთავსში ნახულ იქნა მკურნალები (*Forficula auricularia*), მახრის (*Gryllotalpa gryllotalpa*) ფეხი, ლოკოკინები (*Mollusca*) და ძვლები. კ. ბლაგოსკლონოვა (1949) კაკკაკის კუჭის შიგთავსში 76 ტაკუნა (*Agriotes sputator*), მაისის ღრაქა (*Melolontha melolontha*), მახრა (*Gryllotalpa gryllotalpa*) და კენკრი აღრიცხა.

კავკასიური ჩხიკვი ტყეში ბინადრობს და ფართოდ არის გავრცელებული (ლეტნიკი, ვაზიანი). ბუდეს ხშირ ტყეში და მის ნაპირზედაც იკეთებს. მოზარდები მაისის ბოლოს, ასაკოვან ფრინველებთან ერთად ფრენენ ბაღებისა და მინდვრის ახლო. ჩხიკვი საკვებისათვის ხშირად ხშირ ტყეში შედის, სადაც იგი მოპოვებული (25—V) იყო. მისი კუჭის შიგთავსში ნახული იქნა ნაირგვარი ხოქოების (*Coleoptera*) ნაწილები; მათ შორის სქარბობდა ბზინვარები (*Nitidulidae*) და ბალნინჯოები (*Pentatomidae*). კენქები ნაყლები რაოდენობით აღმოჩნდა. ჩხიკვის საკვები მრავალფეროვანია, როგორც მკვლევარები (ა. ფორმოზოვი, კ. ბლაგოსკლონოვი) აღნიშნავენ, საკვებში ჭარბობს მწერები (*insecta*): ხარაბუხები (*Dorcadion*), ფოთოლქამიები (*Crioceris*, sp), არათადარი აბრეშუმხვევია (*Porthethria dispar*), პეწიანები (*Buprestidae*), ცხვირბრძელები (*Curculionidae*), ბალნინჯოები (*Pentatomidae*) და მცენარის კურკები. პროფ. კალანდაძის და დ. ლოზოვოის დაკვირვებით (1939) ცავერის სატყეოში (გვირგვინა) ჩხიკვი აზიანებს ახალგაზრდა ფიქვებს. ჩხიკვი საკვების მომარაგების მიზნით სხვადასხვა ადგილას ინახავს რკოს, რის შედეგად ეს ჯიში ფართოდ ვრცელდება. იმ დროს, როცა ყორნისებრ (*Corvidae*) ფრინველთა ფორმები ანადგურებენ მავნე მწერებს ტყის ნაპირას, ჩხიკვი ამ როლს ტყის სიღრმეში ასრულებს.

კავკასიური შროშანი (შოშია) მოსახლეობისათვის სხვა ფრინველებზე უკეთ არის ცნობილი. იგი დიდი რაოდენობითაა გავრცელებული. მეტწილად ბუდობს ხელოვნურ ბუდეში, ე. წ. „საშოშოში“ (საკარმიდამო ფართობი). საბუდრად გასაყენებული აქვს აგრეთვე ხის ფულუროები (ქალის ხევი). ბუდობას აპრილის დასასრულს იწყებს. მოპოვებულ ფრინველთა (24—V, 26—V, 6—VI) კუჭის შიგთავსში ნახულ იქნა ხოქოების (*Coleoptera*) ნაწილები, მავთულა ქიები (*Elateridae*), მატლები და მცენარის თესლები. მრავალჯერ აგვირიცხავს, რომ პირუტყვს არ სცილდებოდა და საკვებს მის ნეხეში ეძებდა. იკვებება მეტწილად მიწაზე. მის საკვებში არა ერთხელაა მკვლევარების მიერ აღრიცხული ტაკუნები (*Elateridae*), ცხვირბრძელები (*Curculionidae*), პეპლენების (*lepidoptera*) მატლები, ბალნინჯოები (*Pentatomidae*), სწორფრთიანები (*Orthoptera*); უპირატესობას აძლევს კალიებს (*Acrididae*).



კ. ბლაგოსკლონოვის (1949) მონაცემებით, შოშიებს კონცენტრირების უნარი აქვთ იმ ადგილებში, სადაც მავნე მწერების კერაა. ამ ფრინველის მიზილვის შედეგად ნადგურდება ტყის შემდეგი მწერები: მაისის ხოჭო (*Melolontha vulgaris*), მარაოულაშინების (*Rhipidophoridae*) მატლები, არაფარდი აბრეშუმხვევიას (*Porthethria dispar*) კვერცხები, მუხის ფოთოლმხვევის (*Tortrix viridiana*) მატლები, ოქროკუდას (*Nygmia phaeorrhoea*) ბუდე და სხვა მრავალი.

ამრიგად, შოშია დიდად სასარგებლოა მეურნეობისათვის. ცნობილია, რომ 1948 წელს სსრ კავშირის სატყეო სამინისტროს მიერ მოწყობილი იქნა მათი მიზილვა სხვადასხვა ადგილებში, რის გამოც გაკეთებული იყო 27 ათასი ხელოვნური ბუდე, 5.330 ჰექტარზე (კ. ბლაგოსკლონოვი, 1949), რამაც თვალსაჩინო შედეგი გამოიღო რადგანაც შოშიებმა დიდი რაოდენობით მოსპეს მავნე მწერები.

კავკასიური მოლალური შესამჩნევია ოქროსფერი შეფერილობით. ბინადრობს ტყის ნაპირას (თამარის ციხის უბანი) იქ, სადაც მაღალი ხეებია. მაისში ბუდობა დამთავრებული აქვს. 26—V მოპოვებული იყო დედალ-მამალი და მათი კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა ხოჭოები (*Coleoptera*), აბრეშუმხვევიას (*Porthethria*) მატლები, კალიები (*Acrididae*) და ბალდინჯოები (*Pentatomidae*). განაფხულიდან და ბუდობის პერიოდში მოლალურის საკვება ბევრად მსხვილი მატლები, რომელნიც ნაკლებად განიცდიან სხვა ფრინველთა თავდასხმას, რის გამო ორნითოლოგებმა იგი განსაკუთრებით სასარგებლო ფრინველად ჩათვალეს. იკვებება აგრეთვე ალუბლითა და კენკრით. ნისკარტით კენკავს მსხალს, ლეღსა და ვაშლს, რითაც შესაძლებელია მცირედი ზიანი მიაყენოს მებაღეობას; მაგრამ ის ფაქტი, რომ მეტწილად მავნე მწერებს ანადგურებს, ამ მცირე ნაკლს ფარავს.

კავკასიური მწვანულა იშვიათი ფრინველია, ბინადრობს ტყის მახლობელ ბუჩქებზე, მეტწილად კულტურული ზონის ახლო. ბუდობს ბუჩქებზე და მაღალ (3 მ) ხეზედაც. მოპოვებულ (2—VI, კოლოთო) დედალს კრუხობის ნიშანი ჰქონდა, მასთან ერთად კვერცხებიც განვითარებული (კვერცხი დაფარული იყო ნაქუჭით, რაც გაირკვა პრეპარაციის დროს), ე. ი. სატყეოს პირობებში ორჯერ ბუდობს. კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა ბალდინჯოები (*Pentatomidae*), ხოჭოების (*Coleoptera*) ნაწილებიც, მხოლოდ ქარბობდა სარეველების თესვები.

კავკასიური ჩიტბატონას იზიდავს ტყის ნაპირთა ბუჩქნარები და შამბნარები. მარდად დახტის ხეზე, ბუჩქებზე. მიწაზე იშვიათად ჩამოდის. ბუდობს ხეზე (ვაზიანის ხევი, 6—VI). ბუდობას აპრილში იწყებს, რადგან 13—V ახლადგადაფრენილი მოზარდები მოვიპოვეთ, მხოლოდ 6—VI (ვაზიანის ხევი) ნახული იქნა ბუდე 4 კვერცხით. ზემოთ მოყვანილი ფაქტები მიუთითებს მის ორჯერ ბუდობაზე. ჩიტბატონა დასპეციალბულია ნაკლებ მოძრავი მწერების განადგურებაში, რომელნიც ხშირია ფოთლებსა და ლეროებზე. სარეველა მცენარეების თესვებსაც საკმაოდ ანადგურებს, რაც დასტურდება ორი ბარტყისა და სამი ზრდადასრულებული ფრინველის კუჭისა და ჩინახვის შიგთავსის შესწავლით.

კავკასიური სკვინჩა ევროპული ტიპის ორნითოფაუნის წარმონაღვრელია და ტიპობრივი დენდროფილური ფრინველია. ხშირად აგვირიცხავს წყვილად მყოფნი ტყის კორომებში (ჭალის ხევი, კოლოთო, ლეტნიკი). ცალკეულად მობინადრენილ შეგვხვედრია აკაციის სანერგეში. ბუდე მაღალ

ბეზე, მაგალითად, რცილაზეა (*Criapus caucasicus*) ნახული (16—VI, კოლოთო), ზაფხულში მთლიანად გადადის მწერებით კვებაზე. სკვინჩას ძირითადი საკვებია ხოჭოები (*Coleoptera*)—80%. მეტი რაოდენობა ისეთი ცხვირგრძელებია (*Curculionidae*), რომლებიც არ ფრენენ—*Otiorrhynchus*, *Braehyderes*, *Strophosomus*, *Phyllodius* და სხვ. ამასთანავე აქტიურად იკვებებიან სარეველა მცენარეულ ცერცველას (*Vicias* sp.), რძიანას (*Euphorbia* sp.) და მარწყვაბალახას (*Potentilla* sp.) თესლებით.


აღრიცხულია აგრეთვე სკვინჩას კვება (ლ. ჩინჩალაძე, 1952) ტკაცუნებით (*Corymbites*), მახრებით (*Grullotalpa*), კალიებით (*Acrididae*) და ნაირგვარი სარეველა მცენარეების თესლებით—სალბი (*Salvia*), მწვანე ძურწა (*Setaria viridis*). კოლოთოსა და ლეტნიკის მიდამოებში მოპოვებულ (16—VI) სკვინჩას კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა ხოჭოების (*Coleoptera*) ნაწილები და კენჭები. ტყისმცველთა გადმოცემით, სკვინჩა ზიანს აყენებს ახალ დათესილ კულტურებს: მიწას ჩიჩქნის და იღებს თესლსა და აღმონაცენებსაც.

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი შ ი ნ ა უ რ ი ბ ე ლ უ რ ა¹ ძირითადად ბინადრობს იმ ლანდშაფტში, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ. ბუდობა მისში ეწყება; ბუდობს კოლონიურად, პირუტყვის ბოსელში და ყველგან, სადაც საამისო პირობები არის. ერთ-ერთ ბოსელში (წითელწყარო, 24—V) აღრიცხული იყო 20 ბუდე, რომლებშიაც მეტწილად კვერცხები აღმოჩნდა, ხოლო რამდენიმე ბუდეში (8) კი ბარტყები ჯერ კიდევ ბუმბულ შეუმოსავი. 30—VI უკვე შესაძლებელი გახდა ახლადგადადრენილი ბელურების აღრიცხვა. ბელურას ბუდობა აგრეთვე აღრიცხულია (3—VI) შებილის კლდეში, რომელსაც მუშები ანგრევდნენ, ბელურა კი ამ მოვლენას არ ერიდებოდა.

ამრიგად, ბელურა ბუდობს რა ადამიანის ახლო, საკვების მოსაპოვებლად მიფრინავს აგრეთვე ტყის ახლო მდებარე ნათესებისა და ბუჩქებისაკენ (ლეტნიკი). აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ უბანში (26—V, თამარის ციხის მიდამო) სადაც ოქროკუდას მიერ დაზიანებული მუხის კორომები ჭარბობდა, მიუხედავად იმისა, რომ ოქროკუდას ბუდე (აბლაბუდა) ცარიელი იყო, ბელურამ იგი ნისკარტით მაინც ააგლიჯა და წაიღო. ისიც საგულისხმოა, რომ ნაპურალზე კენკავენ ნაყარ ხორბალს; ამ შემთხვევაში ბელურები თავგების კონკურენტები არიან. მათი კუჭის (9 ეგზ.) შიგთავსში ნახული იყო ხოჭოები (*Coleoptera*), ლოკოკინა (*Mollusca*) და ხორბალი (*Triticum*). მოსახლეობის გადმოცემით ბელურები დიდ ზიანს აყენებენ პურეულ ნათესებს და ალუბლის ნაყოფს.

შ ა ვ თ ა ვ ა ქ ე რ ო ზ ა ისე როგორც ბალის ქეროზა მრავალრიცხოვანი როდია. მათი მეტი ნაწილი ტყის პირად არსებულ ბუჩქებზეა აღრიცხული. ეკოლოგიურად მერქნიან ჯიშებთან არიან დაკავშირებულნი. ტბის ახლო ბუჩქზე მოპოვებულ (29—V) შავთავა ქეროზას (დედალი) კრუხობის ნიშანი აღმოჩნდა, ისე, როგორც კოლოთოში მოპოვებულ (27—V) ბალის ქეროზას. აქედან შესაძლოა დავასკვნათ მათი მისში ბუდობა. ბუდეს მიწის ჩაღრმავებაში, ბუჩქის ძირასა და დაფარულ ადგილას იკეთებს, იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის ახლო ბუდობს, მისი საკვების შემადგენლობაში ძირითადად მავნე მწერები—ჭარბობს ხოჭოები (*Coleoptera*), ხოლო ერთ-ერთ შავთავა ქეროზას კუჭის შიგთავსში და ჩიჩახვში ხორბალიც (*Triticum*) აღმოჩნდა.

¹ ადგილობრივი სახელწოდება „ქართულა ჩიტი“.



ა. ფორმოზოვმა (1950) კამიშინის ტყის სამელიორაციო საცდელ პუნქტზე, ზაფხულში (1949), დაკვირვება აწარმოვა ბალის ქეროზების ბარტყების კვებაზე და აღნიშნა, რომ მშობლებმა 4 საათ. 50 წუთიდან—20 საათ. 30 წუთამდე საკვები ბარტყებს 140-ჯერ მიუტანეს. საკვების შემადგენლობას შეადგენდა: თელას კულდება (*Exaereta ulmi*), მშომელები (*Geometridae*), კუტკალიები (*Tettigoniidae*), პებლები (*Lepidoptera*), ნემსიყლაპიები (*Odonata*), ტკაცუნები (*Agriotes*), პურის ხოჭო (*Anisoplia*) და ხვატარის (*Euxoa*) მატლები. მკვლევარის აზრით ქეროზები ერთ-ერთი პირველთაგანი ფრინველებია, რომლებიც სახლდებიან ხელოვნურ ბუდეში.

ტყის სამხრეთის ტოროლა მკიდროდა დაკავშირებული ნარგავებთან და მდებარეობს. ბუდობს ხშირ ბალახოვან ადგილებში, პურეულის ნათესებში, სადაც ნახული იქნა (15—VI) ცარიელი ბუდე, რაც შესაძლებლობას იძლევა ვიფიქროთ, რომ ბუდობა დამთავრებული ჰქონდა. მოპოვებულ (5—V, 12—VI) ტოროლას კუჭში აღმოჩნდა ხოჭოები (*Coleoptera*), ბუზები (*Diptera*), ბალინჯოები (*Pentatomidae*) და სარეველას თესლები.

კავკასიურ რკიან ტოროლას დაბალ ადგილსა და ტყის ნაპირის მასივში მოპოვება (18—VI ლეტნიკი) მეტად საინტერესო არის. ეს მაღალი ზონის მოყვარული ტიპობრივი ფრინველი, მშვენივრად გრძნობდა თავს დაბალი ზონის ტყის ნაპირზედაც. ასეთ ადგილას (ზაფხულში) რკიან ტოროლას აღრიცხვა საინტერესოა ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. მის კუჭში და ჩიჩახვში ნაპოვნი იქნა ხოჭოების (*Coleoptera*), კალიების (*Acrididae*) ნაწილები, ქიანჭველას (*Formica* sp.) კვერცხები, ლოკოკინა (*Mollusca*) და კენჭები.

ველის ევროპული ტოროლა ტყის ახლო ველობზე და ნათესებშია აღრიცხული. მოპოვებულ (27—V, 28—V) ორ მამალს კრუხობის ნიშანი არ აღმოაჩნდათ. მათი კუჭის შიგთავსში ნახული იქნა ხოჭოების (*Coleoptera*) ნაწილები, ნაყრულას (*Forficula auricularia*), მატლები და კენჭები.

დასავლეთ ციმბირის თეთრი ბოლოქანქალა ნირით არ განსხვავდება თეთრი ჩვეულებრივი ბოლოქანქალასაგან. ისინი მეტნაკლებად არიან გავრცელებულნი. ფართო არეალი არ აქვთ. აღრიცხულნი და მოპოვებულნი არიან ტბის ახლო (4—VI) და წყაროსთან (ლეტნიკი 29—V). ბუდობენ ხის ფულუროში. ანადგურებენ კოლოს და მის მატლებს, მფრინავ მოზრდილ მწერებს, რომლებსაც ფრენის დროსაც იჭერენ. არა ერთხელ დაგვინახავს, თუ როგორ ნადირობდნენ ნაირგვარ კალიებზე (*Acrididae*), რომლებიც ბლომად იყვნენ გავრცელებულნი. ა. ბლაგოსკლონოვი (1949) აღნიშნავს, რომ თეთრი ბოლოქანქალა (*Motacilla alba*) გახდა ადამიანის თანამგზავრი. მოსკოვის გარეუბანში იშვიათია მოინახოს ამ ფრინველის ბუდე ადამიანის კარმიდამოს დაშორებით. ასეთი მოვლენა წითელწყაროს პირობებში არ აგვირიცხავს. ავტორი მიგვიჩვენებს რომ ბოლოქანქალას მიზიდვისათვის, წყალსატევების ახლო—ხეზე (3—5 მ) საჭიროა გაკეთდეს ხელოვნური საბუდარი.

მინდვრის ჩვეულებრივი მწყერჩიტა ნაალებადაა დაკავშირებული ტყის ცენოზთან. მისი ადგილსამყოფელი გაშლილი ადგილებია, სახელდობრ, მინდვრები, ველი, სადაც მიწაზე, საფარველში ბუდეს იკეთებს. აღრიცხულია ბუჩქზედაც (თამარის ციხის უბანი) და იქვეა მოკლული (26—V, დედალი), რომელსაც კრუხობის ნიშანი ჰქონდა. კუჭი, ჩიჩახვი ცარიელი აღმოჩნდა.

ჩვეულებრივი დიდი წივწივა ბინადრობს იმ ზოლში, სადაც შესამჩნევია მრავალწლიანი ნარგავების იარუსები, მოზარდი ხეები, ბუჩქები და შამბნარები. მის მიერ გამოყენებული ყველა სტაცია, რაც მიუთითებს მისი შეგუების ფართო არეალზე. მრავლად არ გვხვდება. ბუდობს ხის ფულტროში, აგრეთვე თამარის ციხის ნაპრალებში (მონადირე მამაიაშვილის სიტყვიერი გადმოცემა). მოკლულ (5—VI, 18—VI, ლეტნიკი) იქნა 2 დედალი, რომლებსაც კრუხოზის ნიშანი აღმოაჩნდათ. წივწივას, მავნე მწერების გამრავლების ადგილებში კონცენტრირების უნარი აქვს. მკვლევართა მიერ დასაბუთებულია, რომ წივწივა ბუდობს პერიოდში, როგორც მატლების გამანადგურებელი, უნივერსალურია. ბუდობის დამთავრებისას იმ მწერების კერძებთან და ჭუპრებით იკვებება, რომლებიც მავნე სოფლისა და ტყის მეთურთავისათვის. წივწივა მიზიდული უნდა იქნეს სხვადასხვა კორომში, სადაც ხელოვნური საბუდრები უნდა მოწყოს. ამავე ადგილებში ზამთარში მათ დამატებით საკვები უნდა მიეცეთ, რითაც ვაიძულებთ მობინადრე გახდეს. აღნიშნული ღონისძიება თავისთავად გაადიდებს წივწივას რაოდენობას ზაფხულში.

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ბ ო ლ ო გ რ ძ ე ლ ი წ ი ვ წ ი ვ ა ს ბ უ დ ე ი ქ ნ ა ნ ა ხ უ ლ ი (24—V, თამარის ციხის უბანი) კუნელზე. ბუდე ხავისა და მხვიარებისაგანაა გაკეთებული და გამოუენილია სოხბის ბუმბულით.

ლაჟობის¹ სამი ფორმიდან—ირანული წითელთავა ლაჟო, შავშუბლა ლაჟო, კავკასიური ლაჟო, რომლებიც სატყეოს ფართობზე გვხვდება, ყურადღებას იპყრობს კავკასიური ლაჟო, ვინაიდან ზემოაღნიშნულ ფორმებთან (2) შედარებით მრავალრიცხოვანია და ფართო არეალი აქვს დაკავებული. გვხვდება ტყის ნაპირზე, გაკაფულ ტყეშიაც. ხშირად ბუჩქნა, საიდანაც მსხვერპლს უთვალთვალვებს. ბუდობს სატყეოს ფართობზე იქ, სადაც ჯანგარია (ქალის ხევი). ნახული (21—VI) იყო შინდზე ბუდე 4 კვერცხით. მოპოვებულ (29—V) დედალს კრუხოზის ნიშანი ჰქონდა. მისი კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა მზისუმზირას (*Helianthus annuus*) თესლი, ხოჭობების (*Coleoptera*) და კალიას (*Acrididae*) ნაწილები. სწრაფად იჭერს მფრინავსა და მცოცავ მწერებს. ტყის მავნე მწერებიდან უხვად ანადგურებს ხარაბუხებს. მკვლევარმა პ. პოზდნიშევმა (ა. ფორმოზოვი, 1950), რომელიც მუშაობდა ვორონეის ნაკრძალში, გამოიკვია 40 ლაჟოს კუჭის შიგთავსი, რომელშიაც აღმოჩნდა 200 მწერი, აქედან 131 (65,5%) იყო ბზუალები (*Carabidae*), ღრაქები და ფუნაგორიები (*Scarabaeidae*), ტკაცუნები (*Elateridae*), ფოთოლქაიები (*Chrysomelidae*), ცხვირგრძელები (*Curculionidae*) და ბალღინჯოები (*Pentatomidae*). ბალღინჯოთა შორის მეტი იყო კუსებურა (*Eurygaster*).

ანგვარად, კავკასიური ლაჟოს მიზიდვა ტყეში, როგორც სასარგებლო ფრინველი, ერთ-ერთი ღონისძიება იქნება ტყის დაცვისათვის. მიზიდვისათვის საჭიროა გაკაფულ ტყეში გაკეთდეს ქანდარები.

ე ვ რ ო პ უ ლ ი პ ა ტ ა რ ა ბ უ ზ ი ქ ე რ ი ა მობინადრე ფრინველია, რომელიც ფართოდ არის განსახლებული ნაირგვარ საშუალო წლოვანებისა და მაღალღეროვანი ხეების კორომებში. ბუდობს ნისში. აღრიცხული იყო ბუზიქერიას ბუდობა ბოსელში, ბელურებთან ერთად (25—V). ძირითადი საბუდარია ხის ფულტრო. მოპოვებულ (16—VI) დედალს კრუხოზის ნიშანი ჰქონდა, მის ჩიჩახეში და კუჭში კი ნახული იყო ხოჭობების (*Coleoptera*) ნაწილები, ბუზი (*Musca*

¹ ადგილობრივი სახელწოდება „ჯაეჯაევი“.



sp.) და ბალღინჯოს (*Pentatomidae*) ნაწილი. უნივერსალურია ნაირგვარად მწერების განადგურებით. საკვებს დაეძებს ფოთოლზე, ღეროზე, ქერქზე და ზღაპრულ მცენარეზე. ბლომად იჭერს მწერებს ფრენის დროსაც. სასარგებლო ფრინველია, რომელიც მოითხოვს მიზიდვასა და დაცვას. სხვა ფრინველზე აღრე სახლდება ხელოვნურ საბუღარში, რაც აადვილებს მის მიზიდვას. დ. კაიგოროდოვის (1898) მონაცემებით სატყეო ინსტიტუტის პარკში (ლენინგრადი) ხელოვნური საბუღარის გაკეთების შედეგად დიდად გადიდა ბუზიქერიების რაოდენობა. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზვენიგოროლის ბიოლოგიურ სადგურში მოწყობილმა ხელოვნურმა საბუღარებმა აღნიშნული ფრინველის რაოდენობა 9-ჯერ გააღიდა. 1948 წელს (ა. ფორმოზოვი, 1950) რიესკის სატყეო მეურნეობის მიერ ჩატარებული იყო ფიქვის კორომებში ფრინველების მიზიდვა ხელოვნური საბუღარების დადგმით. მეტი საბუღარების რაოდენობა დასახლებული იყო ბუზიქერიებით (160 წყვილი), შოშიებით (27 წყვილი), წივწივებით (21 წყვილი), რომლებმაც 200 ჰექტარი ფართობი გაასუფთავეს ფიქვის ხეატარისაგან (*Panolis flamea*).

კავკასიური ყარანა და კასპიისიქითა მწვანე ყარანა ტყის ლანდშაფტის ფრინველებია. მათი არსებობა სატყეოს ფართობზე უდავოა, რადგან პირველი მათგანი მოპოვებული იქნა 4—VI (თამარის ციხის უბანი), მეორე კი 18—VI (ლეტნიკი). ორივე დედალი აღმოჩნდა და ჰქონდათ კრუხობის ნიშანი, რაც მოწმობს მათ ბუღობას სატყეოს ფართობზე. ჩიხახვისა და კუქის შიგთავსში ნახულია ხოქოებისა (*Coleoptera*) და კალიების (*Acrididae*) ნაწილები. ცნობილია, რომ საქმარისად ანადგურებენ ტყის მცენარეების ბუგრებს (*Aphididae*).

კავკასიური რუხი ბულბულა ბინადრობს ტყის ბუჩქებში, შამბნარებში, იშვიათად შედის ხშირ ტყეში. აღრიცხულია ტყის ნაპირის საფარში, სადაც კენკავდა საკვებს. ბუღობს ბუჩქებში, მიწიდან არა დიდ მანძილზე. მოპოვებულია (9—V, 11—V, 28—V) მამლები, რომლებსაც კრუხობის ნიშანი არ აღმოაჩნდათ. მათი ჩიხახვისა და კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოქოების (*Coleoptera*) ნაწილები, ხარაბუხას (*Cerambycidae*) უღვაშები, მატლები, კენჭები. ე. ვორონცოვის (1947) ნაშრომში გარკვეულია უკრაინის ორნითოფაუნა და მოცემულია იმ მწერების სია, რომლებიც ნაპოვნი იყო რუხი ბულბულას კუქში. ეს მწერებია: ფოთოლქამიები—*Cassida nebulosa*, *C. nobilis*, *C. parva*. *Gastroidea polygoni*, *Labidostomis beckeri*, *Cryptocephalus bipunctatus*, რწყილები—*Phyllotereta crucifera*, ცხვირგობილები—*Polydrosus inustus*, *Eusomus beckeri*, ღრაქები—*Anisoplia austriaca*, *Phyllopertha horticola*, ბზულები *Harpalus picipennis*, *Acupalpus dorsalis* და სხვა მრავალი მავნე სახეობები, რაც ნათელყოფს ბულბულას სარგებლიანობას.

კავკასიური თავშავა ბულბულა ხშირად არის ტყის ისეთ კორომებში, სადაც ნორჩი, ცოცხალი საფარია. ტყის ნაპირისა და ხეების ბუჩქებზე დაეძებს საკვებს. მოპოვებული იყო (5—VI, ვაზიანი) ერთი დედალი, რომელსაც კრუხობის ნიშანი არ ჰქონდა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გვიან იწყებს ბუღობას. კუქის შიგთავსში აღმოჩნდა ხოქოების (*Coleoptera*) ნაწილები.

კავკასიური ქვინტა—ბულბულა მოპოვებული იქნა მამალი (5—VI), ტბის ახლო მყვლის შამხნარში. კუჭში აღმოჩნდა ხოქოების (*Coleoptera*) ნაწილები და მცენარის თესლები.

ვეროპული ჩხართვი ბუდობის პერიოდში დაკავშირებულია მალაღებებთან. დიდი რაოდენობით არ გვხვდება. ხშირად არის ტყეში, იქ, სადაც ასკილისა (*Rosa canina*) და ღვიას ბუჩქებია. ტყის საფარისა და ქვეტყის მავნე მწერებით იკვებება. საკვებს მიწაშია დაეძებს. მოპოვებული (5—VI, დედალი) ჩხართვის ნისკარტი დასვრილი იყო მიწით, ხოლო მის ჩიჩახვში ნახული იქნა მიწის ქია, თესლები, კუჭში კი კალიებისა (*Acrididae*) და ბალღინჯოების (*Pentatomidae*) ნაწილები.

კავკასიური შავი შაშვი ფართოდაა გავრცელებული. დიდი რაოდენობითაა ტყის კორომებში (ლეტნიკი) იქ, სადაც მრავალწლიანი ნარგავებია ბუჩქები და შამხნარებია. არა ერთხელ აგვირიცხავს წყაროსაკენ. ნიშნავს გზაზე (ლეტნიკი). სწრაფად ძვრება და იმალება ბუჩქებში. ტყის ნაპირზე ორი მამალი იქნა მოპოვებული (5—VI). მათ კრუხობის ნიშანი არ აღმოჩნდა, ხოლო მოპოვებული (6—VI) ნაჩეკი მთლიანად არ იყო შემოსილი ბუმბულით. მათ ჩიჩახვში და კუჭში აღმოჩნდა ბალღინჯოების (*Pentatomidae*), ხოქოების (*Coleoptera*) ნაწილები და ნაყოფის კურკა. ცნობილია, რომ შაშვების სახეობები მეტ შემთხვევაში იკვებებიან ნიადაგზე და ნიადაგში არსებული ნაირგვარი მწერებით, რომლებსაც ეძებენ ტყის საფარში, რომელშიც ბლომად ზამთრობენ ტყისათვის მავნე მწერები—ხვატარის (*Noctuidae*), მზომელების (*Geometridae*), მხერხავეების (*Tenthredinidae*), აბრეშუმხვევიას (*Porthetria*), სხვადასხვა ფაზები, მინდვრიდან კი მათ ემატებათ პურის ხოქოები (*Anisoplia*). შაშვები აღნიშნულ მწერებს ანადგურებენ. ამ შემთხვევაში შაშვების მოქმედება შეუნიაცლებელია, რის გამო საპიროა დაისვას საკითხი ტყეში მათი მიზიდვისათვის.

ამიერკავკასიის თავშავა ოვსადი რჩეობს მდგომარეობას, მინდვრებს, ტყის ნაპირის ბუჩქებს. ბუდობს ნათესთა შორის, ბალახეულ მცენარეთა სტაკიაში—მიწაზე. ხშირად ბუჩქიდან მიწაზე დაფრინდება ხოლმე სადაც შესამჩნევად ხტის. მუხის კორომის ახლო, სადაც ბალახეულ მცენარეთა სისხირე არსებობდა, მოპოვებული (ლეტნიკი, 11—VI) იქნა დედალი ოვსადი, რომელსაც კრუხობის ნიშანი ჰქონდა, ხოლო მოპოვებულ მამალს (არწივის ხევი, ბუჩქები, 12—VI) ეს უკანასკნელი ნიშანი არ აღმოჩნდა. მათი კუჭის შიგთავსში ნახული იქნა ხოქოების (*Coleopters*) ნაწილები, ბალღინჯოები (*Pentatomidae*) და ხორბალი (*Triticum* sp.). ქართლის პირობებში (ჩინჩალაძე, ლ. 1952) აღნიშნული ფრინველი მეტად მავნე მწერებს ანადგურებს, მათ შორის ცხვირგრძლებს (*Curculionidae*), ხარაბუხებს (*Cerambycidae*), სწორფრთიანებს (*Orthoptera*), ბალღინჯოებს (*Pentatomidae*) და სხვა მრავალს.

ველის ვეროპული ოვსადი მოპოვებული (29—V, სოფ. ჯაფარიძე, ტბის ახლო) იქნა ნათესების ნაპირზე. კუჭში და ჩიჩახვში აღმოჩნდა ხოქოს (*Coleoptera*) ნაწილი და ბალღინჯო (*Pyrrhocoris apterus*).

დასავლეთის ბულბულს ადგილსამყოფელის არჩევის ვიწრო სპეციალიზაცია ახასიათებს. სატყეოში, მხოლოდ ისეთ ადგილებშია, სადაც სქელი ქვეტყე და ბუჩქებია (ლეტნიკი, ჭალის ხევი). დიდი რაოდენობითაა აღრიცხული. ბუდობს მაისში, როდესაც ხშირია მამლის გალობა. მოპოვებულია (26—V, 30—V, 11—VI, ლეტნიკი, თამარის უბანი) დედალი და მამალი, ამ

ჟკანასკნისკენლს კრუხობის ნიშანი არ აღმოჩნდა. ბულბულის კუჭისა და ჩინჩალის შიგთავსში აღმოჩნდა მატლები, ბზინვარა ხოქოები (*Nitidulidae*). ლ. პორტენკოს (1954) გადმოცემით, ბულბული სასარგებლო ფრინველია, რომელიც ძირითადად მავნე მწერებით იკვებება, რის გამოც, მან მიზიდვა და დაცვა დაიმსახურა. მეორე მხრივ იგი მნიშვნელოვანია ესთეტიკური თვალსაზრისითაც, რაც მის გალობაში გამოიხატება.

სოფლის მერცხალი კულტურული ლანდშაფტის ფრინველია. ბუდობის პერიოდში უპირატესობას აძლევს აივნებს, ლავარდანებს. ხშირად მიფრინავს ტყეების ახლო მდებარე ველებზე, ნათესებში, სადაც მფრინავ მწერებს იჭერს. ბუდობს მაისში, რაც აღირიცხა (27—V) სასტუმროს დარბაზში. ბუდეში სამი ბარტყი აღმოჩნდა, რომელთაც კვებავდა დედალიც და მამალიც. ტყის ახლო მოპოვებულ მერცხლის კუჭში აღმოჩნდა დაქუცმაცებული მოზრდილი ხოქო (*Coleoptera*) და პეპელას (*Lepidoptera*) ფრთები.

ქალაქის მერცხალი სხვა მერცხლების ფორმებიდან განირჩევა ბოლოს ზედა ნაწილის სითეთრით. იგი არ არის მრავალრიცხოვანი. ბუდობს ცალკეულ წვეცილებად (არწივის ხევი, სალი კლდე) და კოლონიებად (კოლმეურნეობის საწყობის შენობა). მოპოვებულ იქნა (3—VI, 4—VI) მამალი, რომელსაც კრუხობის ნიშანი ჰქონდა. კუჭის შიგთავსში აღმოჩნდა სფერიფანაფრთიანები (*Hymenoptera*). იგი ხშირად ანადგურებს მფრინავ მწერებს.

ამგვარად, წარმოებული კვლევიდან ირკვევა, რომ სატყეოს ფართობზე და მის ახლო მიდამოებში (მაისი, ივნისი) ბუდობს ბელურასნაირ ფრინველთა 34 სახეობა. ნაირგვარი ფრინველების რაოდენობითაა წარმოდგენილი ლეტნიკისა და ნაწილობრივ კოლოთოს უბნებში შემაჯალი კორომები, რასაც ხელს უწყობს ხისა და ბუჩქების აღნაგობა და წყლის სიახლოვე. სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი ქალის ხევასა და ვაზიანის უბნებში შემაჯალ კორომებში, სადაც ფრინველების ბუდობის სიმცირე შესამჩნევია. ამავე დროს ბუდობა მასობრივია მაისსა და ივნისის დასაწყისში, რომლის შემდეგ ბარტყები ტოვებენ ბუდეს და მშობლებთან ერთად მიფრინავენ საკვების საძებნელად. ბარტყების განვითარებასთან ერთად ხდება, შედარებით ფართო მიგრაციები, რომელიც დაშორებულია საბუდარ ადგილს 1—3 კმ.

გამოირკვა, რომ სატყეოსათვის სასარგებლო ბელურასნაირ ფრინველთა 32 სახეობა (იხილე სია კავკასიური შინაური ბელურასა და კავკასიური სკვინჩას გამოკლებით), რომლებიც იკვებებიან მავნე მწერებით და რომელთა მიზიდვა და დაცვა საჭირო იქნება.

სასარგებლო ბელურასნაირ ფრინველთა მიზიდვისა და დაცვის ისტორია სსრ კავშირში

ჩვენს ქვეყანაში გარეული ფრინველების მიზიდვისა და დაცვის დიდხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ფრინველების დაცვისა და მიზიდვისათვის რუსი გლეხების მიერ შემოღებული იყო ხელოვნური საბუდარი „საშოში“. რუსი გლეხების ჩვეულება, ხელოვნური საბუდარის საშუალებით ფრინველების მიზიდვისა ფართოდ გავრცელდა. გასულ წლებში ფრინველების მიზიდვისა და დაცვის საკითხით, დიდად იყო დაინტერესებული ა. ბოგდანოვი. გასული საუკუნის დასასრულიდან, სამეურნეო მიზნით, ფრინველების გამოყენება ხორციელდება. ი. შევიროვის (1892) მიერ პირველი ცდა იყო ჩატარებული, მიზიდული ფრინველების საშუალებით ტყის დაცვისა.

დ. კაიგოროდოვმა (1898), ხელოვნური საბუდრების გაკეთებით, დიდალ გამარავლა სასარგებლო ფრინველები და დაიცვა ხეივანი მავნე მწერებისაგან. დ. პომერანცევიმ ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოაქვეყნა მთელი რიგი ძვირფასი შრომები, რომლებშიც მოცემულია ნაირგვარი ფრინველების სახეობის სამეურნეო მნიშვნელობა. ა. ვასილჩუკმა (1915), რომელიც დ. პომერანცევის ხელმძღვანელობით მუშაობდა, ფართო მასშტაბით ჩაატარა მობუდარი ფრინველების მიზიდვა, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო. 1925 წელს ნ. დერგუნოვის ინიციატივით ბუნების დაცვის სრულიად რუსეთის საზოგადოების დახმარებით, დაიწყო „ფრინველთა დღის“ (24—30 მარტი) ჩატარება, რომელიც დღესაც გრძელდება. აღნიშნული დროიდან დაწყებული მრავალი ხელოვნური საბუდარი ჩამოიკიდა ფრინველების მიზიდვისა და დაცვისათვის.

დიდი სამამულო ომის წინ და, განსაკუთრებით, მის შემდეგ, ფრინველების მიზიდვა და დაცვა ფართოდ შემოიღო სახელმწიფო ორგანიზაციებმა უპირველეს ყოვლისა სატყეო მეურნეობებმა. ფრინველების დაცვასა და მიზიდვას აწარმოებენ აგრეთვე ქალაქის საბჭოები, საკვლეო დაწესებულებანი, ნაკრძალები. ამავე მიზნით, 1946 წელს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტყის დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ, გაკეთებულ იქნა 18.361 ხელოვნური საბუდარი, ხოლო 1948 წელს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრომ დიდი მასშტაბით ჩაატარა სასარგებლო ფრინველთა მიზიდვა, რისთვისაც გაკეთებულ იქნა 27 ათასი ხელოვნური საბუდარი ტყეში 5.330 ჰექტარზე. აღნიშნულ ფართობზე მოსაზობილი იყო ფრინველების მიერ მუხის ფოთოლმწვევი, მაისის ღრუბა, ოქროკუდა, არაფარდი აბრეშუმხვევია, ფიჭვის მხერხავი, ქერქიჰამია და სხვა მრავალი. სამეურნეო მიზნით, სასარგებლო ფრინველები ფართოდ არიან გამოყენებული, რისთვისაც მათ დაცვას დიდი ყურადღება ექცევა. 1948 წ. მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიურმა სადგურმა (ბოლშევი) მოაწყო ფრინველების მიზიდვისა და დაცვის მუდმივი გამოფენა. ბუნების დიდ მეტყველს გ. მიჩურინს, თავის ბაღში, თითოეული ფრინველი დაცული ჰყავდა. სამუშაო ოთახის ფანჯრის წინ, გაკეთებული ჰქონდა სპეციალური მაგიდა, რაზედაც საკვებს უყრიდა. ვ. მიჩურინის ბაღში მომუშავე გენეტიკის ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომლებმა, მიბაძეს რა დიდ ბიოლოგს, ფრინველებს დიდი სიფრთხილით ეპყრობიან, რის გამოც, იზვიათია მოიძებნოს სხვა ისეთი ადგილები, სადაც ხელოვნურად იქნეს მიზიდული ასეთი ნაირგვარი და მრავალრიცხოვანი ფრინველები, რომლებიც ბალს მავნე მწერებისაგან იცავენ.

აღნიშნის მოქმედება გარემოზე ხელს უწყობს ფრინველების განსახლებასა და გამრავლებას. მაგალითად ქვის სტეპში, სანამ ვ. დოკუჩაევი ჩაატარებდა ტყის ზოლების მოწყობას, იყო 17 სახეობა. ახლა კი, როდესაც ტყის ზოლს ათეული წლის ისტორია აქვს, აქ უკვე 100-ზე მეტი ნაირგვარი ფრინველები ბუდობენ. მაშასადამე, არიან ისეთი ფრინველებიც, რომელნიც ეგუებიან აღნიშნის მიერ შექმნილ პირობებს. ქილყავი სტეპებში იკვებებოდა, შემდეგ იგი თანდათან გუთნისდენის გვერდით დაფრენს. ახლა კი ტრაქტორის მისდევს და მოზნულ ნიადაგში დაეფებს საკვებს. იყო დრო, როცა ბელუზა, ტყეში, ხეზე ბუდობდა. ახლა კი მან აღნიშნული საბუდარი დაივიწყა, დაუახლოვდა აღნიშნის კარმიდამოს. ეს მოხდა თანდათანობით, გარემოსთან შეგუებით, რის შედეგადაც შეიცვალა ეკოლოგიური თვისებები, ახალი თვისებებით შეიცვალა ბელუზას ადგილსამყოფელი, ბუდობის ადგილი და თვით ბუდის აგებულებაც კი.



ტყეში მავნე მწერების გამრავლება ხშირი მოვლენაა, რის გამოც სატყეო მეურნეობაა ორგანიზაციები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სხვა ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია ფრინველების გეგმიანი მიზიდვა და დაცვა. ფრინველების მიზიდვას აწარმოებენ მიტიზინის, ჩერკიზოვის, კუსკოვსკის, პოკროვსკო-სტრეშნევის სატყეო მეურნეობები; სახელმწიფო ნაკრძალები — ვორონეჟის, მორდოვის, ბუზულუკსკის და სხვა. განსაკუთრებით საჩვენებელი და სასარგებლო მუშაობა ჩატარდა ბუზულუკსკის ნაკრძალში. ხელოვნური საბუღრების საშუალებით მიზიდული იყვნენ ფრინველები ფიჭვის მზომელას (*Bupalus piniarius*) კერის სალიკვიდაციოდ. ტყეში დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული მზომელა, რომელიც 1 კვმ-ზე მოდიოდა 39 ეგზემპლარი. ხელოვნური საბუღრების საშუალებით მიზიდულმა 274 ფრინველმა — ბუზუქერიებმა, თავის ნამატთან ერთად, განაღდგურეს ფიჭვის მზომელას 4 მილიონი კვერცხი. ფრინველების მიერ ფიჭვის მზომელას კერა ლიკვიდირებულ იქნა. ადრე დაზიანებული ნარგავები თითქმის მთლიანად გამოკეთდნენ და ნაკრძალს არავითარი მატერიალური ზიანი არ განუცდია.

ზემოაღნიშნული მონაცემები შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ მეცნიერული თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე, შესაძლებელია გეგმიანად წარვმართოთ სასარგებლო ფრინველების მიზიდვა და დაცვა სამეურნეო მიზნებისათვის, როგორც იაფი, ეფექტიანი ბიოლოგიური ღონისძიება მავნე მწერების საწინააღმდეგოდ.


ზოგიერთი ღონისძიება ფრინველთა მიზიდვისა და დაცვისათვის

იმისათვის, რომ სატყეოს ფართობზე ჩატარებულ იქნეს სასარგებლო ფრინველთა რიცხობრივი ზრდა და მწერების გავრცელების ადგილას მათი

კონცენტრაცია, ამისათვის საჭიროა ფრინველებს მიეცეს დამატებით საკვები, მოეწყოს მათთვის ხელოვნური საბუღრები და გაშენდეს ბუჩქნარები.

ამრიგად, პირველ რიგში საჭიროა ფრინველებს ჰქონდეთ დამატებითი საკვები, რადგან ისინი ადვილად ეჩვევიან კვების ადგილს და იქვე იწყებენ ბუღობას. მათთვის უნდა მოეწყოს საკვების დასაყრელი თაროები (სურ. 1).

ასეთი თაროების მოწყობა სასურველია შემოდგომიდან, რადგან ფრინველები შემოდგომიდანვე ცდილობენ გამოახონ ისეთი ადგილები, სადაც მეტი საკვებია. მოძებნიან რა ხელოვნურად მოწყობილ თაროებს საკვებით, შენ-




სურ. 1 თარო ფრინველების საკვებისათვის

დევში განაგრძობენ იქ მიფრენას და კვებას მთელი ზამთრის განმავლობაში. ზაფხულშიაც ამავე ადგილის ახლო რჩებიან და ბუღობენ. საკვებისათვის თა-


როები შესაძლოა იყოს ღია იმ შემთხვევაში თუ ხის აღნაგობა დაიცავს მის წვიმიდან და თოვლისაგან, მაგრამ თუ ასეთი არ არის, ამ შემთხვევაში თარი-სამკედლიანი და გადახურულია (სურ. 2).

ასეთი თაროები საჭიროა იმისათვის, რომ საკვები წვიმამ არ დააველოს, თოვლმა არ დაფაროს და ქარმა არ მიმოფანტოს. თაროები შეიძლება გაკეთდეს ხისა ან ფირფიცრისა.

იყენებენ აგრეთვე ხეზე თავდაღმა მიმაგრებულ ბოთლებს (სურ. 3), რომელთა ძირი ამოჭრილია, შიგ ჩაყრილია საკვები და დაცულია საცობით. ბოთლის ქვემოთ ხის თაროა გაკეთებული, რაზედაც ბოთლიდან ავტომატურად საკვები თანდათან ცვივა. ბოთლში მოთავსებული საკვები მშრალი უნდა იყოს, რადგან ზამთარში სველი საკვები იყინება და ბოთლიდან არ ჩამოიყრება. იმ ფრინველებისათვის, რომლებიც მიწაზე იკვებებიან (შაშვი, ტოროლა, ბოლოქანქალა, ბულბული) კარგი იქნება მოეწყოს ჩაღის ფარდულები, რომლებსაც ერთი მხარე ღია ექნება, რაც ფრინველს შიგ შეფერენის საშუალებას მისცემს. საკვები



სურ. 2 სამკედლიანი თარო საკვებისათვის



სურ. 3 ბოთლში მოთავსებული საკვები


თესლები და ქიანქველას კვებები.

ბელურა სასარგებლო ფრინველების კონკურენტია ულუფის გატაცებაში, როგორც კი ერთი მათგანი წიაფნებს საკვებს, ერთი კვირის შემდეგ მათი რაოდენობა მატულობს. მეურნეობის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს, რომ ბელურას დამატებით ვაძლიოთ საკვები. იმ ადგილებში, სადაც ბელურებია გავრცელებული, საჭიროა მოეწყოს ისეთი თაროები, რომელთაც ბელურასათვის მიუწვდომელია, სასარგებლო ფრინველისათვის (ბუზიჭერია, ქვინტა, წიფწივა, ყარანა) კი მისაწვდომი. ბელურას ნისკარტი მოკლე და მსხვილია, სხვა ფრინველების კი გრძელი და ვიწრო. თუ საკვებს დავფარავთ მაკეთულის ან ხის ცხრილით, რომელსაც ნახვრეტი ექნება 4—5 მმ, ასეთ შემთხვევაში ბე-


ლურას ნისკარტი ნახვრეტში ვერ გაეტევა და საკვები სასარგებლო ფრინველებს დარჩება.

ფრინველების დაცვისა და მიზიდვისათვის აგრეთვე აკეთებენ ხელოვნურ საბუღარებს (სურ. 4, 5).

თუ რომელ და რა ზომის ფრინველთათვის არის განკუთვნილი საბუღარი, ამისდა მიხედვით არის იგი მოწყობილი. სახელდობრ, წიფწივასოდენა ფრინველისათვის საჭიროა გაკეთდეს შემდეგი მოცულობის საბუღარი: სიგრძე 10—12 სმ, სიგანე 11—12 სმ, ხოლო სიმაღლე 25—27 სმ; შესაფრენი ხვრელის დიამეტრი კი 3—3,5 სმ. შედარებით მოზრდილ ფრინველთათვის, მაგა-




სურ. 4



სურ. 5

ხელოვნური საბუღარი ფრინველებისათვის


ლითად, როგორცაა შროშანი, კეთდება შემდეგი მოცულობის საბუღარი: სიგრძე 15—18 სმ, სიგანე 15—18 სმ, სიმაღლე კი 30—32 სმ, შესაფრენი ხვრელის დიამეტრი 4—5 სმ. საბუღარების დასამზადებლად განკუთვნილი ფიცრის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 2—2,5 სმ. ფიცრის ერთ მხარეს გაშალაშინება არ უნდა, ასეთი ნაწილი უნდა მოთავსდეს საბუღარის შიგნით, რაც საშუალებას მისცემს ფრინველს საბუღარიდან იოლად ამოფრინდეს. საბუღარი მკიდროდ უნდა იქნეს ვაკეთებულ, ხოლო მისი სახურავი წინ უნდა იყოს წამოწეული და ოდნავ დაქანებული კედლისაკენ. იმ შემთხვევაში, თუ კედლებს შორის ფარალადა აღგილი იქნება, ის უნდა ამოიყოს საგოზავით. საბუღარის სახურავი უნდა იხდებოდეს (სურ. 5), ანდა მისი ერთი რომელიმე კედლის ამოღება შეიძლებოდეს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ფრინველების ბუდობის დამთავრებისას ის სუფთავდებოდეს და დამკვირვებლისათვის იოლი გახდეს ანა თუ იმ ფრინველის ბუდობის აღრიცხვა. საბუღარებს უნდა გაუკეთდეს ნომრები იმისათვის, რომ აღირიცხოს, თუ რომელი ფრინველი ბუდობს. საბუღარი უნდა შეიღებოს იმისათვის, რომ მკვეთრად არ გამოირჩეოდეს იმ ფონიდან, სადაც ის კეთდება. ჩამოკიდების წინ მის ძირზე უნდა დაიყაროს მიწა, უკეთესია ტორფნარევი ნახერხი. ასეთი საბუღარები შეიძლება გამოიყენოს მეურნეობამ 8—12 წელი.



მაგალითად, ბოლშევის ბიოლოგიურმა სადგურმა ხელოვნური საბუდარები წელს გამოიყენა შეუქუთებლად. მასში ყოველწლიურად ბუდობდნენ ფრინველები. საბუდარების რიცხოვრივი თანაფარდობა დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, მეურნეობის მიზანდასახულობისა და ფრინველების ეკოლოგიაზე. აქედან გამომდინარე, უნდა აღირიცხოს ადგილები, სადაც განლაგდება საბუდარები. ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რომ ეიცოდეთ რამდენი უნდა დამზადდეს საბუდარი. საბუდარების ჩამოკიდება საჭიროა წინასწარ, სანამ ფრინველები (გადამურენი) მოფრინდებიან და სანამ მობინადრე ფრინველები დაიწყებენ გამრავლებისათვის მზადებას. ასეთ თვედ განკუთვნილია მარტი. კარგი იქნება, საბუდარები შემოღვამიდან მოვაწყოთ, ეს კი იმისათვისაა საჭირო, რომ ზამთარში მას მობინადრე ფრინველები გამოიყენებენ თავშესაფარად, რადგან საბუდარს ეჩვევიან და ბუდობასაც იქვე იწყებენ. საბუდარები ხეზე მაგრად და მჭიდროდ უნდა იქნეს მიმაგრებული. მითითება არის, რომ ლურსმნით დამაგრდეს, მაგრამ ჩვენი აზრით უკეთესია მათეულით დამაგრდეს (სურ. 6), რადგან ლურსმანი ხეს აზიანებს.

იმ შემთხვევაში, თუ საბუდარი დასადგმელია განცალკევებული ხე), საჭიროა ჩასაფრენი ხერხი რგან მოთაესდეს, შეძლებისდაგვარად, აღმოსავლეთ ანდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ისეთ ფრინველთათვის როგორც არის შოშია, წიფვივა, საბუდარები შეიძლება დაიდგას ტყეში ან მის ახლო არსებულ შენობებზე. სხვა ფრინველებისათვის სასურველია მყუდრო ადგილების შერჩევა, ხოლო ბოლოქანქალასთვის მნიშვნელოვანია წყლის სიახლოვე. სიმაღლე, რომელზედაც ნაირგვარი ფრინველები ბუდობენ, ერთნაირი როდია. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს საბუდარების ჩამოკიდებისას. საბუდარი უნდა ჩამოიკიდოს 2—10 მეტრის სიმაღლეზე: ტყის ნაპირად, ტყეში არსებული გზების ახლო, ხეებში, ტყის სიღრმეში, ქრების ადგილებში, აღნიშნული სტაციების მოყვარული ფრინველები საბუდარებს მოძებნიან. პრაქტიკამ დაასაბუთა, რომ ერთ ჰექტარზე საჭიროა დაიდგას 8-დან 10-მდე ხელოვნური საბუდარი, ჩვენი აზრით, ეს რიცხვი უნდა ვადაიდგეს.

გაშლილ ადგილზე (ბოძი, ქარის მოპირდაპირე მხარე)



სურ. 6 ხელოვნური საბუდარის მიმაგრება ხეზე მათეულით

ყველა ფრინველს ხელოვნურ საბუდარში ბუდობა როდი შეუძლია, ამიტომაც მათი მიზიდვისა და დაცვის საქმე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საბუდარების მოწყობით, არამედ საჭიროა ისეთ სასარგებლო ფრინველებზე (ბუდბული, ქეროვნები, შაშვები) ვიზრუნოთ, რომლებიც არ ბუდობენ ფულტოტეში და ბუდდეს ბუჩქზე და შამბნარებში იკეთებენ. ტყეში ასეთი ფრინველების ბუდობისათვის საჭიროა არსებობდეს დამახასიათებელი სტაციები, რისთვისაც უნდა გაშენდეს ცოცხალი ხერგულეები. ამისთვის გამოსაყენებელია კუნძი, ასკილი, ღვია და სხვა ასეთები. პრაქტიკაში ზემოაღნიშნული მიზნისათვის გამოიყენებულია წიწვიანი და ფოთლოვანი ხე, რომლებსაც სისტემატურად აპირიან წვეროს, რაც მის ზრდას აბრკოლებს და მეტ დატოტვიანებას იწვევს. ამდაგვარი აღნაგობის ხე-ბუჩქნარები ფრინველებს საბუდრად იზიდავს. ბუჩქისა და ხე-



ბუჩქნარების ნაირგვარ შემადგენლობაზე და მოკიდებული თვით შემადგენლობის ფრინველების მრავალფეროვნება.

ტყის განახლებისა და ტყის ზოლების მოწყობის დროს საჭიროა დაიგეგმოს ფრინველების მიზიდვა და დაცვა. ხისა და ბუჩქის ის მრავალი შემადგენლობა, რომელიც რეკომენდირებულია ტყის ზოლების მოსაწყობად, ფრინველების მიერ გამოყენებულია თითქმის ყველა, მხოლოდ არაერთნაირად. საჭიროა ისეთი ხეები და ბუჩქები შევარჩიოთ, რომ იოლი იყოს მათ შტოზე ბუდის გაკეთება, საჭიროა ისეთი ხე და ბუჩქი დაირგას, რომლის კენკრსა და ნაყოფს ფრინველები საკვებად გამოიყენებენ.

ფრინველების დაცვისა და მიზიდვის სათანადო ეფექტურობა რომ მივიღოთ, საბუღრების დადგმასთან და ბუჩქების გაშენებასთან ერთად საჭიროა ვაწარმოოთ ბრძოლა ფრინველთა მტრების, კატების წინააღმდეგ. იმ ადგილებში, სადაც კატა გავრცელებული და ეწყობა ხელოვნური საბუღრები, ხეს უნდა გაუკეთდეს დამცველი რგოლები. ამ მიზნით რეკომენდირებულია ეკალბარდების ტოტები, რაც კატას ხეზე ასვლის საშუალებას არ აძლევს.

მეურნეობის მიერ დახარჯულ შრომას აანაზღაურებენ ფრინველები მავნე მწერების განადგურებით.

დასკვნები

1. წითელწყაროს სატყეო უმეტეს შემთხვევაში ფოთლოვანი, დაჯაგული ბუჩქნარებით და მეჩხერი კორომებითაა წარმოდგენილი, რის გამოც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს და მოითხოვს განახლებას.
2. სატყეოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცხოველთა წარმომადგენლებს, მათ შორის ბელურასნაირ ფრინველებს (14 ოჯახის 34 ფორმა), რომელთა შორის სპარბობს ბულბულასებრნი და შაშვისებრნი.
3. მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი ბელურასნაირი ფრინველებით ლეტნიკისა და, ნაწილობრივ, კოლოთოს უბნებში შემავალი კორომები, რასაც ხელს უწყობს ხისა და ბუჩქების აღნაგობა და წყალი. ყოველივე ამის გამო შემოაღნიშნული კორომები მეტნაკლებად არიან დაცული მავნე მწერთაგან.
4. სასარგებლო ბელურასნაირი ფრინველების 32 სახეობა რომელიც მავნე მწერებით იკვებებიან და რომელთა მიზიდვა და დაცვა საჭიროა.
5. მეცნიერული თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე შესაძლებელია გეგმიანად წარემართოთ სასარგებლო ბელურასნაირი ფრინველების მიზიდვა და დაცვა სამეურნეო მიზნებისათვის, როგორც იაფი, ეფექტიანი ბიოლოგიური ღონისძიება მავნე მწერების საწინააღმდეგოდ.
6. ტყის განახლებისა და ტყის ზოლების მოწყობის დროს საჭიროა დაიგეგმოს აგრეთვე ფრინველების მიზიდვა და დაცვა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი დამატებითი კვება, ხელოვნური საბუღრების მოწყობა და სათანადო ბუჩქნარების გაშენება.

Л. М. ЧИНЧАЛАДЗЕ

ПОЛЕЗНЫЕ ВОРОБЬИНЫЕ (*PASSERES*) ЦИТЕЛЦКАРОЙСКОГО
ЛЕСНИЧЕСТВА, ИХ ОХРАНА И ПРИВЛЕЧЕНИЕ

Резюме

Известно, что лес для народного хозяйства имеет огромное значение. В деле охраны леса свою долю должны внести и зоологи, выявляя положительное и отрицательное значение животных.

Лес, как известно, в основном повреждается насекомыми и поэтому лесоводы, применяя против них соответствующие мероприятия (физико-механические, химические), не должны игнорировать использование полезных птиц. В деле охраны леса, для уничтожения вредных насекомых, использование полезных птиц, является одним из дешёвых, эффективных биологических мероприятий.

Мы задались целью выявить (1953, май, июнь) видовой состав полезных воробьиных Цителцкаройского лесничества и наметить мероприятия их охраны и привлечения. В каждом участке (8) леса учитывались птицы, их повадки, а также изучалась природная среда, в которой приходилось существовать тому или иному виду, а с другой стороны выявлялось воздействие изучаемых птиц на среду. Для уточнения хозяйственного значения воробьиных, кроме наблюдения и учёта в природных условиях, мы изучали содержимое пищеварительного тракта добытых (109) птиц. На базе соответствующей литературы и личных наблюдений, проработаны вопросы привлечения и охраны полезных воробьиных. Полученные данные дают возможность провести мероприятия по охране и привлечению полезных птиц.

Цителцкаройское лесничество расположено в районе Цителицкаро, у подножья горы Цивгомбори и пересечено узкими и глубокими ущельями. Лес состоит из 4-х участков (Вазнани, Чалисхеви, Когото и Летник). Из древесной растительности преобладает граб, дуб; встречаются грабинник, бук и вязь. Подлес составляют: павой, шиповник, ежевика, боярышник, кизил, глог и др.

В ценозе леса значительное место занимают насекомые, пресмыкающиеся, грызуны, птицы. Среди птиц преобладают воробьиные (34 вида) из семейства—воронные (2), скворцы (1), иволги (1), вьюрковые (3), ткачиковые (1), овсянковые (2), жаворонковые (3), трясогузковые (3), синицевые (2), сорокопутовые (3), мухоловковые (1), славковые (5), дроздовые (5) и ласточковые (2).

Изучение биологии отдельных видов (34), приводит к тому выводу, что большинство из них гнездятся в мае и июне. Во второй половине июня, с развитием молодняка, начинаются широкие кочёвки, которые часто отстоят от места гнездования на 1—3 километра и больше. Воробьи, скворцы, щеглы, зеленушки, синицы, зяблики, жаворонки, пеночки, мухоловки и дрозды в большинстве случаев в конце июня начинают вторично гнездиться.



В участках Летники и Когото количественно преобладают воробьиные. Этому способствует архитектоника деревьев, кустарников и близость воды. В участках Чалисхеви и Вазвани отмечено малое количество воробьиных и лес достаточно поврежден насекомыми.

Наблюдения в природе и исследование содержимого пищеварительного тракта птиц выявило, что большинство воробьиных — скворцы, сойки, сороки, славки, синицы, пеночки, мухоловки, соловьи, дрозды и др. в основном питаются клопами, медведками, усачами, шелкоунами, листоедками, долгоносиками, шелкопрядами и многими другими вредными насекомыми. Полученные нами данные ещё раз подтверждают полезность воробьиных в деле охраны леса, ввиду чего полагаем, что в числе мероприятий по борьбе с вредными насекомыми должное внимание должно быть уделено привлечению и охране полезных птиц.

В Советском Союзе привлечение и охрана полезных птиц имеет давнюю историю (Шевырев, Кайгородов, Богданов, Благосклонов, Дементьев, Гладков, Формозов, Портенко). Как до Отечественной войны, так и после, привлечение и охрану птиц в большом масштабе проводят некоторые лесхозы и заповедники, которые добились хороших показателей и в этих случаях птицы значительно уничтожили и очистили лес от вредных насекомых.

Для привлечения и охраны полезных птиц в лесу должны быть устроены «кормушки» для подкормки их зимою, а также искусственные гнездовья (скворешники, душлянки). Для таких птиц, которые не гнездятся в искусственных условиях, должны быть разведены живые изгороди и соответствующие кустарниковые насаждения.

При возобновлении леса и устройства лесных полос, надо планировать так же привлечение и охрану полезных воробьиных, для их использования в борьбе против вредных насекомых.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. შიულწყაროს სატყეო მეურნეობის მოწყობის ანგარიში 1949—1950.
2. ი. ჩხიკვიციანი, საქართველოს ფრინველები, საქ. სსრ. მეზღუპის მონაბე, თბილისი, 1949.
3. ლ. ჩინჩადაძე, ქართლის ბელურასნაირი (*Passeres*) ფრინველები და მათი სამეურნეო მნიშვნელობა, ავტორეფერატი, 1952.
4. К. И. Благосклонов, Охрана и привлечение птиц полезных в сельском хозяйстве, Москва, 1949.
5. А. И. Васильчук, Опыт привлечения птиц в искусственные гнездовья, Тр. по лес. опыт. делу в России, 1915.
6. Г. П. Дементьев, Н. А. Гладков, Охрана и привлечение полезных птиц, Москва, 1949.
7. Д. И. Кайгородов, Орнитофауна парка Лесного Института и изменения происшедшие в ней за последнее десятилетие (1886—1899), Петербург, 1898.
8. Л. П. Калайдаძე, Д. Лозовой, Сойка как вредитель сосновых культур, Труды СХИ, Тбилиси, 1939.
9. А. И. Мельниченко, Птицы лесных популяционных полос и их хозяйственное значение, Киев, 1938.
10. Г. А. Новиков, Полевые исследования по экологии наземных позвоночных, Сов. наука, Москва, 1953.

11. Д. В. Померанцев, Вредные насекомые и меры борьбы с ними в лесах в полосах Юго-востока Европейской части СССР, 1939.
12. Л. А. Портенко, Птицы СССР, Воробьиные, часть III, АН СССР, Ленинград, 1954.
13. К. А. Сатуни, О зоогеографических округах Кавказского края, Тбилиси, 1912.
14. Е. П. Спангенберг, Птицы полевых посадений, Моск. общ. исп. природы, Москва, 1949.
15. А. Н. Формозов, В. И. Осмоловская, К. Н. Благосклонов, Птицы и вредители леса, Моск. общ. исп. природы, Москва, 1950.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი შ. ბაატაშვილი
ტიქრედაქტორი ა. თოდუა
კორექტორი ც. შალამბერიძე

გადაეცა წარმოებას 10.2.1956; ანაწყოების ზომა 7×12 ; ხელმოწ.
დასაბეჭდად 26.6.1956. ქალაქის ზომა $70 \times 108^{1/16}$;
ქალაქის ფურცელი 6,25; საბეჭდი ფურცელი 15,38;
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 12,79;
შეკვეთა 279; უე 01563; ტირაჟი 600
ფასი 9 მან. 55 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, წერეთლის ქ. 3/5



ფასი 9 მან. 55 კაპ.

2.50/140



ქართული
საქმიანობა